



ქართული
ზოგადი მუზეუმი



27
28

ქართული
მუზეუმი

108/4
971/4
თბილისი
საქართველო

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1971





ოქროს არწივი, აღმოჩენილი ვანში კოლხი ქალის სამარხში (ძვ. წ. V ს.)



სერია: „მატიკალური კალტურის ქობლი“

ქართული
ენების
სამეცნიერო
ცენტრი

ქეკელი ქეკელი ქეკელი

კრიტიკული ოცდამეშვიდე-ოცდამეცხე

გამომდის საერთაშორისო სტანდარტზე

სარედაქციო კოლეჯია: ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გომთა, ლალო ბუღიუაშვილი, ოთარ თაყაიშვილი, თინათინა კანდელაკი, ირაკლი ჯაჭარიანი, ნიკო კაცხუაშვილი, ლევან მატარაძე, ოთარ სანთელიძე, ლია ფილქსანი (პ/მგ. შტიქანი), ვიორბი ჩიტაია, ვიორბი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, გივი გოცირიძე.



სიგონე ქაუხჩიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ანტიკური საბერძნეთი და ანტიკური საქართველო

(მოკლე მიმოხილვა წერილი პირველი)

ანტიკური საბერძნეთი ქრონოლოგიურად შემოიფარგლება ძვ. წ. III ათასეულიდან ვიდრე ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისამდე. ძველი წელთაღრიცხვის III ათასეულით ვიწყებთ ანტიკური საბერძნეთის კულტურის ისტორიას, იმიტომ რომ, როგორც ეს დამტკიცებულია მეცნიერული კვლევა-ძიებით, ბერძნები მესამე ათასეულში არიან მოსული იმ ტერიტორიაზე (ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის ზღვის აუზში, მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში), სადაც ისტორია იცნობს საბერძნეთს. მანამდე იმ ტერიტორიაზე სხვა ტომები ცხოვრობდნენ, დიდი კულტურისა და ფართო დიაპაზონის მსოფლმხედველობის მქონენი.

ვამთავრებთ ანტიკური საბერძნეთის კულტურის ისტორიას ახ. წ. IV საუკუნის დასაწყისით, იმიტომ რომ ამ დროიდან იწყება უკვე ახალი ხანა ბერძენთა ცხოვრებაში, იწყება ახალი ეტაპი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეკონომიკასა და იდეოლოგიაში. წინათ ბერძენთა ცხოვრება მიმდინარეობდა ჯერ საგვარეულო წყობილების და შემდეგ მონათმფლობელური ფორმაციის ფონზე. იდეოლოგიაში ამ ფორმაციას ახასიათებდა წარმართული შეხედულება, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან მონათმფლობელობას ცვლის ფეოდალური ურთიერთობა, იდეოლოგიაში კი ახალი მსოფლმხედველობის დამყარება, ქრისტიანული სარწმუნოების ჩამოყალიბება.

ანტიკური საბერძნეთის შესწავლა ძ. წ. IX საუკუნიდან არის შესაძლებელი წერილობითი ძეგლების მიხედვით. ეს წერილობითი ძეგლებია პომპროსის პოემები, რომლებიც სულ ადრე IX საუკუნით თარიღდება, მაგრამ მათში ასახულია გაცილებით უფრო ძველი ამბები. ამ ბოლო ხანებში, უკანასკნელ 20—25 წლის განმავლობაში აღმოჩნდა ისეთი მასალები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ვილაპარაკოთ პომპროსის წინადროინდელ საბერძნეთზე, ბერძნულ ენაზე და სხვ.

ჩვენ ამჟამად დავამყოფილდებით IX საუკუნისა და მომდევნო საუკუნეების მასალათ.

პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ ანტიკური საბერძნეთი იცნობს საქართველოს. პომპროსის მოხსენებული ჰყავს ის ტომები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ცხოვრობდნენ და რომელთაც ურთიერთობა ჰქონდათ ბერძნულ ტომებთან. ასე, ტროადის ომში, რომელიც აღწერილია პომპროსის პოემებში, მონაწილეობდნენ ხალიბები, ხალიძონები და სხვები. პომპროსი იცნობს აგრეთვე თქმულებას არგონავტების შესახებ.

რომ თქმულება არგონავტებზე, ე. ი. დასავლეთ საქართველოზე, პოპულარული ყოფილა საბერძნეთში, იქიდანაც ჩანს, რომ თუმცა ოდისევსის თავგადასავალს არაფერში ესაჭიროებოდა კოლხეთი, პომპროსმა მთელი სიმღერა დაუთმო დედოფალ კირკეს სასახლეში ოდისევსისა და მისი თანამოლაშქრეების ყოფნას. კირკეს არის კოლხეთის მეფის აიეტის და, რომელიც სადაც კოლხეთის მეფის მახლობლად ცხოვრობს.

ასე რომ ყველაზე ძველი ცნობა საქართველოს შესახებ მოიპოვება არგონავტების მითმი.



მომდევნო საუკუნეების ბერძენი მწერლები და ბერძნული ცნობებში იხსენიება
ყველა საუკუნეში იცნობენ ქართველებს:

IV საუკუნის ისტორიკოსი ქსენოფონტი თავის „ანაბაზისის“ დიდ ნაწილს უთ-
მობს მცირე აზიაში მოსახლე ქართველ ტომებს (ტაოხებს, მაკრონებს, მოსინიკებს,
ტიბარენებს) და მათ ზნე-ჩვეულებებს.

მაგრამ ყველაზე უფრო მეტად დასაფასებელია I საუკუნის გეოგრაფოსი სტრა-
ბონი, რომლის ცნობებს საგანგებო ადგილი უჭირავს ჩვენს ისტორიოგრაფიაში. აი,
თუნდაც სტრაბონის განმარტება კოლხეთის მდებარეობის შესახებ: კოლხეთის სანაპი-
რო დაბალი და ქვიშიანია, მისი მთავარი მდინარე არის ფაზისი, რომელსაც ერთიან
მდინარეები გლავკოსი და ჰიპოსი. აქ ლაპარაკია მდ. რიონზე, რომლის შენაკადები
არიან ცხენისწყალი (ჰიპოსი) და გლავკოსი; ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს ტეზური ან
აბაშა უნდა იყოს.

უნიკალურია სტრაბონის ცნობები საქართველოს ციხე-სიმაგრეებზე, მცხოვრებთა
სოციალურ შემადგენლობაზე, საქართველოს საამშენებლო საქმიანობაზე და სავაჭრო
გზებზე. მისი ცნობითაა, რომ ფაზისზე 120 ხიდია გადასასვლელი, რომლებითაც ქა-
რავნები ზიდავენ საქონელს და ვაჭრები მოემართებიან დასავლეთიდან აღმოსავლე-
თისაკენ.

სტრაბონი იბერიას იცნობს მთიას და ბარისას. სტრაბონის ცნობით იბერიის
მთიანეთის მოსახლეობა საგრძნობლად განსხვავდება იბერიის ბარის მოსახლეობისა-
გან. ის წერს: „დაბლობზე ცხოვრობენ იბერთაგან უფრო მეტად მიწათმოქმედნი, ესე-
ნი მშვიდობიანად არიან განწყობილი. უფრო დიდ ნაწილს, რომელიც მებრძოლი ბუ-
ნებისაა, უჭირავს მთიანი მხარე და ცხოვრობს სკვითებისა და სარმატების ყაიდაზე“.

მასასადამე, სტრაბონის მიხედვით, იბერიის მთისა და ბარის მოსახლეობა ცხოვ-
რების წესითაც განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი
ორივენი იბერებად იწოდებოდნენ.

კიდევ შეიძლებოდა რამდენიმე სხვა ბერძენი მწერლის დასახელება (იოსებ ფლა-
ვიოსი, პრისკე პონიონელი და სხვა.), რომელთაც საქართველო მოწინავე ქვეყნად მიაჩ-
ნდათ და მასზე ლაპარაკობენ როგორც კულტურულად დაწინაურებულ ქვეყანაზე, მაგ-
რამ ისიც, რაც ზემოთ ითქვა, საკმარისად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ აფასებდნენ
ბერძნები საქართველოს და მის კულტურას.

ჩვენი ნარკვევის სათაურში მოხსენებულ თემას აქვს თავისი მეორე მხარე, სა-
ხელდობრ: რა მონაწილეობას დებულობს ანტიკური საქართველო ანტიკური საბერძ-
ნეთის კულტურულ მონაპოვართა შექმნაში, მაგრამ ამაზე ვილაპარაკებთ მეორე წე-
რილში.



გიორგი ლომთათიძე

ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე

**გვიანანტიკური კულტურის არქეოლოგიური
ძებნები საქართველოში**

ანტიკურ ხანას უკავია დიდი, თითქმის ათასწლოვანი მონაკვეთი მაშინდელი ნოწინავე კაცობრიობის ისტორიისა. იმ, მაღალ დონეზე მდგარი, ნატიფი ცივილიზაციის ფერხულში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქართული ქვეყნებიცა და მათი მეზობლებიც. ეს ჯერ კიდევ წერილობითი წყაროების მიხედვით ჩანდა, ხოლო ამ ბოლო ათეულ წლებში გაცხოველებით მიმდინარე არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საგნებით უეჭველყო. სადღეისოდ „ანტიკურ საქართველოს“ უკვე საკმაოდ ხელშეწყობა და ცკვივინობა.

ანტიკური ისტორია და კულტურა, რა თქმა უნდა, არ ყოფილა ერთგვაროვანი მთელი ათასწლეულის მანძილზე. კერძოდ, მკაფიოდ გამოირჩევა მისი უკანასკნელი საფეხური, I—III საუკუნეები, რომის იმპერიის დიდი მძლავრობის დრო, რომელსაც ამის გამო ზოგჯერ „რომაულ ხანასაც“ უწოდებენ, თუმცა თვით რომიცა და მის ორბიტაში მოქცეული სახელმწიფოებიც, დაპყრობილი ქვეყნებიც, საზრდოობენ ძველი, ხმელთაშუა ზღვის აუზში წარმოქმნილი კლასიკურ-ელიზური და ელინისტური კულტურის წყაროებით, საკუთარი არქაული კულტურის ნაკადებთან ერთად. საკუთრივ ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ, ყოველივე ამის გარდა, გასათვალისწინებელია რომის ღონიერი მოქიშპის, ჯერ ელინიზებული პართიის და შემდეგ უკვე სასანური ირანის ამბებიც.

გაზევადება არ იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველოს არქეოლოგიაში აბლა ერთი ყველაზე უკეთესად შესწავლილი და მრავალფეროვანი, მეტყველი ძეგლებით წარმოდგენილი ეპოქა სწორედ განსაზღვრული სამი საუკუნეა და სწორედ მათ განეკუთვნება ის დიდი აღმოჩენები, მცხეთაში რომ გამოავლინა თხრამ ჯერ კიდევ შესამედი საუკუნის წინათ და შემდეგ — მრავალ სხვა ადგილასაც.

ერთი დიდი ღირსება ამ ძეგლებისა ისიც არის, რომ მათ შორის სამარხულთა გარდა არასამარხულიც უკვე მრავლადაა, ერთგვარი ღირსებაა ისიც, რომ მათი უმეტესობა თუ არა, ძირითადი და არსებითი ნაწილი მაინც დაკავშირებულია ანტიკური აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს, იბერია-ქართლის დედაქალაქთან, თუმცა ხელთა გვაქვს დანარჩენი კუთხეებიდან მომდინარე მასალებიც, რომლებიც წარმოადგენენ ამა თუ იმ „პროვინციულ“ პუნქტში მსხდარი, დიდი სახელმწიფოებრივი თუ სამხედრო თანამდებობის მქონე და ქონებრივ-უფლებრივად მკაფიოდ გამორჩეული პირების ნივთიერ-კულტურულსა და მხატვრულ დოვლათს. ამასთანავე სხვადასხვა ადგილებში გვხვდება საშუალო და მცირე შეძლების მქონეთა, ან სულაც უქონელთა მიერ დანატოვარი, რაც შუქს ჰყვანს გვიანანტიკური საქართველოს მოსახლეობის სოციალური განშრეების საკითხსაც.

ამ ძეგლების შესწავლას საგრძნობლად აადვილებს ისიც, რომ ისინი (მეტადრე სამარხები), დამსჭვალულია ოქროსა და ვერცხლის მონეტებით, რომელთა შორის ტარობის რომელი აურეუსები და დენარები და მათი მინაბაძები, პართული თუ რომ-



მეულ-პროვინციული დრამები და დიდრამები, კოლხური თუ იბერული ოქროს ფული (ერთგან — ნამზადივ კი!), ზოგჯერ პონტოური და ბოსფორულიც და მსგ. მს. ნეტათა შემცველი სამარხებისა თუ სხვაგვარი ნაშთების თარიღი ადვილად ვრცელდება უმონეტო ნაშთებზე თანმხლები საგნების პარალელიზაციის გზით და, ამრიგად, შესასწავლი მასალების დათარიღება და სახელდობრ I—III საუკუნეთადმი მათი მიკუთვნება საიმედო საფუძველს ემყარება.

გარდა საკუთრივ მცხეთისა და მისი ქვეყნისა („დიდი მცხეთისა“), რომელიც არაგვისა და მტკვრის შესართავს ირგვლივ არის განვრცობილი, ჩვენთვის ამჟამად საინტერესო მასალა — გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, გამოვლენილი და მოპოვებულია „დიდი თბილისისა“ ფარგლებშიც, ქვემო ქართლის სხვადასხვა კუთხეშიც (თრიალეთითურთ), შინა ქართლშიც, მთიულეთშიც, ერწო-თიანეთშიც, გარე და შიგნი კახეთშიც, ზემო და ქვემო იმერეთშიც, სამეგრელო-სამურზაყანოშიც, აფხაზეთშიც, რაჭა-ლეჩხუმშიც, სვანეთშიც, გურიაშიც, აჭარაშიც, თორშიც, ზღვისპირა ზოლშიც და ა. შ. ჯერჯერობით თითქოს უნდა მოვისაკლისოთ სათვალავში მესხეთ-ჯავახეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი.

განსაკუთრებით გამორჩეული, მდიდრულ-სამარხოვანი ძეგლები და მეტყველი მონაპოვრები გვაქვს: დიდ მცხეთაში (სამაროვნები არმაზისხევის შესართავთან, ბაგინეთ-არმაზციხეში, მცხეთის სადგურთან, ქ. მცხეთაში, სამთავროს ველზე), უფლისციხის ქვაბოვანის გარკვეულ ნაწილში და გარეთა სამაროვანზე, ერწოს ველზე (მაგრანეთის სამაროვანი), ახმეტის მხარეში (ახალდაბის სამაროვანი), ზემო იმერეთში (კლდეეთის, სარგვეშის, ძვერისა და მეტადრე კი ბორის სამაროვნები), სვანეთში (ხაინის სამარხი), სუფსის შესართავთან (ურეკის სამაროვანი), ქნგურის ქვემო სადინელში (თაგილონის სამარხი), ძამის ხეობაში (ზღუდერის სამაროვანი), სოხუმის მახლობლად (კელასურის სამარხი) და წებელდაში (სამაროვნები), მეჯუდის ხეობაში (ახრისის სამარხი), მდ. ლიახვის ხეობაში (ცხინვალის სამარხი და სამარხები სამხრეთ-ოსეთის ზოგ სოფელში), ქსნის ხეობაში (დამპალოს სამარხი, ახალგორის გვიანდელი სამარხი), ურბნისში (სამაროვნები) და სხვ.; ცალკე აღსანიშნავია სამარხები ქ. გორში და ქ. თბილისში (ეს უკანასკნელი მიგვანიშნებენ ჭალაქურ სამოსახლოს მერმინდელი დედაქალაქის მიდამოში)...

იმდროინდელ მდიდრულ სამარხთა ინვენტარის ტიპიურ შედგენილობას ახასიათებს: ვერცხლის ან ბრინჯაოს სასუფრე და დეკორატიული ჯამ-ჭურჭელი (ზოგჯერ ძველითგან შემორჩენილიც!) ხშირად დაბალი თუ მაღალი რელიეფებით და გრავირით დამშვენებული (სურები, პინაკები, თასები, სასმისები, პატერები, ტაფები, ჩაჩები, კოვები და ა. შ.); ოქროს ნაირნაირი, მეტწილ მოცვარული და ბრწყინვალედ მოთვალული სამკაული (ბეჭდები და საბეჭდავები; სამაჯურები, სამკლაურები, საფერხულეები, მძივედი და წნული ყელსაბამები, დიადემები, გულსაკიდები, საყელურები, სარტყლის აბზინდები და დასაქერებელი ბალთები თუ კილიტები), საავგაროშები (ერთში წარწერიანი ფურცლები იყო ჩაკუჭული), თილისმები; ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინის თვალედი ბეჭდები, „დიდ მცხეთაში“ კი მოგვიანებით ჩნდება, მაგრამ სხვაგან, მეტადრე დას. საქართველოში იმ დროს უკვე მრავლადაა ოქროს თუ სხვა ლითონის ფიბულეები ანუ მწვილდასკინძები, ახლებური სამოსელის მანიშნებელი (კლდეეთი, ურეკი და სხვ.). აღსანიშნავია აგრეთვე დასაქრძალავი საშუბლე გვირგვინები, თხელფოთლოვანი, ოქროსი. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ხაიშიში (სვანეთში) აღმოჩენილ სამარხულ ინვენტარში შემავალი ოქროს „სახლავი“, რომ-



ოქროს სამკაული დიდაკის პორტრეტით (ინტალი) აღმოჩენილი კლდეში
(ახ. წ. II ს.)



ოქროს აგრაფი, ფიბულა, ბეჭედი და საურეები აღმოჩენილი ურეკში
(ახ. წ. III ს.)



ლის სახურავზე ფრინველები სხედან, ხოლო სხვენზე — მემუსიკე და ფრანგული ვინმეა გამოქანდაკებული. ეს თითქოს ტლანქი, მაგრამ დიდად შინაარსიანი ნაკეთობა ეგებ სვანეთის ხალხური ოქრომჭედლობის ნაყოფი იყოს და მას ცხოვლად ეხმარება კლდეტური ოქროს ფრინველებიანი ბალთები. შემდეგ აღსანიშნავია მინის ნაირნაირი, ხშირად სათუთი ჭურჭელი — ლამბაქები, სანელსაცხებლები, ფლაკონები და სხვა (გარდა იმპორტისა, ადგილობრივ, მაგალითად, მცხეთასა და ურბნისში ნაკეთებიც). წითელი და შავი თიხის მომცრო ჯამ-ჭურჭელი, ფაქიზი პირსაფარეშო მოწყობილობა; ქვის, მინის, პასტის და სხვა მძივები და მძივსაკიდები და ა. შ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ადგილობრივი, ძველი ხალხური (ჯერ კიდევ თრიალეთის, ახალგორისა და ვანის ოქროლისაგან აღმავალი) ტრადიციებით და ფორმებით ოსტატურად ნაკეთებ ოქროს სამკაულში და მეტადრე ბეჭდებში ჩასმული თელები, მეტნაკლებ ძვირფასი პატიოსანი ქვებისაგან გამოთლილი თუ პასტის ან მინისაგან და ზოგჯერ მინანქრადაც კი ჩამოსხმული. ამგვარი პოლიქრომული, ნაირფერად მოჭვილი სამკაული სწორედ I—III საუკუნეებიდან ვრცელდება განსაკუთრებით ფართოდ ჩვენშიც. იგივე ითქმის ქვაზე ამოკვეთილი, ღრმა თუ რელიეფური გამოსახულების ანუ გემშების — ინტალიოთა და კამათა შესახებ. ეს უკანასკნელი ან გარკვეულ პირებს გამოსხატავენ, ან საყოველთაო-ანტიკურ თუ აღმოსავლურ რელიგიურსა და მითოლოგიურ და ყოფით სიუჟეტებს და პერსონაჟებს, ან ამა თუ იმ არსებას, ემბლემას და ა. შ., ზოგჯერ მათ წარწერებიც ახლავთ.

გემშების დიდი ნაწილი ფაქიზი ნახელავია და ბრწყინვალედ ახასიათებს ჩვენში მხატვრული ხელოსნობისა და მცირე საზვითი ხელოვნების ამ ყოვლად დახვეწილი დარგის განვითარების მაღალ დონეს — ძველისძველი ტრადიციული ოქრომჭედლობის მზარდამზარ, და აგრეთვე, სათანადო ნაწარმის დამკვეთ-მომხმარებელი საზოგადოებრივი ჯგუფების გემოვნებასა და ესთეტიკურ მოთხოვნილებას. გემშათა დიდი ნაწილი კი იმპორტული ჩანს, ისევე როგორც ლითონის ჭურჭლეულის უმეტესობა. ამ უკანასკნელის სიუხვით გამოირჩევა ბორის, არმაზისხევის, ბაგინეთ-არმაზციხის და ზღუდერის სამარხები, II—III ს. ს. (ბაგინეთის II ს. სარკოფაგში აღმოჩენილთაგან ბევრზე არის წარწერები).


განსაკუთრებით შინაარსიანია ადგილობრივ ხელოსანთა მიერ ნაკვეთი და ხშირად სათანადო (თითქმის ყოველთვის ბერძნული) წარწერებით აღჭურვილი პორტრეტული ინტალიოები. ისინი გვატყობინებენ მათი პატრონების (მაგალითად, მცხეთელი და ზღუდრელი ერისთავ-პიტიახშის და მისი ცოლის თუ სოხუმელი დიდაკების — ქალის, „ნინას“ და ორი ვაჟის, „ვიზანისის“ და ვარივისის“) სახე-გარეგნობას, თმის დაყენებას, ჩაცმულობას, სახელებს, თანამდებობას და ა. შ. ზოგჯერ კი მხოლოდ სახელსა და თანამდებობას ვეცნობით, ვერცხლის ჭურჭელზე ამოჩვენებული წარწერების წყალობით („ბუზშიპარ კეთილი პიტიახშის“ პინაკი ბორში, II საუკ.; „მეფე ფალდადის მიერ ბერსუმა პიტიახშისათვის ნაბოძები“ დიდი ლანგარი არმაზისხევთან, აღნიშნული ერისთავის სამარხში, III საუკ.; სასანური პინაკი, რომელზეც გამოხატული უნდა იყოს დინასტიის დამაარსებლის „ღვათებრივი არდაშირის პიტიახში ფაფაკი“ და ფალაურად წერია, რომ პინაკი მას უჩუქებია ქართლის „გურჯან ქვეყნის“ პიტიახშ არზამესისათვის), აქვე გასახსენებელია მაღლაკში (ქუთაისთან) ნაპოვნი სასანური პინაკი (ზედ ნადირობის სცენაა გამოსახული) და სარგვეში ნაპოვნი მაღალი ჭურჭელი, სასანიანი მეფე-დედოფლის რელიეფური გამოსახულებით დამშვენებული.

მცხეთელი ერისთავ-პიტიახშემბის ინვენტარში გამოირჩევა: ასპარუგის II საუკ. სამარხში აღმოჩენილი ინსტიგნიები ანუ ძალაუფლების ნიშნები — ოქროს ბალთებიანი სარტყელი, ოქროს დიადემა და ოქროს ბეჭედი საბეჭდავი გემითურთ; ბერსუმას ოქროს მოოჭვილტარიანი საზეიმო სატყვარი. საბეჭდავისა და სარტყლის ბალთის ინტალიოები „პირადად“ წარმოგვიდგენენ ასპარუგ ერისთავს და ზევახ ერისთავსა და მის დიდად მოსიყვარულე მეუღლეს კარპაკს — ვგებ ასპარუგის მშობლებს. ზევახის სახელი გამოკრთის კიდევ ორი ოქროს ბეჭდის თვლებზე (ერთზე — თითქოს სახეც, კვლავ). ქვემოთ ვისაუბრებთ სხვა წარწერათა შესახებაც. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ანტიკურ-აღმოსავლური გავლენა მკაფიოდ იჩენს თავს იმდროინდელი საქართველოს ონომინტიკაშიც (პირთა სახელებში).

ბორელ ერისთავ ბუზშირს და მცხეთელ ბერსუმას ჩატანებული აქვთ ერთი და ორი ვერცხლის პინაკი, რომლებზეც გამოსახულია საკურთხეველის (ბომონის) წინაშე მდგარი ცხენი. ამ სამ გამოსახულებას ახლახან მიემატა კიდევ ორი, ზღუდერში აღმოჩენილი (ერთზე ცხენის მაგიერ ტახია გამოსახული და აქვე უნდა დავძინოთ, რომ ტახის პაწია ქანდაკი, (ჩანს, ავგაროში) ნაპოვნია არმაზისხვეის ერთ სამარხშიც, II ს.). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ადგილობრივ ნაწარმთან და რელიგიურ-სიმბოლურ სინტაქსთან. ეს უკანასკნელი უკავშირდება ანტიკურ-წინააზიურ, მზისა და ნათელის ღვთაებას მითრას, რომლის კულტი მაშინდელ საქართველოშიც გავრცელებული და ადგილობრივი ძველწარმართული ფესვებით მოსაზრდოვე ჩანს.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: სამთავროში, მცხეთის სადგურთან, ბორში, კლდეეთში, წებელდაში, მთა რაჭაში, სამეგრელოში, ყვირილის ხეობაში და სხვ. ვხედავთ მკაფიოდ წარმოდგენილ წყებას სამარხებში ჩატანებული რიტუალურ-მაგიური ინვენტარის საგნებისა (ოქროს ირმისთავი თავილონში, ბრინჯაოსაგან სხმული მცირე, ცხოველთა გამომსახველი ქანდაკები და სხვა საკიდები, ზარაკები), ორნამენტებიანი და ცხოველთა გამომსახველი, ჭვირული ბალთებისა და სხვ. და სხვ., რომლებიც უმეტესად ძველი ტრადიციული რწმენის სამყაროდან მომდინარეობენ და ანტიკური „სულიერ-ნივთიერი იმპორტისაგან“ განზე დგანან. აღსანიშნავია ისიც, რომ მაგ., მცხეთის, ე. ი. დიდი ქალაქის სამაროვანთაგან განსხვავებით, არც თუ იშვიათად გვხვდება ინვენტარში იარაღ-საჭურველი, რკინისა და ბრინჯაოსიც კი: მახვილები, შუბები, ისრები, ლახტები და ა. შ. (კლდეეთში, ძვერში, სარგვეშში, სოფ. დილოშში, წებულდაში და სხვ.).

მდიდრულ სამარხთა დიდი უმეტესობა უფრო II-III ს. ს. მიეკუთვნება და ერთადერთი მკაფიო გამონაკლისია მცხეთის სადგურის დიდი აკლდამა, რომელიც I საუკუნის დამლევს უნდა იყოს აგებული. მაგრამ გამოერევა ისეთებიც, რომელთა ხნოვანება III-დან IV საუკუნეში შემოდის და ეს კიდევაც ეტყობა მათ ინვენტარს (სარგვეში, ურკვი, მაგრანეთი ერწოში, ახალგორის გვიანდელი სამარხი, კელასურის სამარხი სოხუმთან და სხვ.). ერთი ჯგუფი კი (არმაზისხვეის შესართავთან), საერთოდ IV საუკუნეს ეკუთვნის და მათ ინვენტარში შედის „გადმონათური“ საგნები: უწარწერო ინტალიო — საყურიანი დიდკაცის პორტრეტი, ბეჭედი და წყვილი სამაჯური, რომლებზეც არის არმაზული (იხ. ქვემოთ) წარწერები — სახელი „ადად“ და რაღაც მაგიური ტექსტი (ერთი ხსენებული ავგაროზის მსგავსად). III საუკუნის შემდეგ შეიმჩნევა ინტალიოთა გატლანქება-გასქემატურება, აღმოსავლური მოტივების მოძალება, აჭა-იქ ფალაური წარწერებიც. ერთი ბრწყინვალე ანტიკური გემმა ხელახლდა გამოყენებული IV საუკუნის სამკაულში (წილკანი).



ოქროს წნული ძეწკვი, კამეებიანი სამაჯურები, გემშიანი ბეჭდები და კილიტები
აღმოჩენილი არმაზციხის ბაგინათოს სარკოფაგში (ახ. წ. II ს.)



სასანური ვერცხლის ჭურჭელი, აღმოჩენილი სარგვეშში (ახ. წ. III-IV სს.)



გვიანანტიკური საქართველოს ნივთიერი კულტურისა და ხელოვნების მემკვიდრეობის წარმოდგენას ძალიან გვიმდიდრებს, გარდა მართლაც რომ ბრწყინვალე სამარხეული ინვენტარისა, ხუროთმოძღვრებისა და მშენებლობის ძეგლთა მთელი წყება ისეთ ნაქალაქარებში, როგორცაა მცხეთა, ურბნისი, ნოქალაქევი, ზღვისპირა ბიჭვინთა და სხვ. (სამშენებლო საქმის ისტორიაში სწორედ გვიანანტიკური ხანის გარიჟრაჟზეა საგულისხმებელი დიდი ტეხილი: დულაბის ქვითკირის გამოყენების დასაწყისი).

ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ისევ და ისევ, ასე ვთქვათ, სამარხეული არქიტექტურა და სამშენებლო საქმე. ძველი, ტრადიციული და უკვე იშვიათი ორმოსამარხების და ქვევრ-სამარხების ადგილს „დიდ მცხეთაში“ წულთაალრიცხვათა მიჯნიდან მოკიდებული (სხვაგან — უფრო გვიანაც) თანდათანობით იჭერს სამარხები, ნაგები დიდრონი ბრტყელი აგურისა, ორნაირი კრამიტისა და ფილაქვებისაგან, სახლაკებივით (არის მთლიანი ქვიდან ნათლი სამარხებიც, სარკოფაგები). ყველა ამთ ვხვდეთ სამთავროში, მცხეთის სადგურთან, არმაზისხევთან, ქ. მცხეთაში. შეიმჩნევა, რომ კრამიტს ფართოდ ხმარობდნენ და მასადაამე აწარმოებდნენ კიდევაც უმთავრესად ქალაქ ადგილებში ან განმარტოებულ დიდ რეზიდენციებში (მცხეთა, თბილისი, ურბნისი, ბორი და სხვ.). განსაკუთრებულ არქიტექტურულ-არქეოლოგიურ ძეგლებს წარმოადგენენ: ბაგინეთ-არმაზციხეში გათხრილი, სანახევროდ კლდეში ნაკვეთი და სანახევროდ ნაშენი დიდი აკლდამა და მცხეთის სადგურთან გათხრილი დიდი აკლდამა (ახ. წ. I ს.). ქვითკირით ნაგები, ფრონტონიანი, თლილი ქვით „ქართული წყობით“ შემოსილი, ქვის ნახევრად-მრგვალი თალით დაგვირგვინებული და კრამიტით დაბურული. ეს არის უძველესი თალიანი და კრამიტიანი მთელი ნაგებობა საქართველოში. მასში, ჩანს, ძალზე მდიდარი დედა-შვილი დაუმარხავთ ხის სარკოფაგით, რომელსაც ბრინჯაოს ქანდაკოვანი დეკორი თუ სიმბოლური აღკაზმულობა აქონია.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს: არმაზციხის ძველი „სვეტებიანი დარბაზის“ და მეზობლად მდებარე კაპიტალური შენობის ნანგრევებზე ქვითკირით და ქვათლილებით დაშენებული ნაგებობა, ქალაქის ზღუდის ზოგი ნაწილი (ქვათლილთა წყებაზე აღიზით დაშენებული), არმაზისხევთან გათხრილი ნაშთი ქვითკირის, თლილქვიანი დეკორის მქონე და მარმარილოს ქანდაკებებით დამშვენებული სასახლისა და მცირე სამლოცველოსი; აღნიშნულ უბნებში გათხრილი თითო მცირე, მაგრამ კარგად გამართული აბანოს ნაშთი; ქ. მცხეთაში, ურბნისში და გორის ციხეზე გამოვლენილი ნაშთები რიყისქვის ან ქვათლილების საფუძველზე აღიზით ამოყვანილი ნაირნაირი დიდრონი თავდაცვითი ნაგებობებისა, ნაქალაქევის ბიჭვინთის ციხე-ქალაქთა იმდროინდელი ქვითკირის ნაშენობა და ა. შ... აქ აღარას ვამბობთ რამდენსამე ადგილას გამოვლენილი მარნების, სამეურნეო შენობათა ნაშთების შესახებ და საერთოდ მეურნეობის შესახებ.

ანტიკურ ქართლში პოლიტიკური და კულტურული ვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებს უხვად ჰყენს სინათლეს დიდ მცხეთაში (არმაზისხევთან, არმაზციხეში), ურბნისში, ბორში, ზღუდერში და სხვ. აღმოჩენილი წარწერები, რომელთა ერთი ჯგუფის შესახებ უკვე ვისაუბრეთ. ბევრი მათგანი ბერძნულია, ბევრი კი — არანაკლებ გავრცელებული და აგრეთვე საერთაშორისოდ ქცეული არამეული დამწერლობით გამოყვანილი. ეს უკანასკნელი იმდენად სახეცვლილია და საგრძნობლად გადაკეთებული ჩანს იბერია-ქართლში, რომ მას, კარგა ხანია, „არმაზული დამწერლობა“ ეწოდა. არმაზულ წარწერებს ვხვდავთ: ბაგინეთის სარკოფაგის



ვერცხლევულზე, არმაზისხევის ზოგ სამკაულზე და ავეგაროში ბაგინეთის ერთი შენობის კედელზე, ურბნისის ერთ ქვევრზე და სხვ.

განსაკუთრებით შინაარსიანია ქვის დიდრონ სტელებზე ამოკვეთილი ვრცელი წარწერები. ერთი მათგანი აღმოჩენილია ნაქულბაქვევის ვიწრობში. ბერძნული წარწერა გვაუწყებს, რომ იგი აღმართავთ ახ. წ. 75 წელს, რომის იმპერატორ ვესპასიანესა და მის ძეთა, ტიტუსა და დომიციანეს სახელით იმის აღსანიშნავად, რომ მათ „რომავლთა და კეისრის მეგობარს, იბურთა მეფე მითრიდატეს და ხალხს კედლები გაუმაგრეს“. (ამ „ნამაგრის“ ნაშთები — ბერძნულ-წარწერიანი ქვები მართლაც აღმოჩნდა იმ ადგილის მახლობლად, სადაც სტელა იპოვეს). ამ ცნობილი ეპიგრაფიკული ძეგლის თანადროული ჩანს არმაზისხევთან, სასახლის ნაშთების მახლობლად აღმოჩენილი სტელა, რომელზეც „არმაზულად“ წერია ერთგვარი „რელაცია“ ზემოთ ხსენებული მეფე მითრიდატეს ერისთავ-პიტიახშის შარაგასისა, სამხრეთ ქვეყნებში წარმატებით ჩატარებული ომიანობის შესახებ. წარწერა ბოლომდე ჯერ არ არის ამოკითხული.

იქვე ახლოს იჩინა თავი სტელამ, რომელზეც ორენოვანი, პარალელური ბერძნულ-არმაზული წარწერაა („არმაზის ბილინგვა“). ეს არის ეპიტაფია, რომელიც დასტირის „ახალგაზრდა და სწორუპოვარ მშვენიერ სერაფიტს“. იგი ყოფილა ასული ქსეფარნუგ მეფის ერისთავის, მცირე პიტიახშ ზეეახისა (რომელსაც უკვე გავეცანით) და ცოლი ეზოსმოდერისა და ძღვეამოსილი სარდლის იოდმანგანისა, რომლის მამაც თავის მხრივ ფარსმან მეფის ეზოსმოდვარი აგრიფა ყოფილა. შესაძლოა, სერაფიტი ასპარუგის უმცროსი დაც კი ყოფილიყო.

თავისთავად ჩანს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ წარწერებს და მეტადრე სერაფიტის ეპიტაფიას გვიანანტიკური ქართლის სახელმწიფო ორგანიზაციისა და კონკრეტული ისტორიული პირების გაცნობა-შესწავლისათვის.

ასეთია, ძალიან მოკლედ და ზოგადად, წიალისეულ ძეგლთა მიხედვით მოხატული არქეოლოგიური და ისტორიული სურათი იმ ქართული ქვეყნებისა, ქართლ-იბერიისა და ეგრის-კოლხიდისა, რომელნიც არსებითად იმყოფებიან ახალი საზოგადოებრივი წყობის — ფეოდალიზმის და ახალი იდეოლოგიის — ქრისტიანობის დამკვიდრების წინკარში და ნელ-ნელა შემოდინ ამ უკანასკნელთა წიალში, აღჭურვილნი ძველი ტრადიციული კულტურითაც და საყოველთაო-ანტიკურითაც.

აბაკი ურუშადი
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

**სამართველოს
უჩველესი
ქალაქი**



მინოტავრი. სკვალბტერული რელიეფი

ჩვენი რესპუბლიკის მშვე-
ნება ქალაქი ქუთაისა ძალზე
შორეული წარსულის ცოც-
ხალი მოწმეა. იგი არათუ სა-
ქართველოს, არამედ მსოფლიოს
ერთი უძველესი ქალაქთაგანია.
მისი მრავალსაუკუნოვანი ის-
ტორია მჭიდროდ უკავშირდება
ძველ ქართველ ტომთა დასავ-
ლურ გაერთიანებას, რომელსაც
ბერძნულ-რომაული წყაროები
ჯერ აიას (აიაიას) მერე კო-
ლხეთისა და უფრო მოგვი-
ნებით ლაზიკა-ეგრიისის
სახელით მოიხსენებენ.

ქართველი ხალხის წინაპარ ტომებს და მათ ქვეყანას ყოველთვის მნიშვნელოვან-
ად ადგილი ეკავა ელინთა მატერიალური თუ სულიერი ცხოვრების სფეროებში. ძვე-
ლი ქართველური ტომების მჭიდრო კავშირი (შესაძლოა გენეტიკურაც) ეგეოსურ სამ-
ყაროსთან შემთხვევითი ხასიათისა როდი იყო. ძველ ბერძენ ისტორიკოსებმა და ფი-
ლოსოფოსებმა, ისევე როგორც რომაელ ავტორებს, საკუთარი ეროვნული ისტორია ვერ
წარმოედგინათ მასში ქართველთა წინაპარი ტომების — კოლხური ტომების როლი-
სა და ადგილის გაუთვალისწინებლად.

ნიშანდობლივია დიდი ბერძენი მოაზროვნის პლატონის გამოთქვამი: „დედა-
მიწა მეტისმეტად დიდია და ჩვენ მხოლოდ მის უმცირეს ნაწილში ვცხოვრობთ ფაზისი-
დან პერაკლეს სვეტებამდე“, ე. ი. „რიონის სანაპიროებიდან გიბრალტარის სრუტემ-
დეო“ (დილოგი „ფედონი“, 53). პლატონის მიერ ძველი დროის კულტურული სამ-
ყაროს ერთ-ერთ მიჯნად ფაზისის (რიონის) აღიარება მრავლისმეტყველი ფაქტია.

კოლხურმა გაერთიანებამ უაღრესად დიდი როლი შეასრულა ანტიკური ქვეყ-
ნების ხალხთა ისტორიაში. ამას ადასტურებს კოლხეთის დიდი ხვედრითი წონა ბერ-
ძნულ-რომაულ მითოლოგიასა და მწერლობაში.

ძველ ბერძნულ გადმოცემებში მოცულობისა და გავრცელების თვალსაზრისით
თქმულებათა სამი დიდი ციკლი გამოირჩევა. ესენია: არგონავტების, თებესა და ტროის





ციკლთა თქმულებები. ამათგან ყველაზე უძველესია არგონავტების ციკლის თქმულება. თქმულება არგონავტებზე ანუ აია-კოლხეთში დაცულ ოქროს საწმისზე და გადმოცემები იასონ-მედეას, აიეტისა და კირკეს შესახებ პელაგურ-ელინურ წრეშია აღმოცენებული და მეორე ათასწლეულის შუახანებში უნდა იყოს შექმნილი.

თქმულება არგონავტებზე მეტად პოპულარული თქმულება გახლდათ. იგი ანტიკური ეპოქის სულიერი კულტურის ერთ-ერთ უხვად მასაზრდოებელ წყაროდ გადაიქცა და არ დარჩენილა ამ ეპოქის ხელოვნებისა და მწერლობის არც ერთი დარგი, რომელსაც ეს თქმულება მთლიანად ან ცალკე ეპიზოდების სახით არ დაემუშავებინოს. იგი ბერძნული მითოლოგიის ოქროს ფონდში შევიდა.

ჰომეროსის ეპოსი (პოემები „ილიადა“ და „ოდისეა“), რომელიც ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეს განეკუთვნება, დაწვრილებით იცნობს არგონავტების თქმულებასა და კოლხურ გარემოს. ჰომეროსი მოიხსენიებს ძველისძველ ქართველურ ტომს — ხალიბებს, კოლხთა გამგებელს ჰელიოსის ძეს აიეტს, აიეტის დას — კირკეს, მედეას შვილსა და შვილიშვილს და არგონავტთა თქმულების სხვა პერსონაჟებს. „ოდისეის“ ავტორისათვის აია ანუ კოლხეთი არის მხარე, სადაც „აისზე შობილი უოსის (განთიადის) სასახლეში ფერხული ეწყობა და საიდანაც ჰელიოსი აღმოსვლას იწყებს“ (XII, 1-4).

არგონავტების თქმულებაში დაცულია სინამდვილის ამსახველი მრავალი ფაქტი. ძველ ბერძენ ავტორებს ეჭვი არ ეპარებოდათ თქმულებაში ასახულ ამბავთა სინამდვილეში. ელინისტური ხანის ევჰემერისტი, ძვ. წ. III საუკუნის მწერალი პალეფატე ამბობდა: „ჯერ იყო საქმე, ხოლო მერმე განიდა სიტყვა ამ საქმის შესახებო“ („პროტეორონ ეგენეტო ტო ერგონ, ეით პუტოს ჰო ლოგის ჰო პერი აუტონ“).

არგონავტთა თქმულების უძველეს გადმოცემებში უკვე ლაპარაკია კოლხთა უმტკიცეს ციხე-სიმაგრეზე, კოლხთა ბელადის აიეტის ბრწყინვალედ ნაგები სასახლის კარზე. მართალია, არგონავტთა თქმულების უძველეს ვერსიებში კოლხთა მეტროპოლისი სახელდებით არ მოიხსენიება, მაგრამ უეჭვო ჩანს, როცა აიეტის ციხე-სიმაგრეზეა საუბარი, სწორედ ქუთაისი იგულისხმება. ამას ადასტურებს ყველა მერმინდელი გადმოცემა. ამ გადმოცემათა და არქეოლოგიურ ძიებათა შედეგად მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისი და მისი სანახები ადამიანის უძველესი საცხოვრისი იყო.

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ძველი კოლხეთის ტერიტორიაზე რამდენიმე მძლავრი კულტურული ცენტრის არსებობა დაადასტურა. ქუთაისთან ერთად უმნიშვნელოვანესი იყო ვანისა და საირხის კულტურული ცენტრები.

მაინც რომელია პირველი ბერძნული წერილობითი წყარო, რომელშიც ქუთაისი შეიძლება ვიგულისხმოთ? ასეთ წყაროდ მე მიმაჩნია ძველი წელთაღრიცხვის VII-VI საუკუნეების პოეტის მიმნერმეს ელეგიების მე-11 ფრაგმენტი. აქ მოხსენებულია აიეტის ქალაქი. მომყავს ამ ფრაგმენტის სრული თარგმანი: „თვით იასონიც ვერასდროს ვერ წამოიღებდა დიად საწმისს აიადან (კოლხეთიდან), თუმც ტვირთშიმძიმე გზა განვლო ზვიადი პელიასის უძნელესი დავალების აღსასრულებლად; ვერც ოკეანის ლამაზ ნაპირს ვერ მიღწევდნენ (არგონავტები); მედეას სიყვარულს რომ არ ეშველა... (აქ არის) აიეტის ქალაქი (აიეტაო პოლის), სადაც მალი ჰელიოსის სხივები ძვეს ოქროს დარბაზში. სადაც წარემართა ღვთაებრივი იასონი“.

ფსევდო-სკილაქს კარიანდელის სახელით ცნობილი ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის ერთ თხზულებაში, რომელსაც „პერიპლუსი“ („პერიპლუს ოიკუმენეს“)



ეწოდება, ლაპარაკია კოლხეთის დიდ უცხო ქალაქზე. ამ თხზულების ფრაგმენტთა მკვლევარულ-პარაგრაფში ნათქვამია შემდეგი: კოლხები. გელონების შემდეგ არის ტომი, რომელიც მდინარე ფაზისი და ქალაქი დიოსკურიის, გენოსი — ელინური ქალაქი და მდინარე გიენოსი, მდინარე ქერობიოსი, მდინარე ქოსოსი, მდინარე არიოსი, მდინარე ფაზისი და ელინური ქალაქი ფაზისი, მდინარის აღმა აყოლებით 180 სტადიონია დიდ უცხო ქალაქამდე, საიდანაც იყო მედეა. აქ არის მდინარე რისი...“ ვინაიდან ყველა გადმოცემით მედეა ქუთაისელია, ფსევდო-სქილაქისა მიერ მოხსენებული „უცხო ქალაქი“ ქუთაისად უნდა მივიჩნიოთ. მითუმეტეს რომ აქვეა დასახელებული მდინარე რისი (ე. ი. რიონი). ჩემს ვარაუდს თითქოს ერთგვარ დაბრკოლებას უქმნის ფრაგმენტში მოხსენებული მანძილი (180 სტადიონი დაახლოებით 35 კილომეტრს უდრის), მაგრამ საქმე ის არის, რომ აქ შეიძლება ავტორისავე უზუსტობა იყოს ანდა პალეოგრაფიული შეცდომა.

ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნიდან მოკიდებული აია-კოლხეთის ქალაქი ქუთაისი უკვე სახელდებით მოიხსენიება ბერძნულსა და რომაულ წყაროებში. პირველი ავტორი, რომელიც სახელდებით მოიხსენებს ქუთაისს და მედეას ქუთაისელს ეწოდებს, არის ძვ. წ. III საუკუნის დასაწყისის პოეტი და გრამატიკოსი ლიკოფრონი. ქალაქი დეღი. ლიკოფრონი ცნობილი ეპიკოსი პოეტის აპოლონიოს როდოსელის უფროსი თანამედროვე იყო და სამეცნიერო და სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა ალექსანდრიის ბიბლიოთეკასა და მუზეუმში. ლიკოფრონის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება „კასანდრა“ ანუ „ალექსანდრა“ ნათქვამია, რომ „იასონმა მოამზადა ზომალდი ორმოცდაათი მეზღვაურით და მივიდა ლიგისტოკურ კვტაისში“.

ქუთაისი მოხსენებულია ლიკოფრონის თანამედროვე მოღვაწისა და პოეტის აპოლონიოს როდოსელის მასწავლებლის კალიმაქე კვირენელის (დაახ. 315-240) თხზულებაშიც („მიზეზები“). აქ დასახელებული არიან ხალიბები, აიეტა, მედეა, ქუთაისელები (სიტყვა-სიტყვით კვტაისელები).

შემდეგი ავტორი, რომელიც ქუთაისს მოიხსენებს, არის პოემა „არგონავტიკის“ ავტორი, ელინისტური ეპოქის დიდი პოეტი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი (295-215). ქუთაისი პირველად მოხსენებულია „არგონავტიკის“ II წიგნის 1267-ე ტაევში: ფაზისში ნავით შეკურებულ არგონავტებს „ხელმარცხნივ ეკავათ მაღალი კავკასიონი და აიას ქალაქი კვტაისი“.

აიეტის შესახებ რამდენჯერმე ნათქვამია, რომ იგი არის ქუთათური (კვტაიუსი, კვტაიოს). პოემის II და IV წიგნებში დასახელებულია „ქუთაისის მზარე“ და „ქუთაისის მიწა“. აპოლონიოს როდოსელის პოემის მიხედვით ქუთაისი მრავალრიცხოვანი კოლხი ხალხითაა დასახლებული. აი როგორ აღწერს პოეტი კოლხთა მეფის აიეტის რეზიდენციას: „(არგონავტები) შესასვლელთან გაჩერდნენ და გაოცებით შესცქეროდნენ სასახლის გალავანს, ფართო ჭიშკრებსა და სვეტებს, რომლებიც მწკრივად აღმართულიყვნენ კედლების გარშემო; სასახლის ზემოთ სპილენძის ჭინგურებზე იდგა ჭვის კოშკი... სასახლის ზღურბლთან მალა აღმართული, მწვანე ფოთლებით დაბურული ვაზები ფართოდ გადაშლილიყო. მათ ქვეშ მოჩუჩუხებდა ოთხი უმრეტე წყარო, რომლებიც ჰეფესტომ ამოიღო. ერთი რძეს მოაჩქეფებდა, მეორე — ღვინოს, მესამე სურნელოვან ზეთს მოარაკაკებდა, მეოთხე კი მოაქუხებდა წყალს, რომელიც პლეიადების ჩასვლის ეამს თბებოდა, მათი აღმოსავლის დროს კი, პირიქით, ყინულივით ცივი ამოქუხდა ამოღარული ლოდიდან. აი ასეთი ღვთაებრივი საქმენი შეასრუ-



ლა ქუთაისელი აიეტის სახახლეში სახელოვანმა ჰეფესტომ...“ (არგონავტიკაში) 215-229).

ქუთაისი, როგორც კოლხეთის მეფის რეზიდენცია, მრავალგზისაა მოხსენებული აპოლონიოს როდოსელის პოემის სქოლიოებში ეგრეთწოდებულ ორფიკულ „არგონავტიკაში“, რომელიც ახ. წელთაღრიცხვის IV საუკუნეში უნდა იყოს შეთხზული, პირდაპირაა ნათქვამი, რომ „ხომალდმა არგომ მიაღწია აიეტის ციხე-სიმაგრეს კვტაისს“. ქუთაისს, როგორც კოლხთა ქალაქს, კარგად იცნობენ რომელიც ავტორებიც.

ბიზანტიური ხანის თხზულებებში ქუთაისი საკმაოდ ხშირად არის მოხსენებული როგორც უძველესი ქალაქი და ციხე-სიმაგრე განსაკუთრებით საყურადღებოა პროკოფი კესარიელის მოწმობა: „ამ მხარეს (ლაზიკას) ჩამოუდის მდინარე სახელად რეონი, რომლის სანაპიროსთან ძველადვე აუგიათ ციხე, რომელიც შემდეგ მათვე მეტწილად მიწასთან გაუსწორებიათ, რადგან ის მეტად დაბალ ვაკეზე მდებარეობდა, და მათი აზრით, ადვილი მისასვლელი იყო. მაშინ ამ ციხეს ელინთა ვნით კოტაიონს უწოდებდნენ, ახლა კი ლაზები მას ქუთაისის ეძახიან. ძველ ხანებში ეს ადგილი ქალაქი იყო და კომატააონი ეწოდებოდაო, ამბობს არიანე. აქაური იყო აიეტი, რის გამოც პოეტები მას კომატაიელს, ხოლო კოლხეთის ქვეყანას კომატაიტის ეძახდნენ...“

ქუთაისის სახელწოდება ბერძნულსა და რომაულ წყაროებში ნაირგვარადაა წარმოდგენილი მომყავს ყველა ცნობილი შემთხვევა ქართული ტრანსკრიფციით: კვტა, კვტააა, კვტაიის, კვტაიონ, კვტე, კვტეის, კოტააონ, კომატააონ, კომატაიტის, კუტატუსის.

როგორც ზემოთაც ითქვა, ხშირია ქუთაისის მოხსენიება ზედსართულ ფორმაშიც: კვტაევეს, კვტააოს, კვტაიე, კომატაევეს (ქუთათური, ქუთაისელი).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქუთაისის სახელწოდება ძალზე ძველი ჩანს: ამ სახელის ფუძის შემცველი გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდება გვხვდება მიკენურ წარწერებში.

კოლხთა ქალაქის ქუთაისის სიძველე ერთხელ კიდევ დაადასტურა 1969 წელს ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ძიების შედეგად აღმოჩენილმა ქვაში გამოკვეთილმა ორმა ქანდაკებამ, რომლებიც ხარის (მინოტავრის) თავს გამოსახავენ. მინოტავრის გამოსახულება გავრცელებული იყო ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნემდე. აკად. შ. ამირანაშვილის აზრით, ქუთაისში აღმოჩენილი რელიეფები თარიღდება გვიანმინოსური ხანის I ჭეუპერიოდით. აღმოჩენილი ქანდაკებები ალბათ ჩასმული იყო საკულტო დანიშნულების ნაგებობაში.

ქუთაისის უძველესი წარსულის შესახებ გადამჭრელი სიტყვა არქეოლოგიას ეკუთვნის. ქუთაისში ახალი აღმოჩენილი ქანდაკებანი მინოტავრის გამოსახულებით კიდევ ერთხელ ადასტურებს აია-კოლხეთის უძველესი ცენტრის ასაკს და ახალ შუქს ჰყენს ქართველ ტომთა დასავლური გავრთიანებისა და ეგეოსური სამყაროს ურთიერთობის საკითხს.



ქვაბ-ქალაქ უფლისციხის არქიტექტურა

(იხილეთ შემოკლებით)

იმ დროს, როდესაც იქმნებოდა უფლისციხის არქიტექტურა (VI—V ს. ს. ძ. წ.) იბერიაში უკვე არსებობდა მდიდარი საალმშენებლო გამოცდილება; ამას უახლესი არქეოლოგიური გათხრების მონაცემები ადასტურებენ. კეთილმოწყობილი ქალაქების, სხვადასხვა დანიშნულების საზოგადო და რელიგიური შენობების მშენებლობისათვის იყენებდნენ რთულ კონსტრუქციულ ხერხს, აქემენიდური არქიტექტურის სტილთან ახლომდებარე — საყრდენ-ძელურ სისტემას.

უფლისციხის იშვიათი შემონახულობა, ამასთან, ქვაბულ შენობათა რთული მწყობრი, ერთიანი სტილისა და ხასიათის არქიტექტურა ნებას გვაძლევს ძეგლი მივაკუთვნოთ უძველეს, ჩვენს დრომდე შემონახულ უნიკალურ ქალაქთა ჯგუფს.

ამჟამად ამ ტერიტორიის გათხრა-გაწმენდას უშუალოდ აწარმოებენ არქიტექტორი თ. ქარუმიძე და არქეოლოგი დ. ხახუტაიშვილი აკად. შ. ამირანაშვილის საერთო ხელმძღვანელობით. ახალგათხრილ ქვაბულ შენობათა არქიტექტურის გამოვლინება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, წესრიგში მოვიყვანოთ კომპლექსები. გავარკვიოთ მათი არქიტექტურის სტილი, გვემა, გამოვავლინოთ საერთო კანონზომიერება ცალკეულ ქვაბულთა ანსამბლებისა და ქალაქისა მთლიანად.

კლდოვანი მასივი, რომელშიც გამოკვეთილია უფლისციხე, მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დაახლოებით გორიდან 15 კმ მანძილზე წყალდაყოლებით. კლდის მასივი შედგება ორი ნაწილისაგან: დასავლეთის მაღალი კლდოვანი, წაგრძელებული კონფიგურაციის, კლდეში ნაკვეთი ქალაქით და აღმოსავლეთის კლდოვანი მასივი, რომელიც უფრო დაბლაა.


ქალაქის ეს ორი ნაწილი, იმის გარდა, რომ სხვადასხვა დონეზე მდებარეობენ, 350 მეტრის სიგრძეზე ბუნებრივი ნაპრალით იყო გამოყოფილი. ნაპრალი მთელ სიგრძეზე ხელოვნურად ჩაღრმავებულია 3—4 მეტრით და 7—10 მეტრამდე გაგანიერებულია. სავარაუდებელია, რომ ქვედა ქალაქში ზედა ქალაქის მოსამსახურე ხალხი ცხოვრობდა.

კლდოვან მასივს სამხრეთის მხრიდან ჩამოედის მდინარე მტკვარი, დასავლეთიდან კი იგი თითქმის ვერტიკალური კლდეა.

ნაკვეთი ქალაქი უწინ ალბათ ვრცელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დასავლეთის ძლიერმა ჭარბმა და პერიოდულმა მიწისძვრებმა საუკუნეთა განმავლობაში გამოქარა და დაანგრია სწორედ ის ნაწილი, რომელშიც ყველაზე მეტი ქვაბები ყოფილა.

ნაკვეთი, რომელშიც არის ქალაქი, ჩრდილოეთისაკენ ფართოვდება და სამკუთხედის მოყვანილობას ემსგავსება, სიმაღლე თანდათან ტერასულად ეცემა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 300 მეტრის სიგრძეზე, სიმაღლეში 55 მეტრია სხვაობა. დახრა საშუალოდ 15—18 გრადუსს უდრის.

ქვედა ქალაქის ტერიტორიაზე, სამხრეთის უკიდურეს მხარეზე შემორჩენილია კლდეში ამოჭრილი 3—4 მეტრი სიგანის და 50—70 მეტრი სიგრძის საურმე გზა. სამხრეთის უკიდურესი კუთხის დასავლეთიდან ამოდის კლდეში ამოკვეთილი საცალფეხო ბილიკი. სამხრეთიდან ჩრდილოეთით ქალაქს გადაკვეთს საცალფეხო გზა.



მას აქვს განშტოებანი, რომლებსაც მიეყვართ სხვადასხვა ჯგუფებთან თუ კომპლექსებთან. ქალაქში არ არის ფართო საურმე ქუჩები, არ არის საცხოვრებელი სახლების უბნები, ისე როგორც ეს ჩვეულებრივ ანტიკურ ქალაქებშია.


მრავალი კანონზომიერება შესაძლებელს ხდის გამოვამყვანოთ ქალაქის გეგმარების პირვანდელი ჩანაფიქრი.

საერთო გეგმარება, ბილიკების ბაღე კომპოზიციურად მეტად თავისებურად უკავშირდება ქვაბულ შენობებს, ანსამბლებს და მაინც ქალაქი კეთილმოწყობილ იერს ატარებს.

განზოგადებული კლასიფიკაციის მიხედვით განირჩევა ქვაბულ შენობათა ოთხი ტიპი: მარტივი ერთოთახიანი (ნახ. 1), ოროთახიანი (ნახ. 2), მრავალოთახიანი (ნახ. 3), რთული მრავალოთახიანი (ნახ. 4), (იხ. ტ. II). მათ აერთიანებს არქიტექტურულ-კომპოზიციური ხერხი: პორტალები და ეზო სათავსოების წინ. მიუხედავად მა-

უფლისციხე. ძირითად ქაბულ შენობათა კლასიფიკაცია
შედგინა ა.ქ. ბ. სუჯავამ. 1968.

ს. II



თი სიდიდისა, სათავსოების სიმრავლისა, პორტალები კლდეში იკვეთებოდა ხოცრულ თალად. საუკუნეების მანძილზე ზოგი პორტალი გადაკეთების გამო საგრძნობლად დამახინჯდა, მაგრამ აქა იქ შეჩვენებული ფრაგმენტების წყალობით უმრავლესი მათგანის აღდგენა შეიძლება. უზოებს პორტალის წინ გვერდებზე ჩაყვება კლდეში გამოკვეთილი სკამები. ეს გარემოება ეზოს საზოგადოებრივ იერს ანიჭებს.


კომპლექსების უმრავლესი ნაწილი ფასადით სამხრეთისკენაა მიმართული. ჯგუფი შედგება რამდენიმე კომპლექსისაგან და შეერთებულია გეგმის, ფასადის საერთო არქიტექტურულ-შტატურული იდეით. ქალაქის ტერიტორიაზე არის შენობები, რომელთაც დამოუკიდებელი, უფრო სწორად, დამხმარე სამეურნეო ხასიათის დანიშნულება აქვთ: გვირაბი, ქულბაქები, ავაზნები, უზოები და სხვა...

უფლისციხის არქიტექტურა-გეგმარების თავისებურებას ისიც წარმოადგენს, რომ ამ ქაბულ შენობათა კომპლექსი გამოკვეთილია პირიზონტალურ, ოდნავ დაქანებულ კლდოვან პლატოზე და არა ვერტიკალურად, როგორც ეს არის უმრავლეს არსე-



სკოტ-ბ. (ნაპა) 1968

ტ-IV



ბულ ქვაბულ კომპლექსებში: ვანის ქვაბებში (თურქეთი), სირიაში (პეტრა) და ჩვენს ვარძიაში.

ქალაქის უკიდურეს სამხრეთის მხარეზე, სადაც ქალაქში მთავარი შემოსასვლელი იყო, დატოვებულია ვრცელი პორიზონტალური ფართობი, რომელიც ალბათ ქალაქის მოედანს წარმოადგენდა, ამ მოედანს ესაზღვრება ბილიკის გასწვრივ, კლდეში გამოჭრილი ქულბაქების ცხრა სათავსო. იქვე მოედანთან უძველესი წარმოშობის კლდეში გამოკვეთილი გვირაბია, რომლის დიამეტრი 3 მეტრამდეა. გვირაბში ჩასასვლელი მოედანთან ახლოსაა. გვირაბი ჩადის მტკერის პირზე და ქალაქს წყლით ამარაგებს. V და VI ჯგუფები საეკლესიო შენობებია და შუა საუკუნეების შენობათა ჯგუფს ეკუთვნის.




უფლისციხის არქიტექტურის მსგავსი უნდა ვეძიოთ წინა აზიაში გაგრძელებულ ქვაბულ ქალაქებსა და ქვაბულ ანსამბლებში, რომელთა უმრავლესობა მემორიალური და საკულტო ძეგლებია.

უფლისციხე-ანაპლითა და შენობათა ანსამბლი

1:10000

ტ-ყ

აღნიშნული ნიშნით



ყველაზე ახლოს უფლისციხის არქიტექტურის ტიპთან არის ურარტული უძველესი კულტურის ქვაბულ შენობათა ანსამბლი, გამოკვეთილი ვანის კლდეში (ვანის კლდის ქვაბულები მდებარეობს ვანის ტბის ნაპირზე, თურქეთში, იქ სადაც იყო ურარტუს სატახტო ქალაქი ტუმშა, ახლა სოფ. ვანი).

მსგავსება ნათელია, თუმცა უფლისციხისა და ვანის ქვაბულ შენობათა წარმოქმნას ათასი წელი მაინც აცილებს.

მეზუთე საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მოსე ხორენელი თვლის, რომ ვანის ქვაბულის ანსამბლი გამოკვეთილია ასურეთის მეფე ქალის შამირამის (სემირამიდას) მიერ და რომ „ქვაბულები წარმოადგენს სასახლე საფანე-პალატებს, განძოსაცავს“ და არა აკლდამებს. ბ. ბ. პიოტროვსკი ვანის კლდის ქვაბულებს მიწის ზედაპირზე არსებული ურარტული არქიტექტურის ტრადიციებს უკავშირებს სათავსოების, ხის კოჭების და-



ხურულ ქვაბში, ჭერში და აგრეთვე კლდეში გამოკვეთილი ხოკერის მსგავსი მხატვრული ძეგლების მიხედვით.

ვანის კლდის ქვაბულთა კომპლექსში, როგორც უფლისციხეში, არის აგრეთვე სხვადასხვა სირთულის ჯგუფები, ერთოთახიანი და მრავალთახიანი ფასადები, ერთი გამოკლებით, ვანში მიმართულია სამხრეთ-დასავლეთისაკენ.

ვანის ქვაბების შენობები ხასიათდება შემდეგი საერთო კომპოზიციური თვისებებით. ცენტრალური დარბაზი გამოირჩევა თავისი სტილით. მისი ჭერი ორ კომპლექსში ხოკერის მსგავს თაღს წარმოადგენს, დანარჩენ ორში კორინთიანულია. ცენტრალური დარბაზი გადაწყვეტილია როგორც ნაკვეთი სივრცე, რომელსაც შესასვლელი მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან აქვს. მხოლოდ დარბაზის გულში შეიძლება მოხვდეთ მცირე სათავსოებში, რომლებიც მას სამი მხრიდან ეკვრის.

ვანის კომპლექსები ატარებენ თავდაცვითი ციხის ხასიათს. უფლისციხეში ცენტრალურმა დარბაზმა მიიღო სულ სხვა, საწინააღმდეგო გადაწყვეტა. აქ დარბაზი გახსნილია პარადული მალაღი თაღოვანი პორტალის სახით. პორტალის სამი ან ერთი მხრიდან არის ოთახებში შესასვლელი. პორტალი გამოდის კეთილმოწყობილ ეზოში, სადაც ნაპირებზე სკამებია მოწყობილი.

უფლისციხეშიც გამოყენებულია კედლების და ჭერის ძეგლებით მოპირკეთება, განმეორებულია ქვაში ხოკერის მსგავსი თაღები, ორქანობიანი სახურავები. ამგვარად ასახულია თანამედროვე ჩვეულებრივი საცხოვრებლის თუ საზოგადო შენობათა არქიტექტურული ფორმები.

უფლისციხის ზოგი სათავსოს ორქანობიანი სახურავი, თაღის არქაული ფორმა გვხვდება აგრეთვე მიდიურ აკლდამებში.


ხის ჭერის იმიტაცია წვრილი მორების წყობის სახით გამოკვეთილია კიზვაპანის აკლდამაში. მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებენ კონსტრუქციის და გვემა-სივრცის ანალოგიების გამოყენებას არქიტექტურაში, როგორც წინა აზიის ქვაბულ ანსამბლებში ისე უფლისციხეში.

უფლისციხის ქვაბ-ქალაქის არქიტექტურის აზომებები, მათი კვლევა საშუალებას იძლევა ქალაქის განვითარებაში დეკადენტოთ სამი მთავარი ეტაპი.


პირველყოფლისა, არქაულ პერიოდში ამ შესანიშნავ ადგილზე ქვაბულები წარმოიშვა. ქვაბულთა ჯგუფი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო კლდიანი მასივის შუაში. სათავსოები უხეში ტექნიკით იყო დამუშავებული და ოთახები, ჯგუფები, რაღაც სისტემით იყვნენ ერთი მეორესთან დაკავშირებული. ძნელია გადაჭრით მტკიცება, თუ რა დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო ეს სათავსოები — საცხოვრებელი თუ საკულტო? მაგრამ შეიძლება დავუშვათ რომ ქვაბული სათავსოები უფრო საკულტო დანიშნულებისა უნდა ყოფილიყო.

მეორე პერიოდი აღინიშნება უფლისციხის არქიტექტურის აყვავების ხანად, როდესაც მალაღი მხატვრული სტილის, ერთიანი არქიტექტურა იქმნება. მისი დასაწყისი შეიძლება დავათარილოთ ძვ. წ. VI—V საუკუნეებით. აი ამ პერიოდის დასაწყისის არქიტექტურა შემოგვრჩა ჩვენ ასე თუ ისე და უნდა იყოს ჩვენი კვლევის მთავარი ღერძი.

მეორე პერიოდს, რომელსაც ზოგადად „რომაულს“ უწოდებენ, შედარებით მოკლე დროს უარსებნია, მაგრამ უფლისციხის არქიტექტურაზე თავისი დაღი დაუსვამს. ამ დროს გამოიკვეთა ზოგიერთი მნიშვნელოვანი ქვაბული, ამ დროს მიგუთვნება მაკსენციის ბაზილიკის სტილის ორნამენტი ამოკვეთილი (IX—I) კომპლექსის პორტალზე.




არამაშახსიათებელ ქვაბულთა ჩანაწერი



ვანკახსიათა ჩანაწერი

შემდეგი მესამე პერიოდი ემთხვევა ქრისტიანულს, ადრე ფეოდალური ხანის შუა საუკუნეებს და ა. შ. ქრისტიანობის პერიოდი ჩვენთვის არქიტექტურის თვალსაზრისით იმითაა ნიშანდობლივი, რომ ამ დროს ცდილობდნენ უფლისციხის გადაკეთებას საცხოვრებლად, ამას თვით უფლისციხის მონუმენტური ქვაბულები მოგვითხრობენ ყოველ ნაბიჯზე. ამ ეპოქაში მოხდა უფლისციხის აყვავების ხანის არქიტექტურის გადაკეთება-დამახინჯება. ამ ეპოქაში უფლისციხე შუა საუკუნეების ციხედ გადაკეთ-



და და საცხოვრებლად უფლისციხის ყოველი სათავსო გამოიყენეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობის ეპოქაში შენდება-იკეთება ასეთი რთული ქვაბულები, როგორცაა ველსიები თაღებით, გუმბათის იმიტაციით. ისინი მეტად ჩამოუვარდებიან აფხაზების პერიოდის კედლის დამუშავებას ვერტიკალური და ჰორიზონტალური ხაზის სიზუსტეში.

ასეთი დიდი ქალაქის აშენება-გამოკვეთა, ასეთი მაღალი მხატვრული არქიტექტურის დონეზე, მიგვითითებს მაშინდელი იბერიის ეკონომიურ და პოლიტიკურ სიძლიერეზე, დიდ არქიტექტურულ-მხატვრულ სამშენებლო კულტურაზე, კერძოდ მაგარი კედლის ქვაბულთა გამოკვეთა-აშენების გამოცდილებაზე. კედლის ზედაპირის დამუშავების მაღალ ტექნიკაზე, რაც შემდეგ შუა საუკუნეებში დავიწყებას მიეცა.



პომპეუსის თავდასხმა იბერიაზე

ძვ. წ. I საუკუნის 70—60-იანი წლები მცირე აზიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენებით აღინიშნა. ამ დროს დამთავრების ფაზაში შევიდა ხანგრძლივი ომი რომისა და პონტოს სამეფოებს შორის (ძვ. წ. 66 წ.). რომის არმიის მთავარსარდლად დაინიშნა ამ ხანებისათვის საკმაოდ სახელმწიფოეული გენერალ-კომანდანიტი, რომელსაც რომის სენატმა დაავალა ეწარმოებინა ომი პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის წინააღმდეგ.

ამ დროისათვის მითრიდატე VI და მის მოკავშირეს დიდი არმენიის (სომხეთის) მეფეს ტიგრან II დიდს ფაქტიურად მთლიანად განთავისუფლებული ჰქონდათ ადრე რომაელი სარდლის ლუციუს ლუკულუსის მიერ დაკავებული პონტოს ტერიტორია, ამიტომ პომპეუსს თავიდან მოუხდა საქმის დაწყება. მან რამდენიმე ბრძოლის შემდეგ შეტაკებაში უკუაგდო პონტოს მეფის ჯარები და ბოლოს სომხეთის საზღვრების ახლოს სასტიკად დაამარცხა ისინი. მითრიდატე VI გაქცევა მოუხდა; მან თავი კოლხეთს შეაფარა, საიდანაც შემდეგ ბოაფორში (ყირიმში) გადავიდა. პომპეუსმა არ მისდია მითრიდატეს და მის მოკავშირე არმენიაში შევიდა, სადაც ამ დროს ხანდაზმულ ტიგრან II მისი უმცროსი ვაჟი ტიგრან უმცროსი აუჯანყდა. ასეთ ვითარებაში სომხეთის მეფემ ვერ გაბედა ძლევამოსილ რომაელ სარდალთან შერკინება, ესეც მას და მორჩილება აღუთქვა.

პომპეუსმა ტიგრან II მის მიერ დაპყრობილი ადგილები ჩამოართვა, ხარკი დაუწესა და აიძულა თავი „რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ“, სინამდვილეში რომის ვასალად ეცნო. ტიგრანის დამორჩილების შემდეგ პომპეუსმა თავისი ჯარი საზამთროდ დაბანაკა მდ. კირნოსის ანუ მტკვრის ნაპირას. სწორედ აქ ძვ. წ. 66 წ. დეკემბერში რომის ჯარს ღამით მოულოდნელად თავს დაესხნენ მუსობელი ალბანელები. მაგრამ რომაელებმა დაამარცხეს ისინი და მდინარე მტკვრის გაღმა გადარქვეს.

ძვ. წ. 65 წლის ადრე გაზაფხულზე კი პომპეუსი თავისი ლეგიონებით უკვე იბერიაში ანუ ქართლში შევიდა. რომაელთა იბერიაზე თავდასხმა ყველაზე დაწვრილებით აღწერილი აქვს რომაელ ისტორიკოსს დიონ კასიოს კოეინუსს (ახ. წ. 153 -- 235 წწ.).

„მომდევნო წელს — წერს დიონ კასიოსი — პომპეუსს ომი მოუხდა იბერებთანაც. მათთან ყოველგვარი მოლოდინის გარეშე უფრო ადრე მოუხდა შეხება. იბერთა მეფეს არტოკეს ეშინოდა, რომ პომპეუსი მათ წინააღმდეგ წავიდოდა, ამიტომ მან გაუგზავნა ელჩები მეგობრობის წინადადებით, თვითონ კი ემზადებოდა, რათა მშვიდობაში დარწმუნებულ პომპეუსს მოულოდნელად თავს დაესხმოდა, მაგრამ პომპეუსმა გაიგო ამის შესახებ და პირველი შეიჭრა მის ქვეყანაში, მანამ ის შესძლებდა მომზადებას და მეტად ძნელგასავალი ვიწრობების დაკავებას. პომპეუსმა მოასწრო მისვლა ქალაქამდე, რომელსაც აკროპოლისი ეწოდებოდა, სანამ არტოკე გაიგებდა მის მოახლოებას. ქალაქი მდებარეობდა სწორედ ხეობის პირას, ერთი მხრიდან გადაჭიმული იყო კავკასიონი; აქედან ქალაქი სიმაგრით იყო დაცული შემოჭრისაგან. შეშინებულ არტოკეს სრულიად არ ჰქონდა დრო მომზადებულიყო ბრძოლისათვის; იგი გადავიდა მდინარეზე და დასწვა ზიდი, ხოლო სიმაგრის დამცველები მისი გაქ-



ცვეისა და ბრძოლაში დამარცხების გამო, დანებდნენ. პომპეუსმა ამგვარად მოქმედება ხელთ ვიწრობები, ჩააყენა შიგ დარაჯები, დაიძრა აქედან და დაიპყრო მდინარის გამოღმა მდებარე მთელი მხარე. შემდეგ დიონ კასიოსის მოთხრობილი აქვს, როგორ გადავიდა პომპეუსი მტკვარზე, მისდია არტოკეს, დაამარცხა მისი ჯარი და ბოლოს აიძულა იბერიის მეფე მიეცა მძევლები, დაედო ზავი და თავი რომის მეგობარ-მოკავშირედ ეცნო.

უპირველეს ყოვლისა დგება საკითხი, საიდან, რა მარშრუტით შემოიჭრა პომპეუსი იბერიაში. ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება საკითხს სად იყო 66/65 წ. წ. ზამთარში დაბანაკებული პომპეუსის ჯარი. ამის თაობაზე რამდენიმე მოსაზრება იყო გამოთქმული. ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა თეოდორ მოშენმა მიაქცია ყურადღება დიონ კასიუსის ცნობას, რომ პომპეუსი დაბანაკდა ანაიტისში. რადგან ანაიტისად ჩვეულებრივ იწოდებოდა არმენიის დასავლეთი ოლქი — აკილისენა, ანუ ეკლექი, თ. მოშენმა გადაწყვიტა, რომ პომპეუსმა თავისი ჯარი საზამთროდ მოაწყო მდ. ეფრატისა და მტკვრის სათავეებს შორის. ამ მოსაზრებას საპართლიანად არ დაეთანხმა სომეხი ისტორიკოსი ი. მანანდიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ იბერია-კოლხეთ-ალბანეთზე სალაშქროდ მოშადებული პომპეუსი არ წავიდოდა ასე შორს ამ ქვეყნების საზღვრებიდან. თ. მოშენის საწინააღმდეგოდ ი. მანანდიანმა სრულიად ახალი მოსაზრება წამოაყენა: მისი აზრით პომპეუსი დაბანაკებული იყო მტკვრის ზემო წელზე, თანამედროვე ახალქალაქის რაიონში და აქედან შევიდა მტკვრის ხეობით, აწყურ-ბორჯომის გზით, იბერიაში.

ფიქრობთ, არც ამ მოსაზრებას აქვს რაიმე მყარი საფუძველი. ახალქალაქის რაიონი, ეს მკაცრპავიანი, მთიანი ოლქი ვერაფერი საზამთრო ადგილი შეიძლება ყოფილიყო რომელი ჯარისკაცებისათვის. ამავე დროს, დიონ კასიუსის მოთხრობიდან ჩანს, რომ საზამთროდ მტკვრის პირას მდგომ რომაელებს მტკვარზე გადმოსვლის შემდეგ ალბანელები დასხმიან თავს. იმისათვის, რომ ალბანელები ახალქალაქის რაიონში მყოფ რომაელებს დასხმოდნენ, მათ უნდა გაეცლოთ მეტად გრძელი მანძილი ან სომხეთის ტერიტორიით, ან იბერიით, რაც ძნელი დასაჯერებელი ჩანს, მით უფრო, რომ დიონ კასიუსის მიხედვით, ალბანელები იმიტომ დასცემიან რომაელებს, რომ მათი ალბანეთში შეჭრისა ეშინოდათ. ახალქალაქის რაიონში დაბანაკებული რომაელები რა საშიში უნდა ყოფილიყვნენ ალბანელებისათვის? რომელი ისტორიკოსის პლუტარქეს გადმოცემითაც, რადგან პომპეუსს სურდა მითრიდატეს დასდევნებოდა, ალბანელებთან მოლაპარაკება დაუწყია, რომ მათ ტერიტორიაზე გაეტარებინათ იგი. ისინი დათანხმებულან, მაგრამ როდესაც ზამთარმა რომაელებს მათი ქვეყნის საზღვართან მოუსწრო, თავს დაესხნენ მათ, გადალახეს რა მდინარე კირნოსი ანუ მტკვარი.

ამ ცნობიდან აშკარაა, რომ პომპეუსს დაუბანაკებია მდინარე მტკვრის ნაპირას, სადღაც ალბანეთის საზღვრების მახლობლად. სწორედ ამ ახლო მესობლობამ შეაშფოთა, როგორც ჩანს, ალბანელები და აიძულა ისინი რომაელებს ანახდევულად თავს დასხმოდნენ.

უკანასკნელად ამ საკითხს შეეხო აკად. გ. მელიქიშვილი. მანაც უარყო ი. მანანდიანის მოსაზრება, მაგრამ ფაქტურად დაუბრუნდა თ. მოშენის მოსაზრებას, მხოლოდ სცადა დამატებითი საბუთების მოტანა დიონ კასიოსის და ისტორიკოს აპიანეს შრომიებიდან, მაგრამ ეს დამატებითი ცნობები რომელიც ისტორიკოსთა ტექსტების არასწორ გაგებაზეა და მყარებული და იმიტომ უარსაყოფი. თავისთავადაც რომ



ზელთა მდ. დასავლეთ-ვეფრატის და მტკვრის სათავეებს შორის დაბანაკებულ მდინარეებს შორის იმ ცნობებთან, რომლებიც ალბანელების რომაელებზე თავდასხმას გადმოგვცემენ, როგორც ი. მანანდიანის ვერსია.

წყაროთა მონაცემები ერთდერით დასკვნის საშუალებას იძლევა: პომპეუსი საზამთროდ 66/65 წელს დაბანაკებული იყო მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირას, ალბანეთის საზღვრების ახლოს. რამდენადაც ცენტრალური სომხეთიდან მტკვრის ველისაკენ გზა, როგორც ეს გარკვეულია, მდ. ალსტაფის ხეობით მიდიოდა, საფიქრებელია, რომ პომპეუსი სწორედ ამ გზით წასულა და სადღაც აწინდელი ყაზახისა და თოუზის მიდამოებში დაუბანაკებია.

შესაბამისად წყდება პომპეუსის იბერიამი შემოსვლის მარშრუტის საკითხიც. ზევით უკვე აღნიშნული იყო, რომ ი. მანანდიანის ვარაუდით პომპეუსი შუა ქართლში აწყურ-ბორჯომის გზით უნდა შემოსულიყო. რადგან უარგავით მანანდიანისეული ლოკალიზაცია პომპეუსის საზამთრო ბანაკისა, ცხადია ეს მარშრუტიც გაუმართლებლად მიგვაჩნია, მაგრამ იგი სხვა მხრივაც მიუღებელია. ჯერ ერთი, დიონ კასიოსის მოთხრობიდან ჩანს, რომ პომპეუსი სრულიად ანაზღვეულად მივიდა იბერიის დედაქალაქამდე, არტოკემ ვერც კი გაიგო მისი მოახლოვება. ასეთი მოულოდნელობა სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა, პომპეუსს რომ მტკვრის ზემო წელიდან მცხეთამდე მდინარის მთელი ხეობა გაეგო. შეუძლებელია ამ ხნის განმავლობაში იბერიის მეფეს ვერ გაეგო მისი მოახლოვება, მით უფრო, რომ არტოკე არც ისე გულხელდაკრფილი იყო და მტრის დასახვედრად ემზადებოდა. ამას გარდა, ქართულ საისტორიო წყაროებში აღნიშნულია, რომ ანტიკურ ხანაში ქართლში, სწორედ მტკვრის ხეობაში რამდენიმე ციხე-ქალაქი მდებარეობდა: ოძრხე, ურბნისი, კასპი და სარკინე, ამით გარდა უნდა ვიგულისხმოთ აგრეთვე უფლისციხე და გორიც, რომელთა არსებობა ამ დროისათვის არქეოლოგიურად არის დადასტურებული. როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ამ ქალაქებთან პომპეუსს არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედროდა და ხელშეუწყობლად მისულიყო სატახტო ქალაქამდე. შემდეგ, დიონ კასიუსის მოგვითხრობს, რომ მტრის მოულოდნელი თავდასხმის გამო არტოკემ ვერ მოასწრო მტკვრის მთელად გასაჯალი ვიწრობების დაკავება. რამდენადაც ცოტა ქვევით დიონი აღნიშნავს, დედაქალაქის დაკავების შემდეგ პომპეუსმა ეს ვიწრობები აიღო, უეჭველია, რომ აქ სწორედ მცხეთა-არმაზის მიმდგომი ადგილები იგულისხმება. პომპეუსი რომ მტკვრის ზემო წელიდან წამოსულიყო, რალა აზრი ექნებოდა ამ ვიწრობების დაკეტვას, როდესაც იბერიის ფარგლებში მოქცეული მდ. მტკვრის მთელი ხეობა უკვე მტერს ეკავა.

ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ პომპეუსი ქართლის დედაქალაქს აღმოსავლეთიდან უნდა მისდგომოდა. რადგანაც ზევით პომპეუსის საზამთრო ბანაკი მდ. მტკვრის ნაპირას, დაახლოებით ალსტაფისა და თოუზის შესართავთა რაიონში ვიგულისხმეთ, ვფიქრობთ, რომ პომპეუსი აქედან მდ. მტკვარს უნდა აპყლოდა და ისე მისდგომოდა იბერიის სატახტო ქალაქს. იბერიის სამეფოს ტერიტორია ამ დროს, როგორც ეს ჩვენ სხვა ადგილას გვაქვს გარკვეული, იწყებოდა დაახლოებით მდ. ხმარის (ქციის) მტკვართან შეერთების ადგილას, აქედან პომპეუსს მართლაც შეეძლო სწრაფად და მოულოდნელად მისვლა მცხეთის სანახებამდე. ასეთ ვითარებაში არტოკესათვის მართლაც ჰქონდა მნიშვნელობა მცხეთა-არმაზის აღმოსავლეთით მდებარე ვიწრობების გამაგრებას; ამით იგი გზას შეუკრავდა რომაელებს, როგორც დედაქალაქისაკენ, ისე დანარჩენი იბერიისაკენ. ერთი სიტყვით, პომპეუსს უნ-



და ესარგებლა სომხეთისა და ქართლის დამაკავშირებელი გზების იმ მტკვრით, რომელიც ალსტაფის ქვემო დინებიდან მტკვრის აყობებით თბილის-მცხეთის რაიონს აღწევდა. ამ მოსაზრებას სავსებით ადასტურებს რომელიც გეოგრაფოსის სტრაბონის ცნობაც. ლაპარაკობს რა იბერიაში შემოსასვლელ გზებზე, სტრაბონი აღნიშნავს: „ხოლო არმენიიდან შემოსასვლელი არის კიროსის ვიწროებზე და არაგოსისაზე. ამ შემოსასვლელით ისარგებლა პირველად პომპეუსმა“. მართლაც, აღნიშნული გზა თითქმის ალსტაფის შესართავიდან სულ მტკვრის მარჯვენა ნაპირს მიჰყვება. ამ გზით მიმავალი, თბილისის შემდეგ მდებარე ვიწროებების გავლით მართლაც არმაცხებე მცხეთასა და არაგვის (არაგოსის) შესართავს მიაღებოდა.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ პომპეუსის იბერიაში შემოჭრის მარშრუტი.

აქვე გვინდა შევეხოთ კიდევ ერთ საკითხს: ზევით მოვიტანეთ ამონაწერი დიონ კასიუსის „რომის ისტორიიდან“, სადაც აღნიშნულია, რომ პომპეუსმა მოასწრო მისეულა ქალაქამდე, რომელსაც აკროპოლისი ეწოდებოდა. ამ სახელით დიონ კასიუსი უდავოდ გულისხმობს იბერიის დედაქალაქს, რომელიც სტრაბონთან ქარმოსი ექედ, პლინიუსთან ქარმასტიხსად, ხოლო კლავდიუს პტოლემეისთან ქარმაკტიკად იწოდება. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი, რომ ამ სახელით აღნიშნებოდა ქართლის სამეფოს დედაქალაქი არმაცხიზე. ანტიკური რეალიებისა და 1941—1943/44 წ. წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მთელი უეჭველობით დადასტურდა, რომ არმაცხიზე ანუ ბერძნულ-რომაული წყაროების პარმოსიკე-პარმასტის-პარმაკტიკა მდებარეობდა მცხეთის მამლობლად, არმაზის ანუ ბაგინეთის ბორცვზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არაგვის შესართავის პირდაპირ. ამავე დროს ცნობილია, რომ ქართლის სამეფოს დედაქალაქად პირველ საუკუნეზე გაცილებით უფრო ადრე ხდება ქალაქი მცხეთა; ხოლო ანტიკურ ლიტერატურაში იბერიის დედაქალაქი ამ სახელით პირველად ახ. წ. II ს. გვხვდება (კლავდიუს პტოლემეისი).

ეს მდგომარეობა უნდა აიხსნას იმით, რომ არმაცხიხის ცნებაში შედიოდა ქალაქი მცხეთაც, როგორც აკად ხ. ჯანაშია აღნიშნავს, „არქეოლოგიური გათხრებისა და ძველ ავტორთა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ „არმაზის ციხე“ წარმოადგენდა მხოლოდ მთელის ნაწილს, სახელდობრ მცხეთის აკროპოლისს, რომლის სახელწოდებაც („მცხეთა“) ბერძნულ-რომაული ლიტერატურისათვის ცნობილი ხდება ჩვ. წ. II საუკუნიდან“. ცხადია, რომ დასავლურ წყაროებში ცნობები იბერიის შესახებ ჩნდება უმთავრესად პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ; რამდენადაც რომაელებს საქმე კჭონდათ პირველ რიგში სწორედ დედაქალაქის აკროპოლისთან (შიდა ციხესთან), სწორედ მისი სახელი გაიგეს პირველად და მას ასახელებენ თავის ანგარიშებში თუ აღწერილობებში. დიონ კასიუსის მიერ იბერიის დედაქალაქის — „აკროპოლისად“ წოდებას ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება, რამდენადაც გვეხმარება არმაცხიხის რაობის გარკვევაში. ბერძნული ტერმინი „აკროპოლისი“ ზედმიწევნით შეუფერება ქართულ „შიდა ციხეს“ და ქართულ წყაროში კი არმაცხიხე სწორედ მცხეთის „შიდა ციხედ“ არის წოდებული.

ამრიგად, აღმოსავლეთიდან მცხეთისაკენ მტკვრის აყობებით მომავალი პომპეუსი მიაღდა თავდაპირველად სწორედ ქართლის დედაქალაქის „შიდა ციხეს“ — არტოკემ ვერ გაბედა პომპეუსის ლეგიონებთან პირისპირ შეხმა, მიატოვა თავისი სატახტო ქალაქის აკროპოლისი, მტკვარს გაღმა გადავიდა საკუთრივ ქალაქ მცხეთაში და ხიდი დაწვა. არმაცხიხის გარნიზონმა მეფისგან მიტოვებულმა, ველარ დაიცვა „ში-



და ციხე“ და დანებდა რომელ სარდალს. ამის შემდეგ პომპეუსმა მტკვრის მარჯვენა სანაპირო დაიპყრო და, დიონ კასიუსის სიტყვით, დაიწყო მზადება მტკვარზე ვადასვლინათვის. არტოკე მიხვდა, რომ მთავარი ციხის დაკარგვის შემდეგ ველარ შეუშლიდა პომპეუსს ხელს თვით ქალაქის აღებაშიაც, პომპეუსს ზავი შესთავაზა და მტკვარზე ხიდიც აღადგინა; მაგრამ, როცა პომპეუსი გადავიდა მდინარეზე, არტოკეს მაინც შეეშინდა მასთან მისვლისა, ვერ ენდო და მდ. არაგვის ხეობაში გაიქცა, სადაც მიუხედავად მეომართა გმირული ბრძოლისა, კვლავ მარცხი განიცადა და ბოლოს იძულებული შეიქნა ზავი ეთხოვა.

ასეთი იყო პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის ძირითადი ფაქტები.

მდინარე „პელორის“ მდებარეობისათვის

ბერძენ-რომაელ ისტორიკოსს დიონ კაიოსს (II—III ს. ს. ქ. შ.) პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის აღწერისას „რომის ისტორიაში“ სხვათა შორის დასახელებული აქვს მდინარე პელორი, რომლის ლოკალიზაციამ ჩვენს ისტორიკოსებს შორის დავა გამოიწვია. საკითხი დღემდე გადაჭრილი არ არის.

მე ჩემს რომანზე „მითრიდატეზე“ მუშაობისას აგრეთვე წამომეჭრა ეს საკითხი. მართალია, მხატვრულ ნაწარმოებს ვწერ და არა მეცნიერულ გამოკვლევას, მაგრამ ამ გარემოებამ მაინც შემიქმნა დამატებითი სიძნელეები.

ველარც მეცნიერულ კვლევას დაველოდები და საკითხი, ასე თუ ისე, სიმართლესთან ახლოს უნდა „დავხატო და ავამეტყველო“.

მიუებრუნდი პირველწყაროებს, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა და იძულებით კვლევას შევეუდექი.

მოვიტან ვრცელ ამონაწერს დიონ კასიოსის ტექსტის ქართული, მეცნიერული თარგმანიდან (ნ. ლომოურის გამოკვლევა დიონ კასიოს გვ. 60—61).

„როდესაც პომპეუსი უკვე კიროსზე (მტკვარზე ლ. გ.) გადასვლას აპირებდა, არტოკემ (ადერკმა ლ. გ.) გაგზავნა მასთან ელჩები ზავის თხოვნით და დაპირდა ნებაყოფლობით ზიდის ასუნებას (მოგვთა ზიდისა, რომელიც ქართველებმა ჩაშალეს ლ. გ.) და სურსათის მოწოდებას. მან (არტოკემ) შეასრულა ორივე, რადგან სურდა დამორჩილება, მაგრამ როდესაც დაინახა, რომ პომპეუსი მდინარეზე გადმოვიდა, შეშინებული გაიქცა მდინარე პელორისაკენ, რომელიც აგრეთვე მის სამეფოში მოედინებოდა... „როდესაც პომპეუსმა ეს დაინახა, გაეცა მას, დაეწია და დაამარცხა: ვიდრე მისი მშვილდოსნები თავის მოხერხებას გამოიყენებდნენ, პომპეუსი ეცა მათ და უმაღლვე უკუაქცია. ამის მერე არტოკე გადავიდა პელორზე, დაწვა ზიდი და გაიქცა, ხოლო მის მეომართაგან ზოგი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგი მდინარეზე გადასვლისას. მაგრამ მრავალნი გაიფანტნენ ტყეებში და რამდენიმე დღეს თავს იცავდნენ, (ხაზი ჩემია ლ. გ.) ისრებს ისროდნენ რა ხეებიდან, რომლებიც იქ ძალიან მაღალია. მაგრამ შემდეგ, როდესაც ხეები გაკაფულ იქნა, ისინიც დაიღუპნენ. მაშინ არტოკემ კვლავ მოლაპარაკება დაიწყო პომპეუსთან და ძღვენიც გამოგზავნა.“

პომპეუსმა მიიღო ძღვენი, რათა ის (არტოკე) ზავზე დაიმედებული არ წასულიყო სადმე უფრო შორს, მაგრამ დაზავებაზე უარს უუბნებოდა, სანამ ის წინასწარ არ გამოუგზავნიდა თავის შვილებს მძევლებად. არტოკე გარკვეულ ხანს აყოვნებდა, სანამ რომაელებმა არ ისარგებლეს იმით, რომ პელორი ზაფხულის გამო ამ ადგილას გადასასვლელი გახდა და ადვილად გადავიდნენ მასზე, მით უფრო, რომ არავინ არ უშლიდა ხელს.

აქ კი მან (არტოკემ) გამოუგზავნა თავისი შვილები და ამის მერმე დასდეს ზავიც“.

ბუნებრივია, იმალება კითხვა — რა მდინარეა ეს „პელორი“, რომელმაც, მტკვრის თავდაცვითი ზღუდის გადმოლახვის შემდეგ, მეორე თავდაცვითი ზოლის როლი შეასრულა... თუმცა, საუბედუროდ, ქართველები აქაც დამარცხდნენ.



ზოგი მას მდინარე ლორედ სთვლის (ლატიშვიის შრომის ახალი გამოცემის კურსული მენტატორი), ზოგი არაგვად (ნ. ლომოური), ზოგიც პელორს — დასახელების მნიშვნელობას აკლებს და აღწერილობითს აძლევს („პელო — ბერძნულად — ვმოძრაობ, მივიწრაფი“ ვ. დონდუა).

ლორეზე ლაპარაკიც ზედმეტია, მტკვრის მარცხენა ნაპირიდან უკან დახეული არტოკე (ადრკი) მით უმეტეს, ლაშქრითა და ხიზნებით, მდინარე ლორეს, დებედის ხეობაში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ისიც საკმაოდ შორს, ვერასგზით ვერ მიაღწევდა.

ვფიქრობ, პელორი მაინცდამაინც დასახელებაა და არა მხატვრული აღწერილობა. დიონ კასიოსს ასეთი რამ არც ახასიათებს. ასეც რომ იყოს, რაღაც გარკვეული მდინარე ზომი მაინც არის, თავინი ხიდიოთა და ადიდება-დაკლებით.

რა თქმა უნდა, არ არის იგი არც არაგვი, სწორედ ტექსტი ამას არსად „გვავარაუდებინებს“.

დიონ კასიოსს პირდაპირ უწერია — „შეშინებული (არტოკე) გაიქცა მდინარე პელორისაკენ, რომელიც აგრეთვე მის სამეფოში მოედინებოდა“...

აქ „აგრეთვე მის სამეფოზე“ ლაპარაკი და არა არაგვზე, რომელიც იმავე ქალაქში მოედინება და მტკვარს ერთვის... და არაგვისაკენ გაქცევა ასეთი მასშტაბის იშში რა სახსენებელია! ტექსტი დრო და მანძილი არის ნაგულისხმევი. პომპეუსი „გაევიდა მას, დაეწია და დაამარცხა, ვიდრე მისი მშვილდოსნები თავის მოხერხებას გამოიყენებდნენ“, ესე იგი ხეებზე ავიდოდნენ და ჩაუსაფრდებოდნენ, რაც შემდგომ მაინც გააკეთეს...

„პომპეუსი უცა მათ და უმაღლე უკუაქცია“... ნათელი სურათია რამდენიმე ბრძოლით უკან დახევნა, საკმაოდ დიდ და ტყიან მანძილზე.

აქ არაგვი თავისთავად გამორიხებულია — არც მანძილია, არც ტყე, არც მდინარე, რომაელების ლაშქრის შემაფერხებელი.

ჩემი ვარაუდით, პომპეუსი დაეცა იბერიას გაზაფხულზე (აპრილში), დაასწრო იბერიელთა სამზადისს და მოულოდნელად მოვიდა. ფრიად სარკვევია ამ მოსვლის მოულოდნელობის ახსნაც, ალბათ ისიც გზის შერჩევაში იფარება.

ყოველ შემთხვევაში, მათი მოსვლისას მტკვარში უკვე იგრძნობა წყალდიდობა, არაგვში, საფიქრებელია, რომ არა... ტყეს კი უკვე აქვს ფოთოლი — მეომრებს ჭვარავს. პელორზე წყალდიდობაა, იბერიელი მეომრები მდინარეზე გადასვლისას, ხიდის დაწვის შემდეგ დაილუპნენ.

რომაელებიც შეაჩერა მდინარემ. არტოკეს ახალი მოლაპარაკების საშუალება მიეცა... „პომპეუსმა მიიღო ძღვენი, რათა ის (არტოკე) ზავზე დაიმედებული არ წასულიყო სადმე უფრო შორს“ (ხაზი ჩვენია ლ. გ.). შორს კი უკვე არის წასული არტოკე, მაგრამ თავის სამეფოში... თუმცა დადგა ზაფხულიც (ივნისი, ივლისი) პელორი „ამ ადგილას გადასასვლელი გახდა“ და რომაელებიც „ადვილად გავიდნენ მასზე“...

ერთადერთი ასეთი მდინარე, რომელიც ყოველი თვალსაზრისით უდგება „პელორს“ არის — იორი.

მე, შესამოწმებლად, გავიარე იბერიელთა მცხეთიდან დახვეის სავარაუდო გზა... არაგვი, ავჭალის ტყეები, ღრმაღლე, მლაშე ტბები (ახლანდელი თბილისის ზღვა), მარტყოფი, ნორიო და იორი... შესაძლებელია უმნიშვნელოდ განსხვავებული ვარიანტებიც, რომლებიც აგრეთვე უკარმა-ბოჭორმას ნაკვეთზე გამოდიან იორზე.



აქ, სოფელ პალდოსთან, იორზე არის ხიდი, რომელიც ძველ გზას აღდგენილი და ახლად დასაბურთავი ხიდების ადგილები ძველად იშვიტად იქცეულა ბოდა, ყოველ შემთხვევაში აქ, იორზე დასაძებნია ძველი ხიდის ბალავარი.

ჩვენ არ მოგვეპოვება საბუთი, არსებობდა თუ არა მაშინ უჯარმა. საფიქრებელია, რომ საურმაგმა, არა ცარიელ ადგილზე, „აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“. ხოლო დედა-ციხედ წოდებული, იორს გაღმა საიმედო თავშესაფარი, ქართლოსის ცოლის აშენებული ბოჭორმა უკვე არსებობდა.

მტკვრის მარცხენა მხარეზე, ერთადერთ საბრძოლო ზღუდედ გამოსადეგი მდინარე, მაშინდელ პირობებში, ისიც ზაფხულამდე, იყო იორი, რომელიც 35—40 კილომეტრით არის დაშორებული მცხეთიდან. ეს საბრძოლო და დასახვეი გზა ჰქონდათ იბერებს. ჩრდილოეთით თუ დასავლეთით, ვერცერთი მდინარე ვერ უძლებს კრიტიკას.

პელორი კი ხმოვანობითაც ახლო არის იორთან. დამახინჯებები ფრიად ხშირია.

საფიქრებელია, ორთოგრაფიულ ნიადაგზე წარმოშობილი შეცდომის შედეგი იყოს ეს დამახინჯება. ამის დაზუსტება უკვე წმინდა მეცნიერების საქმეა.

ჩემი რომანისათვის საჭირო დასკვნა კი საკმაოდ დასაბუთებულად მიმაჩნია, ხოლო მასალა იქნებ ისტორიკოსებსაც გამოადგეთ.



ანტიკური ხანის ორი ხიდი საქართველოში

საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ძველ სახიდე ნაგებობათა შორის დღევანდლამდე გამოვლინებულია ასზე მეტი ძველი ხიდი. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ორი შესანიშნავი ნაგებობა: მცხეთის ხიდი — მდინარე მტკვარზე და „გატე“ ხილი ხიდი — მდინარე ხრამზე.

მცხეთის ხიდი. მცხეთის ხიდის აგების საწყისი თარიღი საუკუნეთა წალში იკარგება. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი არსებობდა იმ დროიდან, როდესაც აქ მტკვრის ორივე ნაპირზე გაშენებული ქალაქი დაფუძნდა. ამიტომაც მცხეთის ხიდი ჩვენ მიგვაჩნია კაცობრიობის ისტორიაში ცნობილ ერთ-ერთ უძველეს ხიდად და საინჟინრო ნაგებობად.



მცხეთის ქვის თაღოვანი ხიდი, აგებული 1841 წ., ამჟამად ჩაპირულია ზაქესის საგუბარში

მცხეთის ხიდის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ერის უძველესი დედაქალაქის მცხეთის ისტორიასთან.

თითქმის ორი ათასეული წლის მანძილზე ამ სახიდე ნაგებობას იხსენიებენ ნრავალი ერის ისტორიკოსები, მწერლები. ანტიკურ მწერალთა (აპიანე, დიონ კასიოსი და სხვ.) ცნობებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ მათ დროს ორი მდინარის — მტკვრის და არაგვის შესართავთან არსებობდა უძველესი, თვალსაჩინო სავაჭრო და სახელმწიფო ქალაქი, სახიდე გადასასვლელით მდინარე მტკვარზე.



„გატეხილი ხიდი“. ძველი ხიდის ბურჯი მარჯვენა სანაპიროზე.
ფოტო ნ. კვეზერელი-კობაძის. 1950 წ.

ხიდი მდებარეობდა მოგვთა უბნის მახლობლად, იქ, სადაც ქრისტიანობის წინა ხანაში ბინადრობდნენ წარმართი კასტის, მოგვთა ქურუმები, რის შესაბამისადაც ქართულ ისტორიულ მატრიანეებში იგი მოხსენებულია „მოგვთა ხიდის“ სახელით.

„მოგვთა ხიდი“ მეფე ვახტანგ გორგასალს საფუძვლიანად გადაუკეთებია იმაგვარად, რომ წყალდიდობის დროს მტკვარს ხიდისათვის უვნებლად მთლიანად გაველო მის ქვეშ.

არსებული აღწერილობებიდან და გამოსახულებიდან ჩანს, რომ „მოგვთა ხიდს“ ვახტანგ გორგასალის რეკონსტრუქციის შემდეგ ასეთი სახე ჰქონია — მდინარის მთავარ კალაპოტს ხურავდა 20 მეტრი სიგრძის ხის კოჭოვანი მალი. ორივე მხრიდან მას უდგებოდა ქვითკირის მისასვლელები, რომელთაც დაყოლებული ჰქონდათ წვრილხვრელებიანი თალები, რათა მდინარეში დონის ამაღლების დროს ზემოტი წყალი გაეტარებინათ.

ამ სახით „მოგვთა ხიდმა“ იარსება საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე რუსების მმართველობამ 1839—41 წ. წ. ძველი ისტორიული ხიდი დაანგრია და მის ადგილზე ააშენა დიდი ოთხთაღოვანი ქვის ხიდი. მისი მშენებელი ინჟინერი ტერმონი იყო.

1841 წელს აგებულმა კაპიტალურმა ხიდმა იარსება 85 წელი და ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის კაშხალის მშენებლობასთან დაკავშირებით 1926 წ. ზაქე-სის საგუბარში მოექცა და მთლიანად ჩაიძირა წყალში.

მიუხედავად არსებული უდავო ცნობებისა, ზოგიერთმა რომანტიკულად გან-
წყობილმა უცხოელმა ავტორმა ამ ნაგებობის მშენებლობა მიაწერა რომაელ მხე-



„გატეხილი“ ხიდი“. ძველი ხიდის ბურჯი მარცხენა სანაპიროზე.
ფოტო ნ. კვეხერელი-კოპაძის. 1950 წ.

დართმთავარს პომპეუსს, რომელმაც თავისი ლეგიონებით ძვ. წ. I საუკუნეში, სდევნიდა რა დამარცხებულ პონტოს მეფე მითრიდატე VI, ბრძოლით გაიარა მცხეთა, და მოუხდა დიდი ბრძოლა იბერებთან, მცხეთელებმა ჩაანგრეს „მოგვთა ხიდი“. მაგრამ უციცი ავტორები ამ შეცდომითაც არ დაკმაყოფილდნენ, მათ პომპეუსის სახელი მიაკუთვნეს იმ ახალ ხიდსაც კი, რომელიც რუსებმა 1841 წელს ააშენეს.

ფაქტების ამგვარი არეგდარევის შედეგად, დღესაც ქართველი მწერლები და პოეტები უმღერიან საქართველოს უძველეს „მოგვთა ხიდს“, ოღონდ მას „პომპეუსის“ ხიდს უწოდებენ. ასე „გასაჩუქრებული“ აღმოჩნდა უძველესი ქართული ხიდი.

ქართველებს არ ესაჭიროებოდათ ხიდების მშენებლობისათვის უცხო ქვეყნების სპეციალისტების გამოყენება. უხსოვარი დროიდან ხიდმშენებლობის ხელოვნება საქართველოში მეტად მაღალ დონეზე მდგარა, რასაც მოწმობენ საქართველოს მიწა-წყალზე მიმოფანტული ლამაზი და მკვიდრი კაპიტალური ხიდების აუარებელი ძველი ნიმუშები.

ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღმოიფხვრას ეს უაზრო, ხელოვნურად შექმნილი თქმულება და ხიდს უნდა აღედგინოს თავისი ძველი ისტორიული სახელწოდება.

საჭიროდ მიგვაჩნია ძველი ხიდის ადგილის მახლობლად დაიდგას მემორიალური დაფა წარწერით, რომ აქ მრავალ საუკუნეთა მანძილზე ვიდრე 1841 წლამდე იყო საქართველოს უძველესი ნაგებობა „მოგვთა ხიდი“.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ „მოგვთა ხიდის“ მისასვლელთან ძვე-



ლად აღმართული ყოფილა სადარაჯო ციხე-კოშკი. თანახმად არსებულ მხარეებში ახალი ხიდის მშენებლობისას 1841 წელს ეს კოშკი დაუნგრევიათ და მისი ქვის მასალა გამოყენებითაა ხიდის მარცხენა ნაპირის მისასვლელის კონტრფორსების მოსაწყობად.

გ ა ტ ე ხ ი ლ ი ხ ი დ ი. ასეთი სახელით ცნობილია ქვემო ქართლში მდ. ხრამზე მდებარე, დღესაც მოქმედი ოთხთაღოვანი ქვის ხიდი, აგებული XVII საუკუნეში ქართველთა მეფე როსტომის მიერ.

თუმცა 1653 წლიდან, დღიდან მისი აშენებისა, აღნიშნული ხიდი არასდროს არ დაზარეულა და არც გატეხილა, მას მაინც შერჩა „გატეხილი ხიდის“ სახელი.

ეს აიხსნება იმით, რომ ამ მშვენიერი ნაგებობის მახლობლად, 95 მეტრის დაშორებით მდინარე ხრამის ორივე ნაპირზე დღევანდლამდე შერჩენილა სხვა უძველესი ხიდის ნაშთები მასიური ბურჯების სახით.

ჩვენ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ამ ძველი ხიდის შესახებ, მაგრამ შერჩენილი მატერიალური ნაშთები მოწმობენ, რომ იგი საქართველოში ერთ-ერთი უძველესი სახიდე ნაგებობა იყო.

როგორც ცნობილია, უსსოვარი დროიდან ამ მიმართულებით მოქმედებდა ძველი ისტორიული საგზაო მაგისტრალი ფაზისი-ქუთაისი-თბილისი-კასპიის ზღვის სანაპირო. აქ ხრამისა და მტკვრის შესართავთან არსებობდა საქართველოს უძველესი ქალაქი ხუნანი, დანგრეული VIII საუკუნეში არაბი დამპყრობლის მურვან-ყრუს ურდოების მიერ. როგორც ჩანს, მაშინ აქ არსებული ხიდიც მოსაპოვებია.

X საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოსე კალანკატუელის ცნობის მიხედვით, მის დროს ეს ხიდი უკვე დანგრეული ყოფილა.

ხუნანი საქართველოს უძველესი ქალაქია. ჯერ კიდევ ძვ. წ. III საუკუნეში მეფე ფარნაოზის დროს აქ მმართველად ყოფილა ივერიის ერთ-ერთი ერისთავთაგანი.

ამ ხიდის დანგრევის შემდეგ აქ დიდი ხნის განმავლობაში სხვა კაპიტალური ხიდი არ ყოფილა. ძველი ხიდის ნანგრევებს და მის უახლოეს ადგილს დაერქვა „გატეხილი ხიდი“. ეს სახელწოდება შემკვიდრებით გადასულა დღეს არსებულ და მოქმედ ხიდზე, რომელსაც XIX საუკუნეში რუსებმა დაარქვეს „წითელი ხიდი“, რადგან მისი თაღები წითელი აგურით იყო ნაგები.

მართალია, ამ ძველი ნაგებობის სანაპირო საყრდენებმა ცოცხალი მოწმეებით მოაღწიეს ჩვენს დრომდე, მაგრამ ამჟამად ეს ქვის მასიური ბურჯები განადგურების გზაზეა.

მარჯვენა სანაპირო ქვის ბურჯი — მდებარე აზერბაიჯანის სსრ ნაპირზე, ხელუხლებელი რჩებოდა XX საუკუნის 60-იან წლებამდე. ეს იყო ქვითკირის სქელი კედელი, რომლის ზედაპირზე ამოკვეთილი იყო ჩუქურთმები. მის ადგილზე ახლა აშენებულია რესტორანი.

თითქოს არ შეიძლებოდა ძველი ბურჯი თავის ადგილზე დაეტოვებინათ და ახალი რესტორანი მის გვერდით აეშენებინათ?!

მდინარე ხრამის მარცხენა — საქართველოს ნაპირის ხიდის ბურჯი ხასიათდებოდა განსაკუთრებული სიდიდით და სილამაზით. თბილისში მყოფი საფრანგეთის კონსულის შარლ გამბას სიტყვებიდან ჩანს, რომ საყრდენის ზედა ნაწილზე აღმართული ყოფილა ორი მრგვალი კოშკი. მართლაც, ბურჯის ზედაპირზე ჩანდა ამ კოშკების ფუძეთა ნაშთები. ფრანგ მოგზაურს ეან შარდენს 1673 წ. ამ საყრდენთან უნახავს ლამაზი მრავალთახიანი აივნებიანი ფუნდუკი.



საქართველოს მხარის სანაპირო ბურჯი მართალია მთლიანად არ არის მოსპობილი, მაგრამ ადგილობრივ საბჭოთა მეურნეობას ზედ დაუშენებია მუშათა საცხოვრებელი შენობა და ამით მთლიანად დაუფარავს ბურჯის ცალკეული დეტალები. თითქოს აქაც არ შეიძლებოდა საცხოვრებელი ბინის აგება მის გვერდით, დიდ თავისუფალ ფართობზე. როგორც ჩანს, ეს ბურჯიც არ არის დაცული მოსპობა-განადგურებისაგან.

სანაპირო ბურჯები ერთიმეორისაგან დაშორებული იყვნენ 68—70 მეტრით, ე. ი. ხიდი ძალიან გრძელი ყოფილა. საფიქრებელია, რომ ხიდს მდინარის კალაპოტში ექნებოდა კიდევ ერთი-ორი ცალი ბურჯი, რომელთა ნაშთებს ჩვენამდე არ მოუღწევიათ. ხიდი იქნებოდა 2—3 მალიანი, ხის კოჭოვანი, საკმაოდ განიერი ნაგებობა.

ვისაც დაკარგებული აქვს ძველი არქიტექტურული ძეგლების მოვლა-დაცვა, ყურადღება უნდა მიაქციონ ამგვარ ძეგლებს, რომელნიც ჩვენს თვალწინ ისპობიან, ისიც არა შორეულ, მივარდნილ ადგილებში, არამედ გაცხოველებული მოძრაობის მაგისტრალურ გზაზე, თბილისიდან 50 კმ-ის დაშორებით.

ძველი „გატეხილი ხიდის“ არსებობა მეტად შორეული ხანიდან დასტურდება აგრეთვე იმ არქაული ძეგლის — აყუდებული ქვის არსებობით, რომელიც აღმართული ყოფილა ჯერ ამ ძველ ნაგებობასთან და შემდეგ გადაუტანიათ როსტომისეულ ხიდთან, და ბოლოს ძეგლის დაცვის მიზნით კვლავ გადაუტანიათ თბილისში — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ეზოში.

ამგვარივე სახის და ზომის აყუდებული ქვა უნახავს აკად. მარს თურქეთში (იზმირის მუზეუმში) და აღუნიშნავს თავის წიგნში.

საფიქრებელია, რომ მართლაც ამ სახის ქვის ძეგლებს ერთგვარი კავშირი ჰქონიათ ძველ გზებთან და ხიდებთან. ეს საკითხი მოითხოვს მეცნიერულ გამოკვლევას.

ჩვენს მიერ აქ მიმოხილული ორი მეტად შორეული ხანის ნაგებობა „მოგვთა ხიდი“ და „გატეხილი ხიდი“ მიეკუთვნება საქართველოს ისტორიის უძველეს ხანას და უნიკალური ძეგლებია. და მით უფრო საჭიროა მოვლა-პატრონობა როგორც მათი ტოპონიმიკისა, ისე მათი მოღწეული ნაშთებისა.

ბ. დუნდუა

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ვ. წირღვაძე

მ. ცხაკაიას მემორიალური მუზეუმის
მეცნიერი თანამშრომელი

ქ ა ი ს ზ ა ნ ძ ი

1971 წ. იანვრის ბოლო რიცხვებში ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკის მცხოვრებ ტონი ნინუას ეზოში ბულდოზერი მიწას ასწორებდა. უცბად ტ. ნინუას ყურადღება გატყეხილმა თიხის ჭურჭელმა მიიპყრო. ჭურჭელში მან ერთმანეთთან მჭიდროდ მი-
ვანგული მრგვალი ფირფიტები აღმოაჩინა. ეს ამბავი ტ. ნინუამ აცნობა მისა ცხაკაიას მემორიალური მუზეუმის თანამშრომლებს. ნაპოვნი 232 ვერცხლის მონეტისაგან შემდგარი განძი აღმოჩნდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ სტრიქონების ერთ-ერთმა ავ-



ალექსანდრე სევერუსის (222-235) დენარი

ტორმა (ვლ. წირღვაძემ) მიაკვლია ჭურჭლის მეორე ნაწილს, რომელშიც 600-ზე მეტი მონეტა იყო.

წინასწარი მეცნიერული დამუშავების შედეგად გაირკვა, რომ განძი რომაული ხანის მონეტებს შეიცავს და მოჭრილია იმპერატორების ნერვას — 96-98 წწ. (1 ცალი), ტრაიანეს — 98-117 (2 ?), ადრიანეს — 117-138 (713), ანტონინუს პიუსის — 138-161 (55), ლუციუს ვერუსის 161-169 (1), კომოდუსის — 180-192 (1), პერტინაქსის — 193 (6), სეპტიმიუს სევერუსის — 193-211 (101), იულია დომნას (15), კარაკალას — 211-217 (4), გეტას — 211-212 (1), მაკრინუსისა? — 217-218 (1) და ალექსანდრე სევერუსის — 222-235 (6) სახელით. სულ 907 ცალი.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ არასოდეს საქართველოს ტერიტორიაზე არ აღმოჩენილა უცხოური ანტიკური მონეტების ასეთი უზარმაზარი განძი. ნაპოვნი მონეტები ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია. ამიტომ გასაგებია, რომ მომავალში ზოგი რამ კიდევ დაზუსტდება. ყველაზე გვიანდელი მონეტა მოჭრილი უნდა იყოს 222 წელს ან მის ახლო ხანებში. ამრიგად განძი 222 წლის შემდეგ ხანებში ჩაუფლიათ. 907 ცალიდან, დაახლოებით, 730 მოჭრილია რომის პროვინციის — კაპადოკიის მთავარ ქალაქ კესარიისი (მცირე აზია) და დიდრაქმებს (ორდრაქმიანი ვერცხლის ფული)



წარმოადგენენ. დანარჩენი დენარებია (რომაული სამონეტო სისტემის ძირითადი თუელი) და მოჭრილია ემესაში (სირია), რომაა და ალექსანდრიაში (ეგვიპტე).

რით არის საინტერესო ეკის განძი? რა გზით მოხვდა იგი ჩვენში? მიუხედავად იმისა, რომ ლაზეთის (ეგრისის) სამეფოს შესახებ ახ. წ. II-III საუკუნეებისათვის წერილობითი ცნობები ერთობ მცირეა, ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი რომის ვასალური სამეფო იყო და პოლიტიკურად უშუალოდ რომის პროვინციის — კაპადოკიის შემადგენლობაში შედიოდა. ლაზთა მეფეს ტახტზე რომის იმპერატორი ამტკიცებდა და ზღვისპირა პუნქტებში (ფაზისში — თანამედროვე ფოთი, აფსაროსში — გონიო, სებასტოპოლისში — სოხუმი) რომაული გარნიზონები იდგა. რომის მხედრობის უპირველეს მოვალეობას დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იმპერიის



აღრიანეს (117-138) დიდრაქმა

გავლენის გაძლიერება და ადგილობრივი მოსახლეობის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვისა და ანტირომაული განწყობილების ალაგმვა წარმოადგენდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმპერიის კონტროლს მხოლოდ ზღვისპირა სიმაგრეებთან ახლოს მდებარე ტერიტორია ემორჩილებოდა და არა მთლიანად დასავლეთი საქართველო. თუ თვალს გადავავლებთ კოლხეთის მიწა-წყალზე აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ მასალას, დავრწმუნდებით, რომ იგი კაპადოკიასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც. ეკის განძის პოვნამდე კოლხეთში 500-მდე კესარიული მონეტა იყო აღმოჩენილი. ასე, მაგალითად, 1926 წ. სოფ. გერსულში აღმოჩნდა დიდი განძი, რომლის მთლიანად გადათვალისწინება ვერ მოხერხდა. განძის აღწერილობა გამოაქვეყნა მ. ივანჩენკომ, რომელმაც შეისწავლა მხოლოდ 469 (!) მონეტა. აქედან 467 კესარიაში მოჭრილი დიდრაქმები, დრაქმები და ტრიბოლოებია ნერონის დროიდან (54-68 წწ.) მარკუს ავრელიუსამდე (161-180 წწ.). გარდა ამისა, II ს. კესარიული მონეტები ნაპოვნია ბიჭვინთაში, სოხუმში, ბანძაში, (გენეპკორის რ-ნი), სეფიეთში (აბაშის რ-ნი), ურგში, სუფსაში (მაზარაძის რ-ნი) და სხვა. ეს გარემოება ამტკიცებს, რომ კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში გაბატონებული ადგილი ეკავა კაპადოკიაში მოჭრილ ფულს.



კესარიის ზარაფხანა უდიდესი მასშტაბით ახორციელებდა სამონეტო ემისიას და აკმაყოფილებდა მთელი მცირე აზიის ბაზრის მოთხოვნილებას. ამ საერთო ეკონომიურ ფერხულში ჩაბმული იყო კოლხეთიც. იმპერატორ ანტონინუს პიუსის (138-161 წწ.) ეპოქიდან კესარიის ზარაფხანის მასშტაბები იკვეცება და კოლხეთშიც ამ მონეტების შემოსვლა კლებულობს. მაგრამ ვკის განძი ამტკიცებს, რომ ეს მონეტები არა თუ არ გამჭარალა სამონეტო მიმოქცევიდან, არამედ მეორე საუკუნის დასაწყისში მოჭრილ დიდრაქმებს (ადრიანუს) კვლავ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ ლაზეთის ეკონომიურ ცხოვრებაში. ამაში მდგომარეობს ვკის განძის ერთ-ერთი მეცნიერული მნიშვნელობა.

კესარიული მონეტები ჩვენში, როგორც ჩანს, საზღვაო გზითაა შემოსული. ამას ადასტურებს რამდენიმე დაკვირვება: ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ეს მონეტები თითქმის არ გვხვდება ამიერკავკასიის შიდა რაიონებში. ეს გამორიცხავს ნათ შემოსვლას წყაროებით დადასტურებული სავაჭრო გზით, რომელიც მიემართებოდა პონტოდან ეფერატის შემოწვლისაკენ, სომხეთის სიღრმეში, მდ. მტკვრისაკენ და შემდეგ — შორაპნის გავლით — კოლხეთში. ვერ უძღვებს კრიტიკას აგრეთვე მოსაზრება კესარიული მონეტების კოლხეთში შავი ზღვის გასწვრივი სახმელეთო გზით შემოსვლის შესახებ, რომელსაც რომაულ ხანაში არ ჰქონია დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. (К. В. Голенко, Денежное обращение Колхиды в римское время, Ленинград, 1964, стр. 26, 70).

უწარადლება უნდა მიექცეს მეტად სიმბტომატურ ფაქტს: 1931 წელს ამავე ზონაში, აბაშის რაიონის სოფელ სეფიეთში აღმოჩნდა რომაული ვერცხლის ფულის დიდი განძი, დაახლოებით 400 ცალი (ს. მაკალათია, სეფიეთში აღმოჩენილი რომაული ფულების განძი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII B 1944 წ. გვ. 219-220). გვიანდელი მონეტა ამ განძისა მოჭრილია იმპერატორ ალექსანდრე სევერუსის სახელით 222 წელს, ე. ი. ეს განძი, ისევე როგორც ვკის განძი, ჩამარხულია 222 წელს ან მის შემდგომ ხანებში. თარიღების დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს და აშკარად მიგვანიშნებს, რომ ამ განძთა დამარხვა ერთი მიზეზით არის გამოწვეული. როგორც ჩანს, ერთსა და იმავე დროს ამ მიდამოებს სახმელეთო საშინაობა დაიშურებია.

ვკისა და სეფიეთის განძების შემადგენლობა ადასტურებს, რომ მას შემდეგ, რაც კაპადოკიური მონეტების შემოსვლა შეწყდა, კოლხეთში ძირითადად რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ზარაფხანებში, ემესასა და ალექსანდრიაში მოჭრილი დენარები მიმოიქცეოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საფასავები ისევ და ისევ მცირე აზიის გზით არის მოხვედრილი ჩვენში.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ვარაუდობს, რომ სეფიეთის განძი ეკუთვნოდა ლაზეთის დედაქალაქ არქეოპოლისში (ნოქალაქევი) მდგომ რომაელთა გარნიზონს, მაგრამ ნოქალაქევი რომაული რაზმის დგომის არავითარი საბუთი ჯერჯერობით მაინც არ არსებობს (ნ. ლომოური, ვერსიის სამეფოს ისტორია, თბ., 1968 წ. გვ. 61) და ამიტომ როგორც სეფიეთის, ისე ვკის განძიც ადგილობრივი მოსახლეობის კუთვნილებად უნდა მივიჩნიოთ.



ცხადია, კოლხეთში აღმოჩენილი ნუმისმატიკური მასალის ერთი ნაწილი რომელიც
ელი ჯარისკაცების მიერ არის შემოტანილი, მაგრამ მეორე ნაწილი, უნდა ვივარაუდოთ,
დოთ, უშუალოდ სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის შედეგად მოხვედრილა ლაზე-
თში.



ეკის განძის ერთი ნაწილი



მანანა სინაურიძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
თეიმურაზ ბერიძე

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის
მეცნიერი თანამშრომელი

კახეთის ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები



ბუქურიანის ტერიტორიაზე აღმოჩენილი წერის ფრაგმენტი.

ქვემო ქართლი ცნობილია თავისი ისტორიული ძეგლებით. ბოლნისის, დმანისის, სათხის, უკანგორის და სხვ. ეკლესიები და ნასახლარები ამჟამად მეტყველებენ, რომ ზრამის, მაშაფის, ფოლადაურის ხეობები ძველად მჭიდროდ დასახლებული იყო. მოძალებულმა მტერმა ეს მხარე იავარკყო. მტრისაგან დანგრეული და ქართველი მოსახლეობისაგან მიტოვებული ქართული კულტურის მრავალი ძეგლი მიწამ დაფარა.

შარშან შემოდგომის დამდეგს, ბოლნისის რაიონში, დაბა კაზრეთში მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სამუშაოებმა შემთხვევით დააზიანა ისტორიულ-არქეოლოგიური მნიშვნელობის რამდენიმე ძეგლი: „ბუქურიანის“ ეკლესია და ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ნასახლარი ეკლესიითა და სამაროვნით. ამ ძეგლს პირველად ყურადღება მიაქცია დმანისის არქეოლოგურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ჯაფარიძე). ეკლესიის დაზიანების შემდეგ ძეგლის დარჩენილი ნაწილის გადარჩენისა და გათხრების დაწყების ინიციატივა ეკუთვნის ვ. ჯაფარიძეს.

აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა ადგილზე მოაგვინა ექსპედიცია შემდეგი შემადგენლობით: მეცნიერი თანამშრომლები: მ. სინაურიძე (ექსპედიციის ხელმძღვანელი), თ. ბერიძე და ი. მდივანი.


ექსპედიცია შეუდგა ორი ნაწილობრივ უკვე დაზიანებული ობიექტის გათხრას. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ხელმძღვანელობა (დირექტორი ფ. ნაცყებია) ძეგლების შეწავლის საქმეს ახლა გულისყურით მოგვიდა და არქეოლოგებს მუშაობაში დახმარება აღმოუჩინა.

პირველ რიგში, ექსპედიციამ დაიწყო აფეთქებისაგან დაზიანებული ე. წ. „ბუქურიანის“ („ბუქურაშენის“) ეკლესიის ტერიტორიის გათხრა. ეს ძეგლი მეტად მნიშვნელოვანია. თავის დროზე „ბუქურიანის“ ეკლესიის ერთ-ერთ კედელში ჩაშე-



ნებული ქვის ბერძნული წარწერა გამოსცა თინათინ ყაუხჩიშვილმა. მკვლევარმა წარწერა VII-IX სს. დაათარილა. ეკლესიის კედელში და მის გარშემო აღმოჩნდა ადრე-ფეოდალური ხანის მრავალი საინტერესო, მოჩუქურთმებული ქვა.

ეკლესიის დარჩენილი კედლის გაწმენდისას მის ქვემოთ აღმოჩნდა ადრეული კედელი, რომელიც საბუდნიეროდ, აფეთქებას გადაურჩა. იგი შედგენილია თლილი კვადრე-



მცირე ეკლესია მდ. კაზრეთულას ფერდობზე, გეგმა და კრილები

ბისაგან. კედლის წინ 1 მ. სიღრმეზე ადრეფეოდალური ხანის ბაზები, სტელები და ქვის ჯვრების ფრაგმენტებია, რომლებზეც მაღალი მხატვრული ოსტატობით შესრულებულია ადრეკრისტიანული სიუჟეტები. მაგალითად, სტელაზე ადამიანის გამოსახულებაა, რომელსაც ხელში ჯვარი უჭირავს, ჯვრის მკლავზე — წულ მუდალიონებში ადამიანის და სტილიზებული ცხოველის გამოსახულებებია და სხვ.

როგორც ჩანს, ეკლესია შუა საუკუნეებში გადაუკეთებიათ. მოჭიქული კერამიკა და კრამიტის ნატეხები, რომელზეც ქართული ასომთავრული ლ, ი, ნ ასოებია ამოკვეთილი, გვაგულისხმებინებს, რომ ეკლესია პირველად XI-XIII საუკუნეებში გადაუკეთებიათ.

მეორე ობიექტი, სადაც ექსპედიციამ აწარმოებდა გათხრებს, მდებარეობს მდ. კაზრეთულას მარჯვენა ნაპირზე. იქვე მახლობლად, სადაც ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ი. გრძელიშვილის ხელმძღვანელობით გამოავლინა ძველი სამთო საქმისა და რკინის მეტალურგიის ნაშთები.




აქ ჩვენი ყურადღება მიიქცია ბაზამ „ბოლნური“ ჯვრის რელიეფით, რომელიც სანახევროდ მიწაში იკვდა. მისი გაწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ ის იყო პატარა ეკლესიის ერთ-ერთი ფასადის კუთხის ქვა. კედლის გაგრძელებაზე მეორე კუთხეშიც აგრეთვე აღმოჩნდა მასიური კვადრი წრეში ჩახატული ჯვრის გამოსახულებით.

ორივე რელიეფი კვეთის მანერის მიხედვით VI—VII სს. განეკუთვნება. ეს კვადრები თავდაპირველად სტელის ბაზებს წარმოადგენდნენ. მომდევნო ხანაში (არქეოლოგიური მასალის მიხედვით XII—XIII სს.) ისინი ეკლესიის შესამკობად გამოუყენებიათ. ნაყარი მიწის ადლების შემდეგ გამოვლინდა ერთნავეიანი ეკლესია 3,3X4,8 ზომისა. მისი გეგმა კარგად იკითხება. გარედან ეკლესია მოქცეულია ოთხკუთხედში. შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. კარის დირეში ჩაშენებულია ორი ადრეული ხანის მოქუქურთმებული ქვა, ერთ მათგანზე ჯვრის გამოსახულებაა. შესასვლელი კარის მარჯვნივ იატაკში ჩადგმულია ქვის ემბაზი. ეკლესიის კედლები შემონახულია 1 — 1,2 სმ სიმაღლეზე, სახურავი ჩანგრეულია.

ეკლესიის შიგნით საკურთხეველთან აღმოჩნდა ჯვრის მკლავები. ამათგან აღსანიშნავია ფრაგმენტი საყდარზე მჯდარი ღვთისმშობლის გამოსახულებით (რელიეფი



ადრეანტიკური ხანის სადროშე ზარი.



მეორე ეკლესიაში ჩაშენებული ბაზა



ველესის გათხრისას აღმოჩენილი ქვის ფილა

გადასულია) და მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით შემკული რელიეფები, რომელთა ანალოგიებიც VI ს. ძეგლებში გვხვდება.


ველესიის გარშემო გდია რამდენიმე ოთხკუთხა მასიური ბაზა. აქვე, მიწის ზედაპირზე, მოჩანს მასიური ქვებით და ბრტყელი ფილებით დახურული ფეოდალური ხანის სამარხები.

ექსპედიცია გათხრების პარალელურად დაზვერვით სამუშაოებსაც ეწეოდა. დაზვერვის შედეგად აღმოჩნდა რამდენიმე ნასახლარი და სამაროვანი, კერამიკული და რკინის წარმოების ნაშთები, მადნიანგამოსაღები ძველი მალაროები. ძლიერ საინტერესო გამოდგა შემთხვევით სხვადასხვა დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ თუ კომბინატში მომუშავე ინჟინერ-გეოლოგებმა (ი. ჟუჟუნაშვილი და სხვ.) მოგვაწოდეს. მათ შორის აღსანიშნავია: ადრეანტიკური ხანის ბრინჯაოს ზარი, გვიანანტიკური ხანის თიხის ქურჭელი, ადრეფეოდალური ხანის რელიეფი სტილიზებული ცხოველის გამოსახულებით და თითბრის ბეჭედი არწივის გამოსახულებით.

მიმდინარე წელს, ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი კვლავ აგრძელებს არქეოლოგიურ სამუშაოებს კაზრეთსა და მის მახლობელ მიდამოებში.



კარიერის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბეჭედი.



სურა ქუშანანთგორის № 1 სამარხიდან

ერწოს ველი ანტიკურ ხანაში

იერის ხეობა თავისი მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლებით კარგა ხანია იყრობს არქეოლოგთა ყურადღებას. ამ ინტერესს განსაკუთრებით აცხოველებს ის, რომ იერის ხეობის შუა და ზემო წელი, ტრადიციით კახოსის წილხვედრილი ქვეყანა, ძველი კახეთის უმთავრესი ნაწილი იყო.

ქართული წყაროების მიხედვით ისტორიული კახეთის უძველეს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა „ბერ“-ი, ანუ უფრო გვიანდელი ჩეღეთი, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი ქალეთთან აიგივებს. სადღეისოდ ქალეთი და „ქალეთის ქვეყანა“ დადგენილია (ნ. ბერძენიშვილი დ. მუსხელიშვილი). ანტიკური ხანის ბერ-ჩეღეთი ანუ მერმინდელი ქალეთი ისტორიული წყაროების მიხედვით ციხე-ქალაქი უნდა ყოფილიყო და ერთი ყველაზე უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი სამოსახლო მთელს იერის ხეობაში. არქეოლოგიურმა კვლევებებამ იერის სიონში (1950-52 წ. წ. ხელმძღვანელები ნ. ბერძენიშვილი და გ. ლომთათიძე; 1962 წ. რ. რამიშვილი) თითქოს დაადასტურა ისტორიულ წყაროთა მინიშნება და განათხარი მასალის შესწავლამ ცხადაყო, რომ ჯალეთის ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი ადრეფეოდალური ხანის პირველი საუკუნეებისათვის მაინც მდებარეობდა აწინდელი სიონის ადგილას.

ამ ბოლო წლებში არქეოლოგიური თვალსაზრისით ჯანსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ჯალეთის მომიჯნავე „ერწოს ქვეყანამ“, სადაც არა ერთი უაღრესად საინტერესო ძეგლი აღმოჩნდა. მათ შორის დიდ ინტერესს იწვევს ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, რომლებმაც არა მარტო მდიდარი ნივთიერი მასალა შეგვძინეს, არამედ სრულიად ახლებურად დაგვანახვეს ამ მხარის შორეული წარსული.

ერწოს ველზე ანტიკური ხანის ძეგლებიდან საყურადღებოა სულ ახლახან, 1970 წელს, მიწის ღრმად ხვნის დროს აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის სამაროვანი სიონი-გორიდან, რომელიც შემთხვევით მოპოვებული, უაღრესად საყურადღებო მასალების მიხედვით (ლევა და წითელკეციანი თიხის ტურქელი, მათ შორის საღებავით მოხატული პატარა ხელადა, ბრინჯაოს სამაჯურები გველის თავების გამოსახულებით, ბრინჯაოსა და რკინის ცილინდრულთავიანი, „ყელჩახვრეტილი“ საკინძები, რკინის შუბისპირები და სხვა) დიდ სიახლოვეს ამქდავენებს კამარახევის, გოსტიბეს, წინანდლის, იყალთოს, ბუშატის და ქვემო-ქართლის არა ერთ სინქრონულ სამაროვანთან. სამწუხაროდ ერწოელ მხვნელთა და მათ ხელმძღვანელთა უყურადღებობის გამო პლანტაჟის დროს ეს უაღრესად საინტერესო ძეგლი თითქმის მთლიანად განადგურდა.



სამარხი № 10, აიონა ქალღმერთის გამოსახულება ბეკლის თვალზე



გაცილებით უხვადაა წარმოდგენილი ერწოს ველზე გვიანანტიკურთა ხანის ნივთები. ერთი მასალა სოფ. სიმონიანთხევიდან, სოფ. დორეულებიდან და განაკუთრებით კი სოფ. მაგრანეთიდან, სადაც პირველ რიგში საყურადღებოა ქუშანანთგორას მდიდრული სამაროვანი.

ქუშანანთგორას გვიანანტიკურ სამაროვანზე გათხრილ სამარხებს შორის საყურადღებოა სამარხი 1. იგი წარმოადგენდა ნიადაგში ჩაჭრილ მოგრძო ორმოს, რამელსაც კქონია ხის ძელებზე დაყრდნობილი კრამიტის სახურავი. ჩალეწილი კრამიტის ზედა ფენა მიწის პირიდან 0,65-0,70 მ სიღრმეზე იყო, ხოლო თვით სამარხის ძირი 1,05—1,10 მ-ზე.

სამარხში აღმოჩნდა: ვერცხლის მდიდრულად ორნამენტირებული თასი, ორი ფეხმალაღი მსხლისებური მოყვანილობის შედგენილყურიანი სურა, ოქროს ორი ბეჭედი (მოზრდილი ბეჭედის თვალზე ზევის მჯდომარე გამოსახულება ამოკვეთილი, ხოლო მომცროზე — ადრექრისტიანული მონოგრამა), წყვილი საყურე ოქროსი, ოქროს სამი მონეტა, მინის ორი ჭურჭელი, მათგან ერთია მთელი, გიშრის მძივები და სხვ.


ეს ნივთები საკმაოდ უახლოვდება არმაზისხევის, ზღუდერის და სხვა ადგილებიდან ცნობილ მდიდრულ სამარხეულ ინვენტარს.

არანაკლებ საყურადღებოა სამარხის სახურად გამოყენებული კრამიტი, რომელიც როგორც ზომამოყვანილობით, ასევე დამზადების ტექნიკით ძლიერ ემსგავსება მცხეთაში ფართოდ ცნობილ გვიანანტიკური ხანის ლარიან და გვერდებაკვეცილ კრამიტებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ არ აქვთ ხელოსნის დამლა-ნიშნები.

სამარხეული ინვენტარის წინასწარმა შესწავლამ, სათანადო პარალელური მასალების გათვალისწინებამ და ამავე სამარხში აღმოჩენილმა მონეტებმა, რომელთაგან ყველაზე გვიანდელი კარუსის (282-283 წ.წ.) აურეუსია, საშუალება მოგვცა ქუშანა-



აღრეფეოდალური ხანის ნამოსახლარი ქუშანანთ გორიდან



სამარხი № 1, ვერცხლის თასი რუსთავერაციის შემდეგ

ანთგორას პირველი სამარხი III საუკუნის დამლევითა და IV საუკუნის დასაწყისით დაგვეთარილებინა.

საკმაოდ საყურადღებო მასალები მოგვცა სამაროვანის მდიდრული უბნის №№ 2, 3, 8, 10, 12, 13 და სხვა სამარხებმაც. მაგალითად, № 10 სამარხში აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი, რომლის თვალბუდეშიც ზის მუქი გრანატის ოდნავ ამობურცული ინტალიო.

საკმაოდ ღრმად ნაკვეთ თვალზე ბრწყინვალე ოსტატობითაა გამოსახული ქალღმერთ ათენას ბიუსტი მარჯვენა პროფილით. ინტალიოზე გამოსახული ჭეშმარიტად ღვთაებრივი სილამაზის ქალწულს აქვს მოგრძო სწორი პროფილი, ზომიერად სწორი ცხვირი, მცირედ ბაგევაპობილი პირი, მეტად გამომეტყველი ტუჩები, საიდანაც ოდნავ შესამჩნევი ღიმილი გამოკრთის.

საკმაოდ დეტალურადაა დამუშავებული მაყურებლისაკენ სახემიქცეული მრისხანე გორგონა მედუზას სახე, რომელიც ათენას მკერდზე აქვს დაბნეული. ასევე რელიეფურად და დიდი სიზუსტითაა გადმოცემული გველების გამოსახულებაც.

არანაკლებ საინტერესოა № 13 სამარხში აღმოჩენილი ოქროს ერთი მონეტა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის სტატერის ძალზე გვიანდელ მინაბამს წარმოადგენს. ამასთანავე არანაკლებ საყურადღებოა ერწოში მისი პოენის ფაქტიც.



ქუნანანთგორ.ა და ერწოს სხვა ადგილებში მოპოვებული იმავდროული მას-
ლების ანალიზით ცხადია, რომ გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის მიჯნაზე
ერწო წარმოადგენდა მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიურად დაწინაურებულ მხა-
რეს, რომელიც ატარებს ქვეყნის საერთო აღმავლობის ყველა ნიშანს.

ერწო-თიანეთისა და ვალეთის „ქვეყნების“ ასეთ აღმავლობას მრავალი პირობა
უწყობდა ხელს, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესი იყო მეტად მნიშვნელოვანი
სავაჭრო-სატრანზიტო გზა, რომელიც როგორც არქეოლოგიურმა ძიებამ გვიჩვენა,
ადრეფეოდალურ ხანაზე უწინარესად მოქმედებდა ამ მხარეში.

1966-69 წ.წ. ერწოს ველზე არქეოლოგიური ძიებით მოპოვებულია მონეტების
საკმაოდ საყურადღებო კოლექცია, რომელიც ასეთი გზის არსებობის ვარაუდს მხარს
უჭერს. აღნიშნული მონეტები აღმოჩენილია სოფელ მაგრანეთის მახლობლად მდებარე
გვიანანტიკური სამაროვნისა და იქვე არსებული ადრეფეოდალური ხანის სასახ-
ლის ნაშთების თხრის დროს.

გვიანანტიკური ხანის სამარხებში ნაპოვნია 35 მონეტა, რომელთაგან 8 ოქრო-
სია, ხოლო დანარჩენი—ვერცხლია. ოქროს მონეტებიდან ხუთი რომაული აურეუსა
(უბეღლესი ალექსანდრე სვერისა, 222-235 წ.წ., უახლესი, მედალიონად გადაკეთე-
ბული, დიოკლიტიანესი, 284-305 წ.წ.), ორი რომაული აურეუსის მინაბადი (კომო-
დისა, 180-192 წ.წ., ფილიპესი, 244-249 წ.წ.), ხოლო ერთი ალექსანდრე მაკე-
დონელის სტატერის გვიანდელი მინაბადი.

ვერცხლის 27 მონეტიდან ავეგუსტე კეისრის სახელით მოჭრილია 11, ხოლო გო-
ტარსეს სახელით 16 ცალი.

გვიანანტიკური ხანის მონეტები, გარდა მაგრანეთისა, ხშირად ჩნდება ერწოს სხვა
სოფლებშიც, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა სიმონიანთხევის მდდ-
რულ სამარხში ნაპოვნი ავეგუსტე კეისრის აურეუსი:

ადრეფეოდალური ხანის ნასახლარზე (მაგრანეთშივე) ნაპოვნია ვერცხლის 20 მო-
ნეტა. ამთაგან 16 ცალი შეადგენდა განძს, რომელიც შერეული იყო და შეიცავდა ხოს-
როვ II (531-578 წ.წ.) თორმეტსა და ჰერაკლე კეისრის (610-641 წ.წ.) ოთხ მო-
ნეტას. გარდა ამისა, იმავე ნასახლარზე აღმოჩნდა კონსტანტი II (641-668 წ.წ.)
და კონსტანტინე IV პოგონატის (668-685 წ.წ.) ოთხი მონეტა. სასაზღვრო
მონეტები ერწოს ველზე უფრო ადრევე ჩნდებოდა (დუღელებში, სიმონიანთხევიში, თო-
ლენჯაში).

გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ერწო-ვალეთის მხარეში მონეტების
ასეთი სიუხვე და მრავალფეროვნება გვაფიქრებინებს, რომ იერის ზეობა ჩაბმული
იყო საერთაშორისო ფულად ურთიერთობაში და რომ ერწო-ვალეთზე გადიოდა მნიშ-
ვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელთანაც ადგილობრივი მოსახლეობა მჭიდროდ ყო-
ფილა დაკავშირებული.

ასეთი გზა, უცხოურ წყაროთა ჩვენებით, მართლაც არსებობდა ცენტრალურ აზი-
ა-კავკასიაში და იგი დღევანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში „შემოვლითი გზის“
სახელითაა ცნობილი.

ამიერკავკასიის სავაჭრო გზების და, კერძოდ, შემოვლითი გზის შესწავლისათვის
უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენენ: ე. წ. პეკტინგერის ტაბულა (რომელიც IV
საუკუნის II ნახევრის რომაელი გეოგრაფოსის კასტორიუსის მიერ შედგენილ რუკას
წარმოადგენს) და რავენელი უცნობი გეოგრაფის მიერ VII საუკუნის შუა ხანებში
შედგენილი „კოსმოგრაფია“, რომელშიც უხვადაა გამოყენებული როგორც კასტორიუ-



სის, ისე სხვა დამატებითი ცნობებიც. ზოგიერთი მკვლევარის (მაგ. კუბიჩევის) აზრით, პეტინგერის ტაბულის შედგენისას ფართოდაა გამოყენებული პტოლემეოსის რაფიული სახელმძღვანელო“.

კავკასიისა და კერძოდ ძველი საქართველოს სავაჭრო გზების დადგენისას საჭიროა ამ წყაროების ერთობლივი გათვალისწინება.

იმის გამო, რომ ქართულ-კავკასიური წარმოსობის ტოპონიმები ძველ გეოგრაფოსთა რუკებზე დამაზინჯებით არის ჩაწერილი, ხოლო კოორდინატები კი, მაშინდელი მცდარი გამოთვლის წყალობით, ძალზე არეულია, პეტინგერის ტაბულაზე გამოსახული შემოვლითი გზის დადგენაში დიდ დახმარებას გვიწევს უახლესი არქეოლოგიური მონაპოვარი და განსაკუთრებით ნუმისმატიკური მასალა, რომელიც ასეთ მნიშვნელოვან გზებს მუდამ „თან ახლავს“. შემოვლითი გზის დადგენისას კ. მილერის, ი. მარკვარტის, ი. მანანდიანის, ს. ერემიანის, ნ. ლომოურის და სხვათა მსჯელობა, რომელიც დაფუძნებულია ტოპონიმიკურ ანალიზზე და ისტორიულ წყაროებთან მის შეჯერებაზე, გადასინჯვას მოითხოვს. შემოვლითი გზის ტრასის დადგენისას, მიუხედავად არა ერთი შეცდომისა, შედარებით უფრო სწორი ჩანს ს. ერემიანი, რომელმაც ეს უკანასკნელი ჰერეთში ივარაუდა. დ. მუსხელიშვილმა ერემიანის ვარაუდი საგრძნობლად დაასუსტა და მდიდარი ნუმისმატიკური მასალის მოშველიებით დამაჯერებლად გაარკვია ე. წ. შემოვლითი გზის მთავარი მიმართულება.

ერწოა ველის ნუმისმატიკურმა მონაპოვარმა კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა შემოვლითი გზის ცალკეული მონაკვეთების განსაზღვრაში და ნათელყო, რომ ალაზნისპირეთი იბერიის დედაქალაქს მცხეთას ძირითადად ერწო-ჯალეთის მეშვეობით უკავშირდებოდა.

ისტორიული წყაროებისა და არქეოლოგიური მასალების ერთობლივი გათვალისწინება თითქოს ცხადყოფს, რომ ეს გზა ავთარანის ველსა და ჰერეთს გადაჭრდა, აქვეებოდა ალაზნის მარჯვენა სანაპიროს და თელავ-ახმეტა-ჯალეთ-ერწოთი პირდაპირ ახ ა ტ ა ნ - ს ა გ უ რ ა მ ო - მ ც ხ ე თ ა შ ი ჩადიოდა.

შეიძლება ამ მთავარ მაგისტრალს ჰქონოდა რამდენიმე განშტოება (ქიზიყში-ხორნაბუჯსა და ზღუდერთან, ბაკურციხესთან, თურდოსხევზე, ზემო ხოდაშენში, კვეტრასთან — თიანეთისაკენ მიმავალი და სხვა), მაგრამ ძირითადი, როგორც ნუმისმატიკური მასალის გაერკვლება გვიჩვენებს, მაინც ალაზნიდან ჯალეთ-ერწოზე გამავალი ხაზი უნდა ყოფილიყო.

შემოვლითი გზის მეორე მთავარი შტო აღსტაფის ხეობიდან მარცხნივ უხვევდა. თბილისის გაივლიდა, მცხეთაში შედიოდა და უერთდებოდა პირველს, ისე რომ წრე იკრებოდა, მაგრამ სასანიანთა ბატონობის ხანაში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო, ალაზან-ჯალეთზე გამავალ მაგისტრალს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

შემოვლითი გზის ძირითად ტრასაზე განლაგებულ ტოპონიმებს მკვლევარები სხვადასხვაგვარად ხსნიან, რაც მეტწილად სადავოა. ნაშრომში ჩვენ შევცხებით რამდენიმე მათგანს:

კასტორიუსის რუკაზე აღნიშნულია მსხვილი დასახლებული პუნქტი თ ე ლ ე დ ა, მას რავენელი ანონიმიც მოიხსენიებს. თელედა იგივე უნდა იყოს, რაც პტოლემეოსის თ ე ლ ა ი ბ ა. შემოვლითი გზის მთავარი ხაზის დადგენის შემდეგ ჩვენ უფრო გარკვევით ვუჭერთ მხარს იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნულ ტოპონიმში აწინდელი თ ე ლ ა ე ი დაეინახოთ.




ყოველ შემთხვევაში თ ე ლ ე დ ა - თ ე ლ ა ი ბ ა ს ლოკალიზაცია კუბეთის რუ-
თავის ან მის სიახლოვეს მდებარე თელეთის ხატია ადგილას (ს. ერემიანის რუკის
ური) საეჭვო უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ამ მოსაზრებას უარყოფს თეით კასტრ-
რიუსის რუკის მონაცემები.

შემდეგი ტოპონიმი არაერთხელ ხსენებული ქალეთია, ჩვენი ვარაუდით იგი შე-
ესატყვისება პტოლემეოსის ძ ა ლ ი ს ა ს და პეეტინგერის ლ ე ზ ე ლ ა ს, რომელიც
ს. ერემიანს აღდგენილი აქვს, როგორც ზ ე ლ ე ტ ა. ასეთი ვარაუდი თითქმის გამორიც-
ხავს იმის შესაძლებლობას, რომ ანტიკური წყაროების ძ ა ლ ი ს ა - ზ ე ლ ე ტ ა თბილი-
სის ერთ-ერთ უბნად ან მუხრანის ახლოს მდებარე სოფ. ძალისას იდენტურად ჩავთვა-
ლოთ. საყურადღებოა, რომ ტოპონიმი „ქალეთი“ და ბერძნული „ძალისა“ საკმაოდ
ხელშეესაზღვრ ფონეტიკურ სიახლოვეს ამჟღავნებენ. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ლ. ჭი-
ლაშვილმა პტოლემეოსის ტექსტში, ძალისას გვერდით მოხსენებული არტანისა სამხ-
რეთ საქართველოში მდებარე არტანუჯთან ან არტანთან კი არ გააიგივა, არამედ ივ-
რის ხეობის (არტანისხევის) არტანთან.

შემოვლითი გზა ყველაზე უფრო ინტენსიურად მოქმედებდა გვიანანტიკური ხანის
ბოლოს და ადრეფეოდალური ხანის პირველ ნახევარში, რაც, უპირველეს ყოვლისა,
ერწოს ველის ნუმიზმატიკური მასალის მიხედვით ჩანს. ციხე-ქალაქები უჯარმა, ბო-
ჭორმა და საკუთრივ ქალეთი — (ძალისაც?) დიდად იყო დამოკიდებული ამ გზა-
ზე. მაგრამ თავის მხრივ ისინიც (განსაკუთრებით უჯარმა, ბოჭორმა) ამ მნიშვნელო-
ვან სავაჭრო გზას იერის ხეობაში დიდ სანსახურს უწევდნენ სამხრეთიდან დაცვის
თვალსაზრისით.

მახლობელ აღმოსავლეთში ძალთა გადაჯგუფებამ და არაბობის განსაკუთრებულ-
მა დამძიმებამ VIII საუკუნეში ეტყობა მოშალა ის ეკონომიური საფუძველი, რო-
მელსაც კავკასიაზე გამავალი სავაჭრო გზები და მათ შორის ქერეთ-კახეთის „შემოვ-
ლითი გზა“ ემყარებოდა. ამასთანავე სწორედ იმ ხანებში მოხდა ზოგიერთი სავაჭ-
რო გზის ადგილგადანაცვლება და ახლების წარმოქმნა. ჩანს, ამიტომაც იყო, რომ
ჩვენთვის საინტერესო მაგისტრალმა თანდათანობით დაკარგა საერთაშორისო მნიშ-
ვნელობა და ბოლოს იგი მოიშალა კიდევაც, რამაც გარკვეული დიდი დასვა ერწოს
ველსაც.



სამარბი № 1, ქრისტიანული მონოგრამის გამოსა-
ხელება ბეჭდის თვალზე

სოფელ დაფნარის ქვევრსამარხი



სამარხად გამოყენებული კოლხური ქვევრი, დეტალი

სოფელ დაფნარის (სამტრედიის რაიონი) ანტიკური ხანის სამაროვნის ქვევრსამარხებიდან განსაკუთრებით საინტერესოა სამარხი № 31. სამარხად გამოყენებული ქვევრი შემკულია ცხოველებისა და გეომეტრიული ფიგურების გამოსახულებებით.

სამარხი აღმოჩნდა „დაფის გორის“ დასავლეთი კალთების შუა ტერასაზე. სხვა ქვევრსამარხებისაგან განცალკევებით, ქვევრი პირით იყო ჩადგმული კირქვის დედაქანში. ქვევრის ქვედა ნაწილი წრიულად გადახერხავთ და 7 წლამდე ასაკის გოგონა ჩაუსვენებიათ. (ჩონჩხი შეისწავლა ექიმმა პ. ფირფილაშვილმა, რისთვისაც მადლობას მოვასხენებთ), ის დაუკრძალავთ მოზრილად, თავით დასავლეთისაკენ. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილი იყო: ხელით ნაძერწი პატარა ცალყურა კოჭობით, ყურმილიანი პატარა დოჭით, რომელიც ყელის არეში ჭდეებისაგან შედგენილი წრიული ხაზებით იყო შემკული, საყურე და სასაფეთქლე ბრინჯაოს რგოლებით, ჩკინისა და ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული სამაჯურებით, გამჭვივალე მინის მძივსაკიდებით. ყელის არეში აღმოჩნდა ვერცხლისა და ბრინჯაოს გვერდებანმოჭრილი ზარაკებისა და შვლის ფალანგებისაგან შედგენილი ყელსაბამი, რომელ-



საც ავგაროზის დანიშნულებაც კქონდა. სამარხეულ ინვენტარში შედის მტკაღ თვისებური, მსხვილფეხა საქონლის ძელისაგან დამზადებული, ცხენის ფლოქების ნატიფი გამოსახულება, რომელიც სამანჭველ ნახვრეტების მიხედვით ხის რაღაც საგანზე მაგრდებოდა. მსგავსი ნივთები ძველი აღმოსავლეთის გარდა, ჩვენშიც, კერძოდ, რატაში მ. გომეჯიშვილის გათხრილ ბრილის სამაროვნიდან არის ცნობილი.

სამარხეული ინვენტარი, დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილი ნივთების ანალოგიების მიხედვით, ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: ძვ. წ. V—IV საუკუნეები და ძვ. წ. IV—III საუკუნეები. აქედან გამომდინარე კომპლექსი ძვ. წ. IV საუკუნით უნდა დავათარილოთ. სამარხად გამოყენებული ქვევრი უფრო ადრეული ხანს. ჭურჭელს პირ-ყელი ძველთაგანვე მომტერეული კქონია. ქვევრის სიმაღლე 0,60 მ. აღწევს, მას ფართო მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. შავად გამომწვარი ქვევრის ზედაპირი სხვადასხვა ხასიათის ორნამენტით არის შემკული. ხელოსანს ქვევრი კომპოზიციურად სამ არათანაბარ ნაწილად დაუყვია: ყელ-მხრების არე, რომელიც თავისებურ ფრინს წარმოადგენს და რომელზეც მოცემულია ოთხი ხედი ცხოველის გამოსახულება, მუცელი და ჭურჭლის ქვედა ნაწილი. ყველაფერი ეს ამდიდრებდა ქვევრის დეკორს. მუცლის არე შემკულია მჭიდროდ განლაგებული ვერტიკალური ქედებით, რომლებიც კოპებით ბოლოვდებიან. ჭურჭელს შუა ნაწილში სარტყელივით პორიზონტალურად შემოუყვება ქედების სამი რიგი.

ქვევრის ქვედა ნაწილში მოთავსებულია ერთმანეთისაგან 10 სანტიმეტრით დაშორებული ვერტიკალური ქედების რიგი, რომლებიც ძირთან ახლოს იყრიან თავს. ფრინში შედგება წრიული კომპოზიციისაგან, რომელიც გამოსახავს ორი ცხენის, ირმისა და მგელ-ძაღლის სვლას; და გეომეტრიული ორნამენტისაგან (რომლები და სამკუთხედები).

გამოსახულება დატანილია სველ, გამოუმწვარ თიხაზე. ოსტატი სარგებლობდა ხის წვეტიანი ჩხირით ან საგანებო ლითონის საჭრისით. გარდა ამისა, მას ხელთ კქონია სამი სახის ხის შტამპი.

ცხენი გადმოცემულია მოძრაობაში, მარჯვნიდან მარცხნივ. გამოსახულება, რომლის სიმაღლე 6 სმ-ია, საკმაოდ რეალისტურია. მისი კონტურები მკვეთრად არის მოხაზული, თავი და კისრის ნაწილი დაფარულია წვრილი სამკუთხა ქდეებით. თვალი წრიული შტამპით არის გადმოცემული. ამავე ტვიფრით დაფარულია მთელი ტანი, რაც შესაძლოა სოლარულ ნიშანსაც წარმოადგენდეს. ყოველ შემთხვევაში, ცხენის მზის სიმბოლოებით შემკობა ხშირია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ბრინჯაოს სარტყლებზე.

ცხენს პატარა ირემი მოსდევს, რომელსაც, ტანის მთელ სიგრძეზე, უკან გადაგებული დატოტვილი რქები აქვს. კუდი მოკლეა, მაღლა აწეული.

გეომეტრიულ ფიგურებთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრია გამოთქმული. ერთნი ფიქრობენ, რომ ისინი ეკუთვნიან ნაყოფიერების სიმბოლოთა უძველეს ჯგუფს და უკავშირდებიან მიწის დამუშავებულ ფართობებს. მეორენი კი აქ ხედავენ გორაკებს — ტოპოგრაფიის გადმოცემის თავისებურ ცდას.

მეორე ულაცი ცხენი პირველისაგან ზურგშემქცევით დგას. მას ყელის ნაწილი და გვერდი თვალისებური ორნამენტით აქვს შემკული. დანარჩენი ნაწილი სოლისებური შტამპით არის დაფარული.

ფრინზე ცხენებსა და ირემს საკულტო დანიშნულება უნდა კქონოდათ. მათ ხომ ქართულ რწმენა-წარმოდგენებში, წარმართულ მითოლოგიაში მნიშვნელოვანი ად-



გილი უჭირავთ და უმეტეს შემთხვევაში მზის კულტთან არიან დაკავშირებული. მათი გამოსახულებები ხშირად გვხვდება კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოს წიგნებზე: ცულებზე, შუბისპირებზე, ბალთებზე, სარტყლებზე. ანტიკურ ხანაში ისინი არსებობას განაგრძობენ ოთხკუთხა ბალთებზეც, რაც მოწმობს მათი თაყვანისცემის ტრადიციის არსებობას. ისინი მზესთან დაკავშირებული საღმრთო ცხოველებია.

მეოთხე ცხოველი, კოლხური მცირე ხელოვნებისათვის ძალზე დამახასიათებელი, ნამალი მგელ-ძალღი ანუ მწვევარია. მისი დამახასიათებელი ნიშნებია: წაგრძელებული თავი, ბრტყილი მუცელი, გრძელი ბოლოში მოკაუჭებული კუდი, დაღებული პირი და გადმოგდებული ენა. მისი იკონოგრაფიული ტიპი ჯერ კიდევ კოლხურ-ყობანური წრის ნივთებზე ჩანს ჩამოყალიბებული. ჩვენი კომპოზიციის მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ მგელ-ძალღი სირბილისგან დაღლილა, ქოშინებს და ენა გადმოუგდია, იქნებ სწორედ ეს გარემოება გამოდგეს გამოსახული ცხოველების ურთიერთობის გასარკვევად? ენაგადმოგდებულ მგელ-ძალღს ვხედავთ კავკასიურ ბრინჯაოს სარტყლებზეც. სამთავროს სამაროვნის № 168 სამარხში აღმოჩენილ სარტყელზე ნ. უ რ უ შ ა ძ ი ს დაკვირვებით ძალღს „თითქოს ენა გადმოუგდია, მაგრამ ენას ისეთი შტრიხები არტყია, რომ იგი ენას არ ჰგავს“. დაფნარის აღმოჩენის შემდეგ ამ გარემოებაში შეიძლება ეჭვი აღარ შევიტანოთ.

დღეისათვის კარგადაა გამოკვლეული თუ რა დიდ როლს თამაშობენ ქართულ წარმართულ წარმოდგენებში მგელ-ძალღები. მიუხედავად იმისა, რომ ეთნოგრაფიული მონაცემებით ისინი დამოუკიდებელი მთავარი ღვთაებები არ იყვნენ, მათ საგანგებო პატივს სცემდნენ, ისინი გამოდიოდნენ უზუნაესი ღმერთების მსახურთა როლში, მგელ-ძალღები კეთილი დემონები იყვნენ, უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანებს შეელოდნენ (ბარდაველიძე). უფრო ადრეულ ეტაპზე კოლხური ბრინჯაოს ეპოქაში მათ შესაძლოა მიწათმოქმედთა, მონადირეთა და მეჯოგეთა მფარველი ფუნქციები




სამარხული ინვენტარი



ქქონოდათ. როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში ისინი ღმერთების ერთგული როლში გამოდიან. დაფნარის ქვევრის გამოსახულებიდან ჩანს, რომ მას დიდი ჯაფა დასდგომია, იგი საღვთო ცხოველებს იცავს. გამოსახულებათა წრიულ კომპოზიციაში გადაწყვეტა მაგიური დანიშნულებისაა. მას დასასრული არ აქვს და ცხოველთა სამყაროს წლიურ ღვთაებრივ ბრუნვასაც გვიჩვენებს. ამგვარად, დაფნარის ქვევრებზე მოცემული გამოსახულება იმავე სამყაროს მხატვრულ-იდოლოგიური საფუძველის გამაგრებლებელია, რომელსაც ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის კოლხურ კულტურაში ჩაეყარა საფუძველი. თავის მხრივ ეს ტრადიცია არც მომდევნო ხანაში იკარგება.

ამ გამოსახულებებს დეკორატიული დანიშნულების გარდა გარკვეული საწესო რელიგიური დანიშნულებაც ჰქონდა. ასეთი სახეებით შემკული ქვევრი ალბათ ზედაშეს შესანახად იყო გამოყენებული. დაზიანების შემდეგ კი საპატიო მიცვალებულის _ დასაკრძალავად გამოიყენეს.



ურმილიანი ღოჭი სამარხიდან

მსგავსი გამოსახულებებით შემკული ჭურჭლის მცირე ფრაგმენტები აღმოჩენილი იყო დაბლაგომში. ბ. კუფტინი ხაზს უსვამდა მათ არქაულ იერს და ფიქრობდა, რომ ისინი არაერთარ კავშირში არ იყვნენ ქვევრსამარხებთან. ასეთივე ჭურჭლის ნა-



ტეხები ამ ბოლო დროს აღმოჩნდა ვანში, წინაელისტური ხანის ფენებში. აღნიშნული შესაძლებელია, რომ დაფნარის, დაბლაგომის და ვანის ცხოველების გამოსახულებიანი ქვევრები ერთ სახელოსნოშიც კი იყოს დამზადებული. დაფნარის ქვევრის აღმოჩენის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან მთლიანი სახით პირველად (თიხაში) მოგვცა კოლხური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში.



სამარხად გამოყენებული
კოლხური ქვევრი

ლელილა წითლანამძ

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ღარიალის ციხე

(არქეოლოგიური კვლევა)

სოფელ ყაზბეგის ჩრდილოეთით, 15 კმ. მანძილზე დარიალის ხეობის ვიწრობში, მდ. თერგის მარცხენა ტერასაზე, მდ. ხდეს შესართავის პირდაპირ, შემორჩენილია თავდაცვითი ნაგებობის ნაშთი, რომელიც დარიალის ციხის სახელით არის ცნობილი (ადგილობრივი მცხოვრებნი თამარის ციხესაც უწოდებენ). ციხე ბუნებრივ ბორცვზეა აშენებული, რომელიც ტერასის ჩრდილო ნაწილში ამაღლებულია. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ციხეს მდინარე თერგი ჩამოედის, დასავლეთიდან მაღალი კედელი ეკვრის, ერთადერთი მისასვლელი გზა, ისიც მდ. თერგზე გადავლით, მას ჩრდილოეთიდან ჰქონია. დღეს, გახსადუნის გაყვანასთან დაკავშირებით, ციხის დასავლეთი ნაწილი აფეთქებულია და საკმაოდ ფართო გზა არის გაჭრილი ჩრდილოეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ციხის სამხრეთ კედელში დატანებული თალიანი კართ ბოლოვდებოდა გვირახი, რომელიც მდ. თერგზე ჩადიოდა. წყაროს წყალი კი თიხის მიღებით მოედინებოდა. ციხე ნაგებია დუღაბით შეკრული დაკუთხული ლოდებით, კედელში ალაგ-ალაგ სათოფურებია დატანებული. კედელი რამდენიმე წყებად გარს ერტყმის ციხის ცენტრში მოქცეულ ნაგებობებს. ციხე რამდენიმეჯგუზის აღუდგენიანთ, ამიტომ კედლის წყობა ერთნაირი არ არის, არც ერთდროულია. ერთი ნაწილი წყობისა მოგვაგონებს გვიანანტიკური, ადრეფეოდალური ხანის წყობებს, დანარჩენი უფრო გვიანდელია.

ციხეს ხეობის გასწვრივ გამწვრივებული კოშკების მივლი სისტემა უკავშირდებოდა. თვით ციხეს მეტად მოხერხებული ადგილი ეჭირა თერგის ხეობის ყველაზე ვიწრო ადგილზე. საფიქრებელია, რომ უძველესი გზა თერგის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა და ზედ ციხესთან გადიოდა. ამ გზის მერთალი კვალი დღესაც შეინიშნება თერგის მარცხენა ნაპირის კლდოვან ქარაფზე. ის შემოდის ციხესა და ქარაფს შორის დარჩენილ ვიწრო კარში, რომელიც თავის მხრივ კედლით ყოფილა გადაკეტილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ დარიალის ხეობაზე გამავალი გზა იყო ჩრდილო ქვეყნების სამხრეთთან შემართებული ცენტრალური არტერია, რომლითაც ხორციელდებოდა პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური კავშირები, მაშინ ნათელი გახდება იმ დროისათვის დარიალის ციხის უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა და მისი დაცვა-გამაგრების განსაკუთრებული საჭიროება.

მეცნიერებთა შენახვა დიდძალ სახსრებს მოითხოვდა, ამიტომ იყო შემთხვევები, როცა ძნელბედობის დროს ციხის დაცვა სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან ერთობლივ ხორციელდებოდა. ფეოდალური ხანის ქართულ საისტორიო წყაროებში ხშირად ვხვდებით ცნობებს დარიალის ციხის, დარიალის გზის, არაგვის კარის, ოსეთის კარის, ხევის კარის, დარუბალას შესახებ, რომლებიც თერგის ხეობაზე გამავალ გზასა და დარიალის ციხეს გულისხმობენ. სიტყვა „დარიალის“ ეტიმოლოგია დღეისათვის დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს: „დარი“ სპარსულად კარს ნიშნავს, „ალანები“ ხალხის სახელწოდებაა, რომლებიც კავკასიონის გადაღმა მომთაბარებოდნენ, ე. ი. „დარიალან“ — „ალანთა კარი“. ქართველები არაგვის კარსაც უწოდებდნენ. ლეონტი მროველი ორივე სახელს ერთდროულად მოიხსენიებს და ხაზს უსვამს მათ იგივეობას. ბერძენ-რომაე-



ლი ავტორები კავკასიის კარისა და ზოგჯერ კასპის კარის სახელითაც მოიხსენიებენ მას (მაგ. პროკოფი კესარიელი).

ისტორიკოს ჯუანშერის ნაშრომში ვხვდებით უფრო ადრეული წყაროებიდან ნა-სესხებ ჩანართს, რომელიც დარიალის კარის გამაგრებას და ციხის აგებას ვახტანგ გორგასალის დამსახურებად თვლის. ლეონტი მროველი დარიალის კარის გამაგრებას მირიან საურმაგის ძეს მიაწერს (189-153). ნაშრომში მოთხრობილია, რომ ჩრდ. ტომების დამარცხების შემდეგ მეფემ ციხეს ქვითკირის კარი შეაბა და უწოდა სახელად „დარუბალ“. მას შემდეგ დაჯდა იგი მცხეთაში მეფედ და მეფობდა ნებიერად და უშიშრად. აქედან ჩანს თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დარიალის კარის გამაგრებას მთელი იბერიის სამეფოს უშიშროებისათვის. ყოველი ახალი ქართველი მეფე თავის მეფობას საზღვრების გამაგრებით, კერძოდ, დარიალის კარის გამაგრებით იწყებს.

ჩრდილო მომთაბარეთა შემოსევა ბერძენ-რომაელთა სამფლობელოებსაც აყენებდა საფრთხის წინაშე. ამიტომ ისინიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დარიალის გზის საკითხს. პროკოფი კესარიელი დარიალის ციხის მშენებლად ალექსანდრე მაკედონელსაც კი თვლის. ესჭილე, სტრაბონი, მოგვიტხრობენ ვიწრო გზის შესახებ, რომელიც ჩრდილოეთიდან მდ. არაგოსის ვიწრო ხეობის გავლით მიემართება სამხრეთისაკენ. რომელიც ისტორიკოსი პლინიუსი (ახ. წ. I საუკ.) მოგვიტხრობს რა მდ. არაგვის ხეობის გასწვრივ გამავალი გზის შესახებ, მოიხსენიებს ციხესიმაგრე „კუმანის“, რომელიც აგებულია ურციხე მომთაბარეთა შეტევების მიზნით. მეცნიერთა შორის გაბატონებულია აზრი (ე. ვაიდენბაუმი, ვ. დოლიძე, რ. შმერლინგი), რომ პლინიუსის მიერ მოხსენიებული ციხესიმაგრე კუმანია თანამედროვე დარიალის ციხეს უნდა წარმოადგენდეს ან მის ადგილზე უნდა არსებულიყო. ციხის ერთ-ერთი კედლის ნაწილი ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს იძლევა.

გაზსადენის გაყვანასთან დაკავშირებით ციხის დასავლეთი ნაწილი ააფეთქეს*. გაშიშვლდა კულტურული ფენები, რომლებიც შეიცავდა თიხის და მინის ჭურჭლის ნატეხებს, ძვლებს და სხვა კულტურულ ნაშთებს. უამრავი თიხის ჭურჭლის ნატეხით იყო მოფენილი ახლად გაჭრილი გზის მთელი ფართობი.

1962 წ. დარიალის ციხის ტერიტორიაზე სპეციალური სადაზვერვო სამუშაოები ჩატარა ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ კალთების ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის ყაზბეგის რაზმმა (ექსპედიციის ხელმძღვანელი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გობჯიშვილი, რაზმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ლ. წითლანაძე). რაზმის მიზანი იყო ძველის დაცვა და ანტიკური ხანის მასალების ნეკრება.

ახლად გაშიშვლებული კულტურული ფენების ქვედა პერიოზტიდან ამოიკრიფა დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ნატეხები, მათ შორის წითლად გამომწვარი თხელკედლიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლებიც იერით ანტიკური ხანის კერამიკას წააგავს. დიდი რაოდენობით შეიკრიბა ობტეოლოგიური მასალა, კერძოდ, ხარისა და ჯიხვის დამუშავებული რქები, მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის ძვლები, კეთილშობილი პატინით დაფარული ბრინჯაოს ილარი თუ საკინძი. ამ ნივთს მოკლე ღერო აქვს და წვეტიანი ბოლო, თავზე კისრებით შეერთებული ცხოველის —

* ასეთი აფეთქება კულტურის დიდმნიშვნელოვანი ძეგლის ფარგლებში უოკლად დაუშვებლად მოგვიჩანია. იგი აკრძალულია საბჭოთა კანონმდებლობითაც (ბუღ.).



დარიალის ციხე.

ფოტო ე. ჯიშკარიანის.



საქართველოს
საქმიანობა



დარიალის ციხე


ფოტო ვ. ჭიშკარიანის



ამ ნაგებობათა გასუფთავებისას მოპოვებული მასალა: რკინის ისრისპირების
ხის ტურტლის ნატეხები და სამკაულები ფეოდალურ ხანას განეკუთვნება. უმეტესი ნაწი-
ლი ნატეხებისა V—VII საუკუნეებისაა, მცირე ნაწილი X—XI სს.

ციხის სამხრეთით მდებარე ტერასის ტერიტორია მოფენილია სამარხებით. ერთი
ნაწილი თითქოს ამალღებულა და ქვებით არის შემოფარგლული. ამ ადგილზე დედა-
მინის ზედაპირზეც კი აშკარად შეინიშნება აღმოსავლეთიდან-დასავლეთისაკენ დამხო-
ბილი ქვაყუთების კონტურები. აქ აღმოჩენილი ქვაყუთები უინვენტაროა, თავისებური
კონსტრუქციისაა. ჯერ ჩანს ჩვეულებრივი ქვაყუთები, ხოლო მისი იატაკის აყრის
შემდეგ ჩნდება ქვევით გაწყობილი ვიწრო სამარხი -- კუბო. მიცვალებული გვერდზე
ასვენია, ოდნავ მუხლებში მოხრილი. ამ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებნი ქისტების
სასაფლაოს უწოდებენ. პლატოს აღმოსავლეთ ნაწილშიც ვხვდებით სამარხებს, ეს სა-
მარხები ჩვეულებრივი ტიპისაა, ფიქლებიანაგან შევრული. რამდენიმე სა-
მარხის ძირზე დულაბია მოსხმული. აქ გათხრილი ყველა სამარხი გაძარცვული და დან-
გრეული აღმოჩნდა, მხოლოდ ერთ შემთხვევაში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური და
დაკუთხული მინის მძივი. როგორც ჩანს, სამარხები ციხის მეომრებს ეკუთვნოდათ. ეს
ქვაყუთები, თუ სამაჯურისა და მინის მძივის მიხედვით ვიმსჯელებთ, ადრე ფეოდალუ-
რი ხანისა უნდა იყოს.

ამგვარად, დარიალის ციხისა და მის გარშემო მდებარე ნაგებობათა საფუძვლიანი
შესწავლა ახალ ფურცლებს გადაშლის ჩვენი სამშობლოს ანტიკური ისტორიის კვლე-
ვის საქმეში, ბევრს ახალს გვაუწყებს ქართულ თავდაცვით ნაგებობათა შესახებ.



დარიალის ციხეზე აღმოჩენილი ლითონის ისრისპირი, საკინძი და სამაჯურის ნაწილა



დავით გარეჯა. საერთო ხედი

ბიძინა კირატოვილი

რამდენი მონასტარია გარეჯში?

გარეჯში მონასტერთა რაოდენობის შესახებ კარგა ხანია აღიძრა დავა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. დღევანდელ მკვლევართა შეხედულებანი საისტორიო წყაროთა ჩვენებებთან ვერ თანხმდებიან, და ამდენად ეს საკითხი მეცნიერულად სადაო და ჯერ კიდევ გაურკვეველია.

ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებსა და წყაროებში გარეჯის სავანეები „ათორმეტ უდაბნოდ“, ე. ი. თორმეტ მონასტრად იწოდება. ამის შესახებ უძველესი და პირდაპირი ცნობა ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით დაცული გვაქვს ჯერ ჟამთააღმწერლის (XIV ს.) თხზულებაში, შემდეგ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ და ბოლოს საეკლესიო ხასიათის სიგელ-გუჯარებში, რომელნიც დავით-გარეჯის და ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრალის იერარქიული ურთიერთობის საკითხებთანაა დაკავშირებული.

ჟამთააღმწერელი გვამცნობს, რომ მეფე დემეტრე თავდადებულის (1271—1289) დროს, დიდმა სახელმწიფო მოხელემ სადუნმა „მისცა ყალანი და მალი

* იბეჭდება განზილვის წესით. ბიბლიოგრაფიულ მასალას ვერ ეათვისებთ.

ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა, და განათავისუფლანა გარეჯისა“. ასევე „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ერთ ადგილას ვკითხულობთ: „ამას ზედა ეპისკოპოზნი ქართლისა კათალიკოზისავე, გელათელი, „ძმანი გარეჯელნი და ათორმეტნი უდაბნოთანი“.

ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრალის საჭეთმპყრობელნი ანუ ეპისკოპოსნი, რომელნიც თავიანთ იურისდიქციას გარეჯის მონასტრებზეც ავრცელებდნენ, ძველ საეკლესიო საბუთებში „ათორმეტთა უდაბნოთა“ მაკურთხეველებად და არქიმანდრიტებად იწოდებიან.

ამგვარად იხსენიებს კახეთის მეფე ლევანი (1520—1574) 1553 წლის დოკუმენტში „ათორთა უდაბნოთა მაკურთხეველსა არქიმანდრიტ ნინოწმინდელსა ზაქარიას“, მეფე ლევანის ძე გიორგი (დაუთარიღებელ საბუთში) „ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტელსა მამასა სილოანს“, ასევე იწოდება 1690 წ. დოკუმენტში „ათორმეტთა უდაბნოთა მაკურთხეველი არქიმანდრიტი ნინოწმინდელი არსენი“ და სხვა.

ნინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი იოსებ ვაჩნაძე 1709 წელს დოდოს მონასტრისადმი მირთმეულ სიგელში აკეთებს რა მოკლე ისტორიულ ექსკურსს ქრისტიანობისა და მისი საქართველოში გავრცელების შესახებ, გარეჯში მონასტრთა დაარსების საკითხსაც ეხება და წერს, რომ „შეიქმნეს ადგილსა მაგას მონასტერნი ათორმეტნი თვის-თვისით წინამძღვარითურთ. და ესენი ყოველნი იყუნეს სამწყსო და მორჩილ ღმრთისა მიერ კურთხეულისა მთავარეპისკოპოზისა ნინოწმინდლისა; და რომელნიც უფლობდეს და განაგებდეს საგარეჯოს წმინდის ნინოს მონასტერსა, მათიყა ჯერ არს პყრობა და კურთხევა ამით“.

ანტონ კათალიკოსიც იხსენიებს „ათორმეტთა უდაბნოთა მაკურთხეველსა“ — საბა ნინოწმინდელ მღვდელმთავარს, — ცნობილ საეკლესიო მოღვაწეს, ერეკლე II-ის „თანაზრდილსა“ და „თანაგანმზრახს“, რომელსაც (საბას) თავის „ანდერძისებრნი ღუწაწაში“ აღნიშნული აქვს, რომ „მწყემსობა და მოურნეობა რწმუნებულ იყო ჩემდა ათორმეტთა მათ მონასტერთა გარეჯისა და მრავალმთისათაო“, ხოლო, როცა ნათლისმცემლის 1778 წლის „თავმეწირობის“ წიგნს ამტკიცებს, თავის საეკლესიო ტიტულს ასე აყალიბებს: „ჩვენ ყოვლად სამღვდელთ ნინოწმინდელ მიტროპოლიტი და ათორმეტთ უდაბნოთ მაკურთხეველი ნინოწმინდელი საბა“.

ნიშანდობლივია, რომ თვით ნინოწმინდის საეპისკოპოსო კათედრალი გარეჯის „ათორმეტთ“ საჯანის საჭეთმპყრობელად იწოდება: „მოგახსენეთ ჩვენ მეფეთმეფემან პატრონმან ალექსანდრე და სასურველ საყვარელთა ძეთა ჩვენთა პატრონმა დავით და პატრონმა კონსტანტინე თქვენ, ჩვენსა სასოებასა და სიჭადულსა, ჩვენსა მცველსა და მფარველსა ათორმეტთა უდაბნოთა საჭეთმპყრობელსა წმიდასა ნინოს“, — ვკითხულობთ 1597 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში.

ანალოგიურ ამბავს ვხედავთ ტაო-კლარჯეთში. იქ არსებული საჯანებიც რიცხობრივად „ათორმეტად“ იხსენიებიან და იქაური მწყემსთმთავარიც ნინოწმინდელით „ათორმეტთა უდაბნოთა“ მაკურთხეველ არქიმანდრიტებად იწოდებიან. ანჩის ოთხთავის თამარ მეფის დროინდელ მინაწერში იხსენიება „წმინდა მღვდელმომძღვარი თეოდორე ანჩელი მთავარეპისკოპოსი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი (sic) და მეფე დიმიტრი თავდადებულის 1289 წლის სიგელში



„ქ(რისტ)ეს მიერ აწეული მთავარებისკოპოსი და ათორმეტთა არქიმანდრიტი უნდოი ი(თა)ნე“.

ტაო-კლარჯეთში თორმეტი მონასტრის არსებობის შესახებ ცნობას გვაწვდის ეამთაღმწერელიც: „მაშინ ბექამან დაიპყრა ქუეყანა ტახისკართგან კარნუქალ-ქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალის კვეი, არტანუჯი, თორმეტი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს“.

ამ ადგილებში თორმეტი მონასტრის ფაქტიურ არსებობაზე პირველად ეჭვი მიიტანა პროფ. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა. „დამაფიქრებელია მხოლოდ ერთი გარემოება, — წერს განხვეწებულნი მკვლევარი, — რომ ორსავე შემთხვევაში „ათორმეტთა უდაბნოთა“ ხსენებასთანა გვაქვს საქმე: რაღა თორმეტი და არა მეტი ან ნაკლები უდაბნო აღინუსხა საქართველოს ორსავე უკიდურეს — აღმოსავლეთისა და დასავლეთის კუთხეში მოქცეულ სამონასტრო კომპლექსში? ჩვენ პირადად გვგონია, რომ ციფრი თორმეტი ამ შემთხვევაში სიმბოლური ხასიათისაა, თორმეტი მოციქულის ანალოგიით შექმნილი (შდრ. იოანე ზედაზნელის მეთაურობით ცნობილ თორმეტ სირიულ მამათა კრებული, რომელიც „იესო ქრისტეს და მისი თორმეტი მოწაფის მისიის ანალოგიით“ — აა შექმნილი), რომელიც არქეოლოგიურ რეალიებს არ შეესაბამება... თუ ჩვენ სამონასტრო კომპლექსებს დავითვლით (გარეჯში, ბ. ქ.) მაშინ მათი რიცხვი ნაკლები გამოვა, ხოლო თუ ცალ-ცალკე ეკლესიებს, მაშინ 12-ზე გაცილებით მეტი მღვდლის ეკლესიასთან გვექნება საქმე, რამდენადაც „მრავალმთის“ ეკლესია-სამლოცველოთა რიცხვი რამდენსავე ათეულს აღწევს. ამრიგად, ცხადია, რომ „ათორმეტნი უდაბნო“ ერთგვარი termini technici-ა, რომელიც ერთიმეორის ახლოს მდებარე უდაბნოთა ანუ მონასტრთა კომპლექსს აღნიშნავს საერთოდ“.

ამ მოსაზრებას უცვლელად იზიარებს პროფ. ლ. მენაბდე. იგი ანალიზს უკეთებს მის ხელთ არსებულ წყაროებსა და ცნობებს, და ამავე დროს ეყრდნობა რა აკად. გ. ჩუბინაშვილს, რომელმაც უდაბნოში ექვსი მონასტერი — დავითის ლავრა, უდაბნო, დოდორქა, ნათლიმცემელი, ბერთუბანი, ჩიჩხიტური — გამოავლინა, წერს: „ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმის სამტიკეებლად, რომ გარეჯის უდაბნოში 12 მონასტერი იყო“. გარეჯის მონასტრთა რიცხვი „ათორმეტი“ ასევე არარეალურ ცნებად მიაჩნია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს ბ. ლომინაძეს.

ტაო-კლარჯეთში ნამდვილად რომ ფაქტია თორმეტი მონასტრის არსებობა, ეს მკვლევარმა და მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ გამოარკვია გიორგი მერჩულეს — „ცხოვრებაი გრიგოლ ხანძთელისაის“ მიხედვით. ხოლო გარეჯის „ათორმეტი უდაბნოს“ არსებობაც ნამდვილად რომ არქეოლოგიურ რეალიებს შეესაბამება და რიცხვთორმეტის არავითარ სიმბოლურ გაგებასთან არა გვაქვს საქმე, ესეც საფუძვლიანად დასტურდება უკანასკნელ დროს გამოვლინებული საისტორიო წყაროების სათანადო შესწავლისა და მათი ჯეროვანი ინტერპრეტაციის შედეგად.

არ უნდა გამოვრჩეს მხედველობიდან, რომ ძველად მონასტრად იწოდებოდა არა მხოლოდ დიდი სამონასტრო ნაერთი ნაგებობა, არამედ პატარა ტიპის ეკლესიაც, რამდენადაც მონასტერი, როგორც საბაგ განმარტავს „მონაზონთ საკრებულოს“ ნიშნავს. თუმცა არ შეიძლება სრულად დავყრდნოთ იმას თუ რამდენი მონასტრია გამოვლინებული გარეჯში დღესდღეობით და საექვოდ მივიჩნიოთ დაბეკითებით მტკიცებანი საისტორიო წყაროებისა.



დავით გარეჯა. უდაბნოს შთავარი ეკლესიის მხატვრობა

ფოტო გ. აბრამიშვილის

არსებობს ფრიად საყურადღებო დოკუმენტი, ერეკლე II-ის მიერ ნაწილობრივ დატყვევებული საქართველოს ტაძრისადმი მიერთებული — დიდი როარტაგ გუჯარი, რაშიც ვკითხულობთ: „...მონასტერნი გარეჯისა და მრავალმთისანი ორნი. ღირსისა მამისა ჩვენიას დავით გარეჯელისა, სადა იგი მდებარე არს ყოვლად განწმენდილნი ნაწილნი მის ღირსისანი. კ (ვალა) დ მონასტერი წმიდისა წინამორბედისა იოანესი, რომელი არს გარეჯას მრავალმთად წოდებულსა უდაბნოსა შინა, რ (ამეთუ) დღეს ორთა ამათ შინა მონასტერთა იმყოფებიან ძმანი და ათნი იგი მონასტერნი გარეჯისანი ცალიერ არიან ცოდუათა ჩუენთათჳს; და თუ სადმე ინებოს ღმერთმან განახლებად ათნიცა ივი მონასტერნი გარეჯისა და მრავალმთისანი, ანუ ახალნის სხუათა უდაბნობთა შინა გარეჯისა და მრავალმთისათა იქმნენ შ-დ ამისა მონასტერნი იგი ყოველივე წმიდისა ჭალწულისა მოციქულითა სწორისა ნინას საგარეჯოს შინაჲსა ეკლესიისათჳს საქებისკობოსსა შეგვიწირავს მიგვირთმევივს, და მოგვიხსენებოივს“. (იხ. ხელნაწერთა ინსტ. არქ. ხელნაწ. H-2110, 13 V).

რაშია საქმე? საბუთი, როგორც ვხედავთ, ნათლად და პირდაპირ ათ მოხსრებული, ხოლო ორ მოქმედ, ე. ი. სულ თორმეტ მონასტერს ასახელებს. ვერ ვიტყვი, რომ მასში დაცლილად დადასტურებული „ათნი იგი მონასტერნი“ ვისიმე ათი მოციქულის ან მოწაფის ანალოგიიდან მომდინარეობდეს. დასახელებული დოკუმენტი, როგორც ვხედავთ, მთლიანად არყვევს ზემოთ ხსენებული მკვლევარების შეხედულებას იოანე ზედაზნელის „ათორმეტი მოწაფის“ და გარეჯის „ათორმეტი უდაბნოს“ „ანალოგიის“ საკითხში.

ხსენებულ საკითხთან მიმართებით ვახუშტი ბატონიშვილი დუმს. იგი თავის საქართველოს გეოგრაფიაში ერთგვარი თავშეკავებით წერს: „გარეჯის მთას არს მონასტერნი, კლდეა შინა გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრაპეზნი, პალატნი. ზამთარ თბილ, ზაფხულს გრილი. ნათლისმცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდრე მწარე წყლამდე, და მოწესითა სავსენი, ხოლო აქ არს ზუთი მოწესითა მყოფი“. როგორც ჩანს, ვახუშტის დროისათვის ზუთი მოქმედი მონასტერი ყოფილა, მაგრამ ამავე დროს ისტორიულად „ყოფილან მონასტერნი მრავალნი“, რომელთა სახელებსა და რაოდენობას ვახუშტი არ ასახელებს.

მეფე და პოეტი ვახტანგ VI ერთ-ერთ თავის პოეტურ ქმნილებაში უდაბნოს მონასტერთა სახელებს ჩამოთვლის კიდევ, სულ ექვსს — დავითის ლავრა, ბერთუბანი, ჩიჩხიტური, ნათლისმცემელი, წამებული, დოდო:

„ამას უკან სულისათვის უდაბნონი მოილოცე,
წმიდას დავითს თაყვანიეც, ერთი მადლი გაიოცე,
ბერთუბანო, ჩიჩხიტურით, ცოდვა ჩემი ამიხოცე!
და ნათლისმცემლით წამებულო, დოდოვ მტერი დამიხოცე!“

ანტონ კათალიკოსი ერთ თავის თხზულებაში, რომელშიც მრავალმთის 1616 წლის ტრაგედიას აღწერს, წერს: „მამინ უღმრთოთა მათ აღაოკრნეს ყოველნი მონასტერნი, რამეთუ მომზრახობენ მათგან მოოკრებულთა მათ ათორმეტ მონასტრად, რომელნიცა გარეკსჯისა უდაბნოსა შინა და კიდეთა მცირისა აღაზნისათა შენნი იყუნეს“. „მცირე აღაზანი“, როგორც ვახუშტი გვიდასტურებს, „დიდი აღაზანის“ შენაკადი მდინარე იორია.



ანტონი აქ გარკვევით ლაპარაკობს ჯერ თორმეტ მონასტერზე და შემდეგ ადგილმდებარეობის შესახებაც გვაწვდის ცნობას, რომ ეს „ათორმეტი“ მონასტერი არსებობდა როგორც მრავალმთას ანუ „გარეკსჯის უდაბნოსა შინა“, ასევე „კიდეთა მცირისა ალაზნისათა“, ე. ი. მდინარე იორის სანაპიროებზეო, ანუ ვახუშტით — მწარე წყლამდე.

ანტონ კათალიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ თორმეტი მონასტერი ერთ გეოგრაფიულ პუნქტში კი არაა მოქცეული, არამედ ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ ადგილებზე მდებარეობენ, რამდენადაც გარეჯა მდინარე ივრისაგან რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაცილებული; როცა გარეჯის თორმეტი მონასტრის ადგილმდებარეობის გამორკვევა გვინტერესებს, კათალიკოს ანტონის ზემოხსენებული ცნობა ერთ-ერთი ძვირფასი და საყურადღებო ცნობათაგანია, რომელსაც გვერდს ვერ აუვლით.

3. იოსელიანმა და პროფ. მ. ჯანაშვილმა სცადეს გარეჯის უდაბნოს „ათორმეტი მონასტერი“ თითოეულად ჩამოეთვალათ: (გარეჯა, ალდგომისა-წამებული, ბერთუბანი, დოდორქისა, ნათლისცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, მღვიმე-მალაზანა, ქოლაგირი, მოხატული, ვერანგარეჯა, პირუკულმართი), მაგრამ მონასტრებად ისინი ისეთებსაც ასახელებდნენ, (მაგალითად სამი უკანასკნელი), რომლებიც საბუთებსა და წყაროებში მონასტრებად არ იწოდებიან. თუ ექვს მონასტერს — დავითის ლავრა, უდაბნო, დოდორქა, ნათლისცემელი, ბერთუბანი, ჩიჩხიტური, რომელნიც გამოკვლევებისა და წყაროების თანახმად მონასტრებად არიან დადასტურებულნი, — ვახტანგ VI-ის მიერ მონასტრად დასახელებულ წამებულს დავამატებდით, მაშინ გარეჯაში შვიდი მონასტერი დაგვიდასტურდებოდა, რომელთაც საისტორიო წყაროთა ჩვენებებთან („ათორმეტნი უდაბნონი“) კიდევ ვერ შევათანებდით. მაგრამ ჩვენს ხელთაა ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი — 1392 წლისა, რომელშიც საქართველოს საკათალიკოსო მამულად, სხვა მამულებთან, სოფლებთან და მონასტრებთან ერთად დასახელებულია „იორსე მონასტერი სიონი და მონასტერნი ქუაბნი, მათითა მამულითა... დავითის საფლავი და დოდო-რქა მონასტერი და უდაბნო თხსითა შესავლითა“.

აღნიშნულ დოკუმენტში არ იხსენიება მრავალმთის სხვა დანარჩენი რელიგიური ცენტრები, მაგალითად ისეთი მნიშვნელოვანი მონასტერი, როგორიცაა ნათლისცემელი, რომელიც ჯერ კიდევ VI—VII საუკუნეებიდან არსებობს. ამდენად, დასახელებული დოკუმენტი მართალია არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას მრავალმთის მონასტერთა რაოდენობაზე და ეს იმ დროს, როცა იმავე პერიოდის ჯამთაღმწერელი — „გარეჯის ათორმეტ უდაბნოს“ გვისახელებს, მაგრამ სამაგიეროდ ძვირფას ცნობას გვაწვდის დღემდე უცნობ — იორსე სიონის მონასტერსა და „მონასტერნი ქუაბნის“ შესახებ, რომელთა შესახებაც ცნობები სხვა საბუთებსა და მემატიალურ შრომებში არ მოგვეპოვება. სითარხნის გუჯარში დასახელებული „მონასტერნი ქუაბნი“ უნდა იყოს 1939—44 წ. წ. მიკვლეული ის ოთხი ქვაბული მონასტერი რომელნიც ქოლაგირის, მალაზანის, ხოლო ორი კი პირობითად სახელთა დაკარგვის გამო დღეისათვის ზემო მალაზანის და ქვემო მალაზანის სახელით არიან ცნობილნი. აქ დასახელებული ოთხი ქვაბული მონასტერი დავით-გარეჯის მონასტრებიდან 40-50 კმ-ით არიან დაშორებულნი და მდინარე ივრის ორივე მხარეს მდებარეობენ. ანტონ კათალი-



დავით ვარუჯა. უდაბნოს სატრაპეზო. საერთო ხედი

ფოტო გ. აბრამიშვილის



კოსის შემოსვენებული ცნობა, რომლის თანახმად ნაწილი გარეჯის თორმეტი მონასტრისა „კიდეთა მცირისა ალაზნისათა“ მდებარეობენ, დადასტურებას სწორედ ამ სითარხნის გუჯართან მიმართებაში პოულობს.

ყოველივე შემოთქმულის საფუძველზე, ჩვენი აზრით გარეჯის თორმეტი მონასტრითა შორის უნდა ვიგულისხმოთ: 1. დავითის ლავრა, 2. ბერთუბანი, 3. დოდოს რქა, 4. ნათლისმცემელი, 5. უდაბნო, 6. ჩიჩხიტური, 7. წამებული, 8. სიონი, 9. ქოლაგირი, 10. მალაზანი, 11. ზემო მალაზანი, (პირობითად), 12. ქვემო მალაზანი (პირობითად).

როცა გარეჯის თორმეტი მონასტრის არსებობაზე ვმსჯელობთ, არ უნდა გვეუცნაუროს ის ამბავი, რომ 1245-1250 წ.წ. შიომღვიმის მონასტრის შეწირულების სიგელს „სამნივე უდაბნონი გარეჯისანი“ ამტკიცებს და არა მეტი. ასევე, არც ის, რომ 1259 წლის რკონის მონასტრის შეწირულების სიგელსაც „სამისავე უდაბნონისა გარეჯისა“ მოწვენი ამტკიცებენ. დასახელებულ დოკუმენტებში, როგორც ვხედავთ, გარეჯის მხოლოდ „სამ უდაბნოს“ ვკითხულობთ, თანაც „ვე“-ს თანდართვით, პირველში „სამნი-ვე“ და მეორეში „სამისა-ვე“, ე. ი. აზრის მიხედვით: სამი და ამ სამი მონასტრიდან სამი-ვეო. წყაროების მიხედვით, XIII საუკუნისათვის გარეჯში სამი კი არა და უკვე რამდენიმე რელიგიური ცენტრია. შეიძლება გვეფიქრა, როგორც სხვებიც ფიქრობენ, რომ მხოლოდ სამის დასახელება, აქ დანარჩენების გაუქმებაზე მიუთითებდა, რაც არ იქნებოდა სწორი. სინამდვილედ უნდა მივიჩნიოთ ბ. ლომინაძის ვარაუდი, რომ ამ სამში სამი მონასტერი კი არ იგულისხმება, არამედ სამი მთავარი ობიექტი, რომელნიც ანტონის შემოსვენებულ ცნობას თუ გავითვალისწინებთ, სამ ერთმანეთისაგან დაშორებულ გეოგრაფიულ პუნქტში უნდა ყოფილიყო. ამიტომაც საგანგებოდაა მინიშნებული შემოსვენებულ დოკუმენტში ცნება „სამნი-ვე“ და „სამისა-ვე“ და არა სამი, ე. ი. სამი მთავარი მონასტრიდან თითოეულს რამდენიმე (ალბათ სამ-სამი) მონასტერი ექვემდებარებოდა — სამივე მთავარი მონასტერი „ვამტკიცებთო“.

წინააღმდეგ შემთხვევაში გაუმართლებელი იქნებოდა „ვე“-ს მიხმარება, რომელიც უდაოდ „ყველას“ გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, შეუძლებელია ერთი საუკუნის მანძილზე, XIII-დან XIV-მდე, როდესაც გამთავალმწერელი გარეჯის „ათორმეტი“ მონასტერს გვისახელება, ასე მალე, ესოდენ ძნელბედობის გამსაცხრა მონასტერი აღდგენილიყო ან, მით უმეტეს, დაარსებულიყო.

დასასრულ, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ის კარგად ცნობილი ამბავი, რომ უცხოელ დამპყრობთა მრავალგზისი შემოსევის, დარბევის და აოხრების შედეგად „გარეჯის ათორმეტი უდაბნონი“ მართალია მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ უქვევლად სწყვეტდნენ დროებით მოქმედებას. მაგრამ ეს სრულიადაც არ განაპირობებდა იმას, რომ ვთქვათ, ნინოწმინდელ მღვდელმთავრებს გარეჯის ისევე თორმეტი მონასტრის მაკურთხეველად და მოურვედ აღარ დაეახლებინათ თავიანთი თავი. ირკვევა, რომ მათ, თორმეტი მონასტრის დასახელებისას მხედველობაში აქონდათ გარეჯის როგორც მოქმედი, ასევე არა მოქმედი ანუ გაუქმებული, დაცლილი მონასტრები. ნინოწმინდელთა საეპარქიო კუთვნილებად, როგორც მიტროპოლიტ საბა ტუხაძის „ანდერძისებრნი ლუწანიდან“ ჩანს, ითვლებოდა გარეჯის ყველა ის „შენნი და უშენნი და აღსაშენნი ყოველინივე“, რაც მის ტერიტორიაზე მდებარეობდა.

ერთი სიტყვით, გარეჯაში რიცხობრივად თორმეტი საეპარქიო დასტურდება, რო-



მელთა სახელები ზემოთ ჩამოვთვალეთ და რომელთა მონასტრებად მიჩნევის უფლებას გვაძლევს ის უცილობელი ფაქტი, რომ ყველა ესენი ძველ საბუთებშია და წყაროებში მონასტრებად იწოდებოდნენ.

არსებული წყაროების მიხედვით, როგორც ზემოთ განხილული დოკუმენტებიდან და ცნობებიდან ჩანს, ცნება „ათორმეტი“ სახით ჩვენ საქმე გვაქვს თორმეტის არა სიმბოლურ, არამედ მის პირდაპირ გაგებასთან და გარეჯში ზუსტად თორმეტი მონასტრის არსებობის ისტორიულ სინამდვილესთან.



დავით გარეჯის ლავრა. დავითის პირველი გამოქვაბული.

გარეჯი თავის სამონასტრო კომპლექსში დღემდე უცნობ მრავალ ისეთ ეკლესია-სენაკს ითვლის, რომელთა სახელები არც ძველ საბუთებსა და წყაროებში არ მოგვეძიება. საჭიროა თითოეულად მათი მიგნება და სრული აღრიცხვა-შესწავლა. ამისათვის კი საკმარისი არაა ერთი და ორი და თუნდაც რამდენიმე საგანგებო ექსპედიცია.

სხვა რომ არა იყოს რა, გამთავლას თავისი შიაკეს და აქ შემორჩენილი წარწერებისა და ფრესკების დროული მიგნება-გადმოღება ერთ-ერთი გადაუდებელი საქმეა.

გარეჯის საეკლესიო თავიანთ ლაბირინთებში, ჩუქურთმებში, სვეტებზე, წარწერებსა და ფრესკებზე, ყველგან, რასაც კი შემოქმედი ქართველის ხელი შეხებია, ჩვენი წარსულის დიდ და საინტერესო ამბებს ინახავს. იგია მოზიარე და უტყუარი მემატია-ნე მთელი თოთხმეტი საუკუნის მანძილზე ქართლის ცხოვრების ჭირისა და ღონისა. ის არის ჩვენი გაუტეხელი ერის მდუმარე ისტორია, რასაც ამტყველება და დავა სჭირდება. ვფიქრობთ, რომ დროა ჩვენმა სამეცნიერო საზოგადოებამ, მოწინავე ინტელიგენციამ ითაოს და გარეჯის შემსწავლელი ინსტიტუტი დააარსოს ან შექმნას მისი შემსწავლელი მუდმივ-მოქმედი ექსპედიცია. ამის განხორციელებით დიდ ეროვნულ საქმეს ჩაეყრება საფუძველი, რაც საქართველოს ისტორიის მრავალ საინტერესო ფურცელს გამოამწვურებს, მეცნიერებისათვის და ერისათვის გადაარჩენს.



ლია წარიღი რესპუბლიკის პროკურორს ა. ტაბიძეს

ჩვენი კულტურის ძეგლების დაცვის საერთო მდგომარეობა გაუმჯობესების გზაზეა. მრავალი ძეგლი შეკეთდა, აღდგა, გადარჩა დანგრევას და ჩვენს ერთან ერთად განაგრძობს თავის სახელოვან არსებობას.

თითქმის მოისპო ძეგლებიდან ქვების დატაცება. უკვე იშვიათია ახალგაზრდების მიერ ძეგლების კედლებისა და მხატვრობის მკლაბნელობა, თავისი გვარის წერა. საგრძნობლად შემცირდა ძეგლების გამოყენება საზიანო წარმოება-სათავსოების მოსაწყობად... მაგრამ, დადებით შედეგებთან ერთად, გაჩნდა ძეგლების დაზიანების ახალი საშიშროებაც.



ფიტარეთის სარკმლის დაზიანებული ჩუქურთმა

ჩვენი ცხოვრება სწრაფი, დინამიური ძალით ვითარდება. შენდება მრავალი ახალი შენობა და ქარხანა, გაჰყავთ ახალი გზა, ახალი გაზსადენი, წყალსადენი... იხსნება ახალი მაღარო, ქვის სამტეხლო, მუშავდება ახალი საბადო და ა. შ.


ეს დიდი და აუცილებელი მშენებლობა ყველგან არ წარმოებს სათანადო წესების დაცვითა და სიფრთხილით და ხშირად ზიანდება ახლომდებარე ძეგლი.

ჩვენთვის ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც ახლის მშენებლები ფაქიზად ეპყრობიან ისტორიულ ძეგლებს. საკმაოა დაქვასხელოთ წოფის ციხის, თიანეთის სიონის, გრემის, უბისას, ხახმატის და სხვა მაგალითები. მაგრამ ამ ბოლო დროს თავი მოიყარა ახალმა, არცთუ საამო ფაქტებმა. მათი უყურადღებოდ დატოვება აღარ შეიძლება.

ჩვენ გვესმის, რომ ხანდახან ძველი ნაგებობანი ხელს უშლიან ახალ მშენებ-



ლობას, მაგრამ სწორედ აქ უნდა გამოჩნდეს ძეგლებისადმი ზრუნვა. ზრუნვის მქონე მშენებლობისათვის აუცილებელი არ არის ძველი, საყურადღებო ძეგლის შეწირვა. ახლა მრავალი საშუალება არსებობს... სულ ადვილია ძეგლის გადანაცვლება, როგორც ეს მოხდა თიანეთის სიონის მიმართ, ან გზის ახალი ვარიანტით შემოვ-




წმინდა ნიკოლოზის ტაძარი აფეთქებამდე

ლა, როგორც განხორციელდა გრემსა და ხახმატში, ან ასაფეთქებელი უბნის სრული გამოყოფა და დამატებით ძველი ციხის შეკეთება (წოფი), ან თავიდან ისე დაგეგმვა, რომ არ დაზიანდეს ძეგლი (ანანური).

ჩვენი მიწა ისტორიითაა აღსავსე, ამიტომ ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვა-გათხრები უნდა ხდებოდეს ყოველი დიდი, ახალი მშენებლობის დაწყებამდე და არა შემდეგ. ყველგან ასე რომ იყოს, ბევრი ძეგლი და მიწით დაფარული „ქართლის ცხოვრების“ ფურცლები გადარჩებოდა.



ჩვენთან ახლა დაწყებულია თუ გრძელდება ისეთი უდიდესი კომპლექსური რესტავრაცია, როგორც არის სვეტიცხოველი, შატილი, სვანეთის კოშკები, დავით გარეჯი, ვარძია და სხვა... წინ კიდევ დიდი მუშაობა გველის ძველთა აღსადგენად... ამიტომ ეს ახალი სიძნელეც თავიდანვე უნდა აღმოვფხვრათ. მშენებელნი ჯოჯოხეთის როდი იჩენენ სათანადო მზრუნველობას... კავკასიონის გაზსადენის გაყვანის დროს უშუალო აფეთქებისას ფრიად დაზიანდა დარიალის სახელგანთქმული ციხე, ერთ-ერთი უძველესი თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც ანტიკური ხანიდან იწყებს საუკუნეთა სათვალავს.



წმინდა ნიკოლოზის ტაძარი აფეთქების შემდეგ

ხრამპეის მეორე რიგის მშენებლობის დროს დმანისის რაიონში აფეთქებამ დაანგრია „ლამაზი საყდარი“ (XII საუკუნე), მოსპო თამარ მეფისა და დავითის ლაპიდარული წარწერა.

დაბა კაზრეთში, მადნეულის კომბინატის სამუშაოთა დროს დააზიანეს ბუჩურაიანის ეკლესია, ანტიკური და ადრეფეოდალური ნასახლარი ეკლესიითა და სამაროვანით.

ან რა მოსათმენია, როდესაც მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა და მთავრობის პირდაპირი განკარგულებისა, ჩვენი ერთ-ერთი დედა-ბოძის გელათის მახლობლად, აფეთქებებმა ქვის სამტეხლოში შექმნა საშიშროება გელათის კედლების დაზარებისა და საქვეყნოდ ცნობილი მოზაიკის ჩამოცვენისა?!

ვინ არის დამნაშავე, რომ აფეთქებების შეწყვეტა დღემდე არ მოხერხდა?

თითქმის ასეთივე სურათია დარიას სასახლესთან ჩვენს დედაქალაქში. აქაც გვირამბმშენებლობის მძლავრი აფეთქებები იწყებს დარიას სასახლის ბურჯების რღვევას. ასე რომ გაგრძელდეს, შეიძლება მალე მოწმენი გავხდეთ ამ სასახლის ჩამონგრევისა.



თითქოს არ შეიძლებოდა მცირე აფეთქებებით მუშაობა ან სრულიად შეწყვეტა ძველებისათვის საშიშ ზონაში.

უფრო მძიმე, პირდაპირ ბარბაროსული ხასიათისაა ფიტარეთის შეპანიშნავი ჩუქურთმის, ალბათ, განზრახი დაზიანება ელექტრომომწყობის მიერ, რომელსაც დიდი ლურსმანი მაინცა და მაინც ჩუქურთმაში ჩაუჭედებია.

კიდევ ერთხელ მოვაგონებთ დმანისის რაიონში უძველესი ქვაჯვარის აფეთქების ამბავს.

ახლან განვიხილავთ ყოველად მიუტყეველი ფაქტი ალიაბადის მახლობლად, ლეთისმშობლის დიდი გუმბათოვანი ტაძრის აფეთქებისა. ვერ წარმოვიდგენია, რა „აღმშენებლობასთან“ არის დაკავშირებული ეს გაუგონარი ნგრევა!

სამწუხაროდ, მხოლოდ გამომხაურება და მორალური პასუხისმგებლობა, ხშირად აღარ არის საკმარისი! საჭიროა პროკურატურისა და ადმინისტრაციული ორგანოების ჩარევა და ავშრაბეულ დამზიანებულთა პასუხისგებაში მიცემა კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე. ზოლო თუ საჭიროება მოითხოვს, საქმის უფრო მაღალ და უმაღლეს ინსტანციებში გადატანაც.

აგრეთვე წესად უნდა შემოვიღოთ, დაზიანებული ან აფეთქებული ძეგლების დაუყოვნებლივი აღდგენა-შეკეთება დამზიანებულთა ხარჯებით.

ასეთი აღდგენის ფაქტი ძირშივე მოსპობს ავშრაბეულობას და დიდ გავლენას იქონიებს ძეგლთა დაცვის საერთო საქმეზე.


ჩვენ მოვითხოვთ, სასოგადოებრივი დაცვის გარდა, ძეგლთა დაცვის სახელმწიფოებრივი ფორმების გაძლიერება-განხორციელებას.

მოველით თქვენს პასუხსა და ღონისძიებებს.

Handwritten signatures and notes in Georgian script, including names like 'მ. სქირო' and 'ა. აბიანი'.

(ვ. ჩუბინაშვილი, კ. გამსახურდია, შ. ამირანაშვილი, გ. ჩიტია, დ. შენგელია, ლ. გუდიაშვილი, ა. აფაქიძე, ი. ცინცაძე, ვ. ბერიძე, ვ. ცინცაძე, ლ. გოთუა, ო. სანებლიძე).

მოულოდნელი მძიმა დანაკლისი



ალქსანდრე გამყრელიძე

ალქსანდრე
გამყრელიძე

ცნობილი მეცნიერისა და ჩვენი ძეგლების კეთილი მფარველის — ალექსანდრე გამყრელიძის ტრაგიკულმა დაღუპვამ დიდი კანონიერი შემფოთება გამოიწვია. არიან ადამიანები, მოღვაწენი, რომელნიც ჩვენს შორის სიკეთისა და სიციცხლის ძველებივით დადიან. მათი სიკვდილი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მარტო ტრაგიკული და მარტო სიკვდილი!

დიდი დანაკლისი განვიცადეთ... დაგვაკლდა მრავალმრივი ნიჭისა და განსწავლის მამულიშვილი.

ალ. გამყრელიძე დაიბადა 1918 წელს ონის რაიონის სოფელ ჯინჭვისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ინგლისური ენისა და ლიტერატურის

სპეციალობით. კარგმა სკოლამ მისცა მას საშუალება ბრწყინვალედ ეთარგმნა ინგლისურიდან ქართულად თეკერეის „ამაობის ბაზარი“, კეროლის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, გოლსუორსის მოთხრობები და სხვა. მან ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურა გაამდიდრა ოსტატური თარგმანებით.

1944 წელს ალ. გამყრელიძემ დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის ასპირანტურა, 1948 წ. წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „მასალები ძველი ბერძნული ელევგის გენეზისის საკითხებისათვის“ და მოიპოვა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1945—65 წლებში ის მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში.

ალ. გამყრელიძე იყო ფართო თვალთახედვის მკვლევარი. ბერძნულ-ლათინური



ენების კარგი ცოდნა საშუალებას აძლევდა ღრმა კვლევა ეწარმოებინა ნიშანტროლოგიისა და ქართველოლოგიის დარგში. ალ. გამყრელიძის მადლიანი კალმის წყალობით გაეცნო ქართველი მკითხველი ბერძენი და რომაელი ავტორების მიქაელ პანარეტოსის, ამიანე მარცელინეს, გიორგი აკროპოლიტესის, ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის, პლინიუსის, ტაციტის, პომპონიუსს მელას და სხვათა ცნობებს საქართველოს შესახებ. ამ თარგმანებს თან ახლავს ალ. გამყრელიძის გამოკვლევები და კომენტარები, რომელნიც შექს ფენენ საქართველოს ისტორიისა და საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის მრავალ ბუნდოვან საკითხს.

ალ. გამყრელიძემ ბერძულ-ლათინური წყაროების მოშველიებით დააზუსტა და გაასწორა ქართული ისტორიული ლიტერატურის უდიდესი ძეგლის „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი დამახინჯებული ადგილი.

1965 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე ალ. გამყრელიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც დიდი სიყვარულითა და ენერგიით ემსახურებოდა ქართული სულიერი კულტურის უდიდესი საგანძურის მოვლა-შენახვის, შესწავლის და გამოცემის საქმეს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა რიგი მეცნიერული შრომებისა და კრებულებისა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია XI საუკუნის სამართლის ძეგლი „დიდი სჯულის კანონი“, რომელიც ახლო მომავალში გამოვა.

მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ალ. გამყრელიძე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. თბილისის უნივერსიტეტში და უცხო ენათა ინსტიტუტში ასწავლიდა ბერძულ-ლათინურ ენებს და ანტიკური ლიტერატურის ისტორიას. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა არა ერთი და ორი სპეციალისტი კლასიკური ფილოლოგიისა.

ალ. გამყრელიძის ინტერესები არ იფარგლებოდა მხოლოდ სპეციალობით. მისი გულისყური წვდებოდა ყველაფერს, რაც კი ქართული კულტურის სახელს ატარებდა. მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი თითქმის მთელი საქართველო და იცნობდა ყველა ქართულ ძეგლს. იგი ხშირად უშუალოდ და უანგაროდ მონაწილეობდა ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივ ღონისძიებებში. „ძეგლის მეგობრის“ ფურცლებზე ათავსებდა მეცნიერულ წერილებს. მისი მოწოდებრივი სულისკვეთება იყო ჩვენს ხელნაწერების და არქიტექტურული ძეგლების დაცვა-მფარველობა და მათი მეცნიერულ-პრაქტიკული გამოიშვევება.

უკანასკნელი შრომა, მონოგრაფია „ხელნაწერთა ინსტიტუტი“, რომელშიც მიზილობული და შეფასებულა ხელნაწერთა ფონდები, ალ. გამყრელიძეს მაგიდაზე დარჩა. ტრაგიკულმა სიკვდილმა მეცნიერული მოწიფულობის ხანაში შეწყვიტა ამ სიცოცხლით სავსე დიდებული მოქალაქისა და მეცნიერის ცხოვრება. მისი სსოვნა მარად დარჩება ქართველ მეცნიერთა, მკითხველთა და მის მეგობართა — ძეგლების ნოამაგეთა გულში.



გ ი ო რ გ ი
ლომთათიძე

1971 წ. 28 ოქტომბერს, ჩვენი საზოგადოებრიობა დიდუბის პანთეონში ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით გამოეთხოვა ქართული არქეოლოგიის გამოჩენილ მკვლევარს, გულისხმიერ მეგობარსა და აღმზრდელს, მისაბაძ მოქალაქესა და ამაგდარ მამულიშვილს — გიორგი ლომთათიძეს.

იგი წავიდა ჩვენგან 56 წლისა, სწორედ თავისი მალალი ნიჭისა და დიდი მეცნიერული შესაძლებლობების აღმავლობის ხანაში.

34 წლის განმავლობაში იგი უფროსი თაობის არქეოლოგთა მხარდამხარ დაუზარებლად ეწეოდა საველე და მეცნიერული შრომის მძიმე ჭაპანს.

გიორგი ლომთათიძე — ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ტრადიციებზე აღზრდილი მკვლევარი — უპირველეს ყოვლისა ხასიათდებოდა პრინციპულობითა და დიდი მომთხოვნელობით, როგორც საკუთარი თავისა, ასევე მის გარშემო მომუშავე სპეციალისტთა მიმართ. მის დიდ მეცნიერულ ღვაწლსა და დამსახურებაზე მეტყველებს არა მარტო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გათხრილი და გამომზევებული ათობით არქეოლოგიური ძეგლი და მათ საფუძველზე დაწერილი 75 ნაშრომი ან კიდევ გამოკვლევები გეოლოგიაში, არამედ ისიც, რომ მან ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შექმნა და საბოლოოდ ჩამოაყალიბა შუასაუკუნეთა არქეოლოგიის შემსწავლელი განყოფილება და დაუსახა ისეთი ვრცელი და მრავალისმომცველი სამოქმედო პროგრამა, რაც ალბათ კარგახანს ეყოფა სახელმძღვანელოდ და ყურადსაღებად.

მუშაობის გიორგი ლომთათიძისეული „მდულარე“ სტილი — ესოდენ გადამდები და მისაბაძი გარშემომყოფთათვის — დიდ მეცნიერულ შემართებასთან ერთად იყო ის უმთავრესი პირობა, რამაც განსაზღვრა მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის დიდი წარმატება.

გიორგი ლომთათიძე იშვიათი გულმოდგინებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების ზრდას, დროის დაუზოგავად იღვწოდა მათი კვალიფიკაციის



გიორგი ლომთათიძე



გიორგი ლომთათიძე უწარმის ექსპედიციაში

ამაღლებისათვის და ანხორციელებდა თითქმის ყოველდღიურ კონტროლს თავისი მოწაფეების მიმართ. ყოველივე ამას აკეთებდა იმ მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით, რაც საერთოდ ნიშანდობლივი იყო მისთვის.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესანიშნავი მცოდნე — გიორგი ლომთათიძე — ქართველ არქეოლოგთა ნაცოფიერ საქმიანობას და საკუთრივ მეცნიერულ მიღწევებს მუდამ დიდი ხალისითა და მონდომებით უზიარებდა დაინტერესებულ მკითხველს. იგი ხშირად გამოდოდა ქართული პრესის ფურცლებზე, მუდამ განსაკუთრებული სიყვარული აკავშირებდა „ძეგლის მეგობართან“, რომლის ერთერთი აქტიური ავტორთაგანი თვითონ იყო.

ორი დღით ადრე ამ საბედისწერო დღემდე ბატონი გიორგი ჩვეული გატაცებით ადგენდა განყოფილების თანამშრომელთა წლიური ანგარიშების ვადებს. ხომ ყველამ ვიცოდით მისი ავადმყოფობა, მაგრამ ჩვენგან მისი წასვლა იყო შოულოდნელი...

ამიერიდან ჩვენს შორის ვეღარ ვიხილავთ შრომასა და ფიქრში გაჭაღარავებულ, დიდრონ სათვალევებს მიღმა კეთილსზივჩამდგარ ახოვან მეცნიერს, რომელსაც ერთი წუთითაც კი არ უღალატია თავისი საყვარელი საქმისათვის.

გიორგი ლომთათიძე მისი მეგობრებისა და მოწაფეების მეხსიერებაში მუდამ იცოცხლებს, როგორც მისაბაძი მეცნიერი და სანიმუშო მოქალაქე.

რ. რამიშვილი
ც. ჩიკოძე
მ. პართილაძე.

უანგარო მამულიშვილი

ქალაქ ცხაკაიაში ორი ვლადიმერ წირ-
ლვაია ცხოვრობს: მამა და შვილი. მამა —
საქართველოს კულტურის დამსახურებული
მუშაკი — ცნობილი ჟურნალისტი და ლი-
ტერატორია (მის შესახებ უკვე წერდა
„ლიტერატურული საქართველო, 1971 წ.
№23). შვილი კი ახლა იწყებს ცხოვრების
ასპარეზზე გამოსვლას, მაგრამ ვლადიმერ
უმცროსის მიერ გადადგმული პირველი ნა-
ბიჯები მოწმობს, რომ მისი საბითაც სანა-
ქებო მამულიშვილი იზრდება. აჩიკოს (რო-
გორც შინაურებში ეძახიან მას) ბიოგრაფია
სულ ცოტა ხნის წინათ ისეთივე იყო, რო-
გორც სხვა ბევრი მისი თანატოლია, დაი-
ბადა... დაამთავრა საშუალო სკოლა... სწავ-
ლობს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
დაუსწრებელი განყოფილების ისტორიის
ფაკულტეტის IV კურსზე. პარალელურად
მუშაობს მეცნიერ თანამშრომლად მისა



ვლადიმერ წირლვაია

ცხაკაიას სახ. მემორიალურ მუზეუმში და ზაფხულობით მონაწილეობს თბილისიდან
ჩასული არქეოლოგიური ექსპედიციების მუშაობაში. ერთი შეხედვით, უჩვეულო აქ
თითქოს არაფერია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. ვინც აჩიკოს ახლოს იცნობს,
ვისაც იგი ველზე უნახავს არქეოლოგიური დასვერვების დროს, ერთხმად აღნიშნავენ
მის დაუცბრომელ ენერჯიასა და წარსულის ძეგლებისადმი უსაზღვრო სიყვარულს. ამ
სიყვარულის გამო იგი სათანადოდ დაჯილდოვებულია კიდევაც...

...ეს მოხდა 1971 წლის იანვრის ბოლო რიცხვებში. ცხაკაიას რაიონის სოფ. გვის
მცხოვრებ ტოჩი ილარიონის ძე ნინუას ეზოში ბულდოზერი მიწას ასწორებდა. უც-
ბად მისი ყურადღება გატყეხილა თიხის ჭურჭელმა მიიპყრო. ჭურჭელში მან ერთმა-
ნეთთან მჭიდროდ მიეანგული მრგვალი ფირფიტები აღმოაჩინა. ტ. ნინუამ ეს
ამბაეი რამდენიმე დღის შემდეგ აცნობა ვლ. წირლვაიას, მაგრამ უკვე გვიან იყო.
აღმოჩენა მოსახლეობაში გაიფანტა. აჩიკო რამდენიმე დღის განმავლობაში უყრიდა
თავეს გაფანტულ ფირფიტებს. მიუხედავად იმისა, რომ ფირფიტები სქელი ჟანგით
იყო დაფარული, იგი იმთავითვე მიხვდა, რომ საქმე ძველებურ მონეტებთან ჰქონ-
და. არ დარჩენილა ცხაკაიას რაიონში არც ერთი საშუალო სკოლის ქიმიის კაბინეტი,
სადაც აჩიკო არ მისულიყო და რომელიმე მგევა არ ეთხოვოს ფულების გასაწმენ-
დად.

უნდა აღინიშნოს ასეთი დეტალიც: განძის ამ ნაწილის შესახებ გაზ. „კომუ-
ნისტში“ გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ეზოში დამარხული ისტორია“ (16. 2. 71.
№ 39), სადაც სამწუხარო გაუგებრობის გამო, სრულებით მიჩქმალული იყო ვლ.
წირლვაიას როლი განძის მონეტების გადარჩენის საქმეში. ამას შეიძლებოდა ზოგიერ-
თისათვის ხალისი დაეკარგა, მაგრამ არა აჩიკოსათვის. მან კარგად იცოდა, რომ



გადარჩენილი ფულები ნაწილი იყო დიდი განძისა, რომელიც სადაღი ეზოში, ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე იყო მიტყულებილი ბულდოზერის მიერ. და აი, აჩიკო საკუთარი სახსრებითა და ინიციატივით შეუდგა განძის მეორე ნაწილის ძებნას. შეიძლება ითქვას, რომ მან პირადად ნაბიჯ-ნაბიჯ, გოჯა-გოჯა შეამოწმა საკმაოდ დიდი ფართობი და გაცრა გადანაყარი მიწის ვეებურთულა გორა. მის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ჭურჭლის არც ერთი ფრაგმენტი, მძივი, თუ მინის ნატეხები.

...და ბოლოს მაინც მიაგნო! მიაგნო განძის ძირითად ნაწილს, რომელიც 670 მონეტაზე მეტს შეიცავდა! ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ აცნობა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მიწა-წყალზე არასოდეს არ აღმოჩენილა ანტიკური ხანის მონეტების ასეთი უზარმაზარი განძი. მეცნიერებისათვის, შთამომავლობისათვის გადარჩა პირველხარისხოვანი მასალა, რომლის მნიშვნელობაც ჯერ კიდევ, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ აწონილ-გაზომილი არ არის. გადარჩა ვლ. წირღვაავას წყალობით, რომელმაც ეს ნაბიჯი ყოველგვარი გამორჩენის მიზნის გარეშე გადაადგა. ეს, თამამად შეიძლება ითქვას, თავისებური გმირობა და უანგარო მამულიშვილობაა.

სულ ასე გველოს და გვიმოღვაწეოს ჩვენო აჩიკო!

ბ. დუნდუა

თიღვას კათილი მცველი

ახლა ძველის მოსახილველად რომ მიხვალ გულშემატკივარი მნახველი, მისი მცველის ხასიათი წანავე ხელის გულზე გადაგეშლება... და რაღა დასაფარია, ხშირად თავიდანვე გულაშლილი ხარ. ამიტომ პირველმისვლისას ვერიდები ხოლმე მცველს. ძველის კაცს თავისი მაღალი სულისკვეთება და ძველის ყადრი უნდა ჰქონდეს. ამას კი გარკვევა უნდა...

ახლაც, ვიდრე თიღვას დიდებული ძველის კარს გაგვიღებდა მცველი, ტაძარს ირგვლივ შემოვუარე... თავიდანვე მოვიხიბლე ჩრდილო კედლის წარწერით, რომელიც დავით აღმაშენებლის ასულს, თამარს ეკუთვნის... მაგრამ არც ის გამომრჩენია მზედველობიდან, რომ ძველი მოვლილი, შემოწმებული და მოფერებული იყო!

შიგნითაც რომ სისუფთავე და მზრუნველი ხელი ვიგრძენი, გული სულ გამეხსნა. მაგრამ ვიდრე მცველთან შევიყრებოდი, ზვეით, ქოროზე ავედი. სწორედ აქ, ცოტა უცნაურად, მოხდა ჩვენი პირველი გასაუბრება... მე თითქმის შვეული, მაღალი კიბის თავზე ვიყავი... იგი ქვემოთ, ტაძარში იდგა. პირველად ვხედავდი მას, მაგრამ ძველნაცნობურად შევებმინა...

— შიო!... როგორა ხართ, შენ და ტაძარი?

— კეთილად არის!... ამის შემზღვარე მეც კარგადა ვარ! — შემომძახა და გამიღიმა... ტაძარმა ხმა უმრავლა... ალბათ დაეთანხმა...



შიო ლაცაბიძე



მიამა — ტაძარი და მოხუცი მცველი, თითქოს, ერთი ენითა და სულივით
ბით მეტყველებდნენ.

— გიჭირს რამე?

— აბრა არ მივარგა, ერთ სარკმელსაც გუმბათში რაფა აქვს გადმოვარდნილი,
მანდ წვიმაც ჩამომდის!

ესეც მიამა, შიოს ტაძრის „გაჭირვება“ — თავის გაჭირვებად მიაჩნდა.

თილვას კიბემ უმალ დაგვაახლოვა. შიო ლაცაბიძე ფრიად მოძრავი და ხალისიანი
მხცოვანია. იგი უკვე 78 წლისაა, მათ შორის 23 წელი თილვას უვლის... ბეჯითად, კე-
თილად, გულიანად უვლის...

არა, არ დაილევიან საქართველოში, ძეგლების გულდაგული მოამაგენი!

ლ. გოთვა



ს ა მ ა ლ ა ბ ი ა ნ ო


სოფელი საქადაგიანო მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, ქსნის ციხის საპირისპირო მხარეს მდებარეობს. სოფელს დასავლეთიდან დამრეცკალთებიანი მთები ესაზღვრება. ერთ-ერთ ფერდობზე, ამდღებულ და თვალსაჩინო ადგილას, დგას მცირე ზომის დარბაზული ეკლესია დასავლეთის მინამუხით. ძველად მოსახლეობას ეკლესიის ირგვლივ გაშლილი მინდორი სჭერია, სადაც უამრავი ნამოსახლარია შემორჩენილი. აქ ქადაგიშვილებს უცხოვრიათ. ისინი ლეკიანობის ხანაში აყრილან და მათი ნაწილი მახლობლად მდებარე სოფ. ალაიანში დამკვიდრებულა, ამ გვირიდან უნდა იყოს წარმომდგა-

რი სოფლის სახელწოდება (ს. მაკალათია, ქსნის ზეობა, 1968, გვ. 29-31).

საქადაგიანოს ეკლესია არქიტექტურული თვალსაზრისით არ გამოირჩევა იმ უამრავი ანალოგიური ტიპის მარტივი სასოფლო ეკლესიებისაგან, რომლებიც ხალხური სამშენებლო ხელოვნების თავისებურ ნიმუშებს წარმოადგენენ.

საქადაგიანოს ეკლესიას აქვს ვრცელი წარწერა. იგი ამოკვეთილია ოთხკუთხა კვიშაქვაზე (65X47) და ჩასმულია აღმოსავლეთის ფასადის ფრონტონის არეში.

ასოების კვეთის სიღრმე მცირეა და ამიტომ წარწერა მკრთალია. ცალკეული სიტყ-



ვები ხშირად არის დაჭარბებული, მაგრამ ქარაგმის ზაზი ყოველთვის არ არის ნახმარი. განკვეთის ნიშნად გამოყენებულია ორწერტილი, რომელიც, როგორც ჩანს, ყველა სიტყვას ახლდა თან, დღეს კი ზოგი მათგანი

გადასულია. პირველი სტრიქონის ბოლო სიტყვაში — „ბატონ“ „ტ“ მაჭვირად არის „წ“. სიტყვა არ არის დაჭარბებული და ამდენად მისი სხვაგვარად წაკითხვა შეუძლებელია.



ქარაგუმების გახსნის შემდეგ წარწერა ასე იკითხება:

წ. ქორონიკოსა რ ე კ სახელათა ღვთისათა მე ბატონ წელისაჲმან ღვინაანს ძისა კვირლეს შეიღებულმან მონაზონმან დამიანე და ძეთა ჩემთა ამა ალავერდელმან კვირლე დიონისო და თევდორე აღვაშენეთ ეკლესია ესე წმიდისა დიმიტრისა“.

ქორონიკონი წარწერის თავშივეა მოცემული, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. რ 3 ე უღრის 1498 წელს (186+1312). ეკლესიის მშენებლები არიან ენემე მონაზონი დამიანე და მისი ძენი: კვირლე, დიონისო და თევდორე. უფრადლებას იქცევს ის, რომ კვირლე ამა ალავერდელია. ამა (ამბა) ალავერდულობა საპატიო წოდება იყო ალავერდის (ყაბუთის) ეპისკოპოსებისა. რა კავშირი ჰქონდა ამა ალავერდელს ქნის ზეობის სოფელ საქადავიანოსთან, ვინ იყო იგი და საერთოდ, ვინ იყვნენ წარწერაში მოხსენებული ისტორიული პირები, სხვა წყაროების მიხედვით ჩვენთვის უცნობია.

XV საუკუნე საქართველოს ისტორიაში ძნელდებლობის ხანაა. ეპოქის დალი განსაყუთრებით სამშენებლო ხელოვნებას დაეტუო. ეკლესია ნაგებია მოზრდილი, უსწორმასწორო ფორმის ქვიშაქვის ლოდებით, რომელთა გარე პირი სუფთად არის ნათალი. აქვს თითო ვიწრო ფანჯარა ოთხივე მხარეს და ორი კარი — სამხრეთით და დასავლეთით. აღმოსავლეთის და დასავლეთის ფსაღები ზეითივეს საგრძნობლად შევიწროებულა, რაც ნაგებობას მეტ სიმკაფრეს, მდგრადობას ანიჭებს. ასეთი რამ არ არის იშვიათი გვიანი შუასაუკუნეების ძეგლებში.

ნაგებობას აქვს ერთადერთი, რასაც შეიძლება სამკაული ეწოდოს, მწვანედ მოჭიქული მოზრდილი რიყის ქვა, ჩასმული აღმოსავლეთის ფანჯრის თავზე. შენობათა კედლების მოჭიქული ქვებით გაფორმების მავალი თემა ბევრია და ეს წესი განსაყუთრებით გვიანი ხანისათვის არის დამახასიათებელი. თავისებურ სამკაულად არის ვაზრებული ზემოთ მოტანილი წარწერაც, რომელიც კედელში ზუსტად ფანჯრის ღერძში არის ჩასმული.

ეკლესიის ინტერიერი საკმაოდ მაღალი და ხალკაათია. დარბაზი კვადრატულია. აქვს ერთი მარტივი ფორმის პილასტრებზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი, რომელიც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აბსიდიტით მთავრდება. პილასტრებს არა აქვთ არც კაპიტე-

ლები და არც ბაზები. კამარაც დასრულებულია ამ დროის წესისამებრ, ოღნაჲ შეისრულია.

ინტერიერი მთლიანად შეუღესილი და მოხატული ყოფილა. დარბაზის კედლებზე დღეს ნალესობის ფრაგმენტებია მხოლოდ შერჩენილი, რომლებზეც მერთალი ფერადი ფანი ლაქები შეიშენეა. უყუთესად არის შემონახული საყრდნეების მოხატულობა. აქ კომპოზიციებიც და ფიგურებიც კარგად გაირჩევა. მოხატულობის ზუსტად დათარიღება ვერ ხეზდება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ეკლესია მშენებლობის დამთავრებისთანავე მოიხატა. ფრესკების შესრულების სტილი გვიანდელ მოხატულობათა შორის პოულობს ანალოგიებს.

აბსიდიტს სამ პარალელურ რევისტრად არის გაყოფილი. ფანჯრის ზედა კიდედან მოყოლებული, მთელი კონქის არე უტირავს ღვთისმშობელს ყრმით, რომლის ორსვე მხარეს თითო ანგელოზი დგას. ფიგურათა ასკეტური სახეები, მჭეი კოლორიტი, კონტურებისა და დრამირების ტუხილი ხაზები საერთო სიმკაყრის შთაბეჭდილებას ქნის. კონქის კომპოზიციკა ეკლესიისათვის შეუფერებლად დიდი ზომისაა.

შუა რევისტრში თითხმეტი წმინდანია წარმოდგენილი მთელი ტანით, თითოეული თაღოვან ჩარჩოში ჩასმული. მათგან ორი ფანჯრის კრილშია გამოსახული. ქვედა რევისტრში კ, რომელიც თითქმის იატაკის დონემდე ჩამოდის, მხოლოდ რვა ფიგურას ეხედაეთ. მათაც თაღოვანი ჩარჩოები შემოუყუეებათ.

უფრადლებას იქცევს ერთი რამ: ქვედა რევისტრები, კონქის კომპოზიციასთან შედარებით, მეტად ვიწროა და ამდნად რევისტრების ზომები არაპროპორციულია. ძლიერ პატარებია წმინდანთა ფიგურები. ამაკარა კოლორისტული სხვაობაც. ქვედა რევისტრებში ძირითადად ღია ფერებია გამოყუენებული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქმის, აბსიდიტს მოხატულობა ორი აეტრორის ნახელავს წარმოადგენს. მოხატულობა მინაზმათ უნდა იყოს. თანაც ოსტატს სხვადასხვა ორიგინალი ქქონია ნიმუშად — ერთი კონქის კომპოზიციისათვის, ზოლო მეორე წმინდანთა რევისტრებისათვის. კონქის კომპოზიციის მონუმენტურ ფორმებს არაფერი აქუთ საერთო წმინდანების დაწერილმანებულ, შეიძლება თქვეას, მინიატურულ ფერწერასთან. საყურადლებოა კიდევ ერთი დეტალი: ქვედა რევისტრში მოთავსებულ გამოსახულებათა



საქადაგიანო

მწკრივი შეწყვეტილია ტრაპეზის ქვესთან, რომლის ორსავე მხარეს დარჩენილი კედლის მცირე მონაკვეთები შევსებულია პრიმიტიული, ტუბილი ხაზებით. აქედან შეიძლება დაეასკენათ, რომ მხატვარმა მისაბაძი ორიგინალი წესიერად ვერ შორავთ აბსიდის ზომას; ვერ მოახერხა თავიდან აეცილებინა ტრაპეზის გვერდებზე სრულიად შეუფერებელი და უღაზათო დანამატი.

გამოსახულებებს თან ახლავს ფრესკული წარწერები, რომელთაგანაც მხოლოდ ცალკეული ასოებია შემორჩენილი. წარწერები ასომთავრულით არის შესრულებული.

ეკლესიის დასავლეთის მინაშენი მასიური კვადრატული ნაგებობაა. მისი კედელი არ არის ეკლესიის წყობასთან გადაბმული, ნაგებია ეკლესიის სამშენებლო მასალისაგან განსხვავებული, უფრო მცირე ზომის ნატეხი ქვებით, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი შედარებით გვიანდელია. აქა-იქ წყობაში ნახვარია აგურიც. სავარაუდოა, რომ მისი აგების დროს ეკლესია შეკეთდა, ამ უკანასკნელის აგურის კარნისი (მისი მცირე ფრაგმენტოლაა შეჩვენილი ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში), ალბათ, ამ ხანისა უნდა იყოს.

მინაშენი თავდაპირველად წარმოადგენდა ოთხივე მხრიდან ოდნავ შეისრულ, ფართო, თაღებით გახსნილ კარიბჭეს, დავეორგვინებულს, ასევე ისრული ფორმის ჩამოსხმული გუმბათით. კვადრატული გუმბათის წრეზე გადასვლა განხორციელებულია აგურის ერთმანეთზე გადაყვანილი რიგებით შექმნილი აფრებით. გვიან ჩრდილოეთისა და დასავლეთის თაღები ამოუშენებით თხელი კედლებით. ჩრდილოეთის თაღში ეს კედელი განგრეულია და კარგად ჩანს, რომ იგი თავდაპირველად არ არსებობდა. მინაშენის ფასადებზე თაღები რამდენიმე სანტიმეტრით კედელშია შეწეული, მათ ზევით კი კუთხოვანი ჩარჩოა შექმნილი, რაც თავისებურ დეკორაციულ მორთულობას წარმოადგენს. ფასადების ამგვარი ვიფორმება იმითაც არის საინტერესო, რომ იგი გვიან შეასაუფლებებში ჩნდება და ქართულ ზუროთმჟღავნებაში აღმოსავლური ელემენტების შემოჭრის ერთ-ერთი მაჩვენებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ კარ-ფანჯრების და თაღების ამგვარი ჩარჩოებით მორთვა ძირითადად აგურის ნაგებობებზე გვხვდება; მინაშენის აგურის კი ეპოქის დამახასიათებელი ეს ელემენტი ქვი-



გომართის წმ. გიორგის ეკლესია

ფოტო გ. აბრამიშვილის



თა აქვს გამოყვანილი, რაც შედარებით ძნელია.

საქადგიანოს ძველი საგრძნობლად არის დაზიანებული. არც ეკლესიას და არც მინაშენს სახურავი აღარა აქვს. ეკლესია უწინ შეწანედ მოჭიქული კრამიტით ყოფილა დაზურული, რომელიც თითქმის მთლიანად გამ-

ქრალია. კამარა წვიმის წყალს ვერ იჭერს. აღმოსავლეთის ფასადი ფანჯრის ასწვრივ ბზარით არის გაპოხილი. ძველს არავინ ჰყავს შტრუნველი. საჭიროა, ძველთა დაკვის ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ აღნიშნული გარემოება.

თამაზ სანიანიძე

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

აჩაქველი

აჩაქველი ხორბის ხეობის მცხოვრებთა ერთ-ერთი მთავარი სამლოცველოა. ადრე აქ წარმართული „ხატი“ უნდა ყოფილიყო, რომლის ადგილზეც შემდეგ მონასტერი აუშენებოდა.

ხორბის ხეობა არაგვის დედას, ფშავეის არაგვისა და მთიულეთის არაგვის ხეობებს შორის მდებარეობს. ძველი საკმაოდ მაღალ მთაზეა აღმართული, დაახლოებით 2-3 კილომეტრი სიღრმის გზიდან.

აჩაქველი საკმაოდ დიდი ნაგებობათა კომპლექსია. სამწუხაროდ, მეტად დაზიანებულია. ცენტრალური ნაგებობა ეკლესიაა ნაღისებრი ფორმის აბსიდიით. სახურავი ჩაქყულია და

შიდა სივრცე ერთიანად ამოვსებულია ქვებითა და მიწით. კედლებზე დიდძალი ხეობია ამოსული; ეკლესიის საშხრეთ-აღმოსავლეთით, რამდენიმე ნაბიჯზე, სხვა მოზრდილი ნაგებობის ნანგრევებია: სენაკები, ჩასასვლელი საფაღუ-ვედური. მთლიანად ნაგებობა შემოზღუდულია ფიქალი ქვის ყორე-გალავნით. ნაგებობა აშკარად სამონასტრო კომპლექსია. ნამოვნია ჩამოყარდნილი წარწერა, რომელიც შესრულებულია ნუსხურით და ასე იკითხება (ქრე აეკერქ).

აჩაქველში პეტრე-პავლობა სკოდნითა 29 იენისს ძველი სტილით. ეს ძველი უსათუოდ სავანგებო შენაწავლის ღირსია.

ნ. პასტიანი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

გომართის წმინდა გიორგი

სოფელ ძალნადან (ზნაურის რაიონი) 18 კმ-ის დაშორებით, მთაში (1.100 მეტრი სიმაღლეზე) არის გომართის წმინდა გიორგის ეკლესია.

ვახუშტი აღნიშნავს, რომ „ხტანის ზევით არის ეკლესია მთასა შინა წოდებული გომართისა აწ ცარიელი“ (ვახ. გვ. 80).

საერთოდ ფრონეს ხეობა ღირსშესანიშნავია თავისი უძველესი ძეგლებით. სოფელ ატოცში — ატოცის წმინდა გიორგის დიდი ეკლესია, X საუკუნის ძეგლი, შემდეგ დავით აღმაშენებლის ასულის თამარის სურვილითა და დასტურით (ყედლის წარწერა) აშენებული თიღვა.

სოფ. თერეკვანიდან დაახლოებით 12 კილო-

მეტრია გომართის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებამდე.

ეკლესიის კედლები მოხატულია, ჩრდილოეთ კედელზე სამი საერო ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცია გამოსახელი, თითოეულის თავზე წარწერაა. იკითხება მხოლოდ ზვიად და სიაუში.

სვეტის თავზე მნიშვნელოვანი ფიგურა საკმაოდ გაფერმკრთალებულია, მის ქვეშ შემორჩენილია დიდი წარწერის კვალი. დასავლეთ კედელზე კარგად ჩანს დიდი ნახტარ ბიბლიურ თემაზე. ზევით ეს შემორჩენილია მცხოვრის თავი. სხვაგანაც ჩანს მხატვრობის ფრაგმენტები.

გუმბათი მთლიანად ჩამონგრეულია. დანგ-



რეული შიგა შენობა, ასევე მის გარეთ ჩამონგრეულია კედლები. ამ ნანგრევებში შემთხვევით წაეწედილი დიდი თლილი ქვის ნატეხს, რომელიც შექმულია დიდებული რექტორთმით. გარდა ამისა, გამოტვიფრულია მხედრის, წმ. გიორგის მცირე ქანდაკება.

ძირითადი შენობის მარცხენი პატარა მინაშენია, სადაც მიწაზე დიდებულია ორი დიდი ქვა-ყვარი.

ეკლესიას ირგვლივ გასდევს საძირკვლის კვალი. უკანა მხრიდან დანგრეული ნასახლარია. ასევე, მხოლოდღა კვლია შემორჩენილი ვალაენისა.

აღმოსავლეთის მხრიდან, რომელსაც ერთი მხრიდან ქვის დიდი ვერძი ამკობს. ასეთივე ვერძები (სულ 4) ვიპოვეთ ნანგრევებში.

ეზოში მარანი ჰქონიათ. შენახულია სამი ქვეერი. ოდნავ ქვევით ნასახლარია, იქვეა გაბნეული მუხის დათლილი ძველი მორეზი.

ძველი საგრძნობლად დაზიანებულია და საპირიოებს გადაუდებელ ყურადღებას და სასწრაფო შემკარებას.

ს. ფალავანდოვილი.

მელიციის მეც. კანდიდატი

ბაზანაანთ და შარუანაანთ კოშკები

მდინარე ფრონეს ხეობაში სოფელ ძალინსთან (ხნაურის რაიონი) არის ორი ძველი ციხე-კოშკი. მათი პირველი მფლობელები უფოლან ბეჟან და ფერმანგ ფალავანდიშვილები, ამიტომაც უწოდებენ მათ ბეჟანაანთ და ფერმანგაანთ კოშკებს.

კოშკები ერთიმეორესთან ახლოს არიან. პირველი — ბეჟანაანთ ციხე-კოშკი, უფრო ქვევითაა. ციხე ვალაენი მთლიანად ქვისაგან არის ნაშენი. შემორჩენილი ვალაენის სიმაღლე 7-9 მეტრს აღწევს. კოშკი მრგვალოვანი ტიპისაა, 8-10 მეტრი სიმაღლისა. კარგად არის შემონახული სართულებს შორის გადებული მუხის ძელები, მაგრამ ჰერი ყოველი სართულისა ჩამოქცეულია.

კოშკის ირგვლივ ვალაენის გაყოლებით ნათლად ჩანს სხვა შენობების კვალი, რომელიც მთლიანად დაფარულია მიწით.

ფერმანგის კოშკი (დაახლოებით XV - XVI საუკ.) შედარებით უკეთ არის შემონახული. ეს კოშკიც ასევე ვალაენისაა, ოთხკუთხა მოყვანილობის, დაახლოებით 15-18 მეტრი სიმაღლისა. პირველ სართულში მარანი ახლაც კარგად არის დაცული, ზევითა სართულებზე ასახველი კიბე კედელშია ჩაყოლებული და ბოლო, შეხუთი სართულზე შეიძლება ასვლა. შემონახულია II, III, IV

სართულების ოთახები. ყურადღებას იპყრობს V სართულის ოთახი, მას სამი მხრივ — ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით დიდი კამაროვანი ღია თაღები აქვს. მეოთხე მხარე — დასავლეთი, მთლიანად არის ამოშენებული.

ვალაენი დანგრეულია, კარგად არის შენახული ვალაენის შიგნითა სასახლისა და სხვა შენობების კედლები. როგორც ეტყობა, სულ აშენებული უფოლა 8-10 საკმაოდ მოზრდილი ოთახი. ციხე და ვალაენი ქვით არის ნაშენი, ხოლო სათავსოები და დანარჩენი შენობები ქართული აგურით.

კარიბჭესთან ზედ ციხის კედელში ჩატანებულია სრულიად განსხვავებული მეორადი გამოყენების ქვა, ზომით 20X30 სმ, რომელზეც აშკარად ჩანს ბარელიეფური გამოსახულებების ნაწილი. იქვეა ძველი სასაფლაოს ბაზილიკის ნანგრევები. მის კედელზე ჩანს მხატვრობის ნაშთი. დღეს ამ ორ ციხე-კოშკს შორის სოფელია გაშენებული. ეს ადგილი იმიტომ არის ღირსშესანიშნაო, რომ აქ დიდი ცაცხვია აღმართული, რომლის გარშემოწერილობა 13,5 მეტრს აღწევს. დღესაც ახსოვთ, რომ ამ ცაცხვის ტოტებზე სოფლის ორივე მხარეს სწვდებოდა.

ს. ფალავანდოვილი

მელიციის მეც. კანდიდატი



როდის იქნება ეს ბეთანიამდე?

ვფიქრობ, ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ისტორიისათვის ძველი კულტურის ძეგლებს, მით უფრო XII საუკუნის დიდებულ ნაშთებს.

სწორედ ამ დროსაა აშენებული და მოხატული ბეთანიის მონასტერი. ეს შესანიშნავი ძეგლი, სულ ახლოს არის ქ. თბილისიდან (წყნეთის გავლით 12 კილომეტრია). მასში ახლაც არის კარგად დაცული თამარის, ლაშა გიორგის და სხვათა ფრესკები. ამ მხრივაც იგი დიდ ინტერესს შეიცავს. ტაძარი შეკეთებულია და შედარებით კარგად დაცული. ჰყავს მცველი. ირგვლივ ტყვა და ფრიალ შეყვანილი ადგილმდებარეობა.

...მაგრამ სადღეისოდ ბეთანიამდე არ არის სამანქანო გზა. ამ მხრივ იგი უყურადღებოდ არის მიტოვებული.

ნათვ სულ სამიოდე კილომეტრით გაგრძელდება გზისა ასეთ გარდაუვალ სიძნელეს შეიცავს, რომ აქამდე ვერ მოხერხდა მისი დაძლევა? ისიც დღევანდელი ტექნიკის პირობებში?

ნათვ ვერ უნდა მივცეთ სტუმრებსა და მასპინძლებს საშუალება ამ სახელოვან ძეგლამდე მანქანით მივიდნენ.

ეს ნაყოი რაც შეიძლება მალე უნდა გამოვასწოროთ.

პროფ. იანე ცინცაძე

„ქაგლის მემორი“

12-28 ნომრებში დაბეჭდილი წერილების საძიებელი

- აბრამიშვილი გურამ — ატენის სიონის საეტიტორო წარწერა № 19.
 აბრამიშვილი თამარ — ოდიშის განძი № 23.
 აღმაია ილია — ძველი პერეთის ზეოთომოდერული ძეგლები № 19, ქართული საცხოვრებელი სახლების უძველესი ტიპები აჭარაში № 21, ხალხური ზეოთომოდერების ზოგიერთი ნიმუში მდ. ყვირილას ზემო ხეობაში № 21.
 აღადაშვილი ნათელა — „ჭერის ამალების“ თემა ქართულ ხელოვნებაში № 17, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთის ფასადის რელიეფი № 26.
 აღადაშვილი ნათელა, ვოლსკაია ანელი — საერთოხვედის წინა ჭვარი ზემო სეანეთიდან № 22.
 ამიანაშვილი შალვა — საოცველთაო ზრუნვით მოსილნი № 25.
 ანდლელაძე ნუგზარ — სვეთის „ზედა მაცხოვრის“ ზეოთომოდერული ძეგლი № 18, თიბის მონასტერი № 22.
 ანთაძე შერი — თბილისში მოჭრილი იშვიათი ოსმალური ოქროს მონეტა № 23.
 ასათიანი ნოდარ — ანაქველი № 27-28.
 აფაქიძე ანდრია — ძველი ქალაქი — არქეოპოლისი — ნოქალაქევი № 19, არქეოლოგია საბჭოთა საქართველოში № 25.
 ბარდაველიძე ვერა — აგენა-ანგურა № 16.
 ბარნაველი სარა — იროდიონ სონდუნაშვილი (1881-1958) — № 17.
 ბახტაძე რუსუდანი — ქვის კონსტრუქცია № 14.
 ბედელიძე ლამარა — ქართული ავეჯი № 12.
 ბერაძე თამაზ — XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოდიშის რუკა № 21.
 ბერიძე გიორგი — საქართველო — კლასიკური მულენიუმობის ქვეყანაა № 16.
 ბერიძე ვახტანგ — დავით ლომაძე, № 14, თბილისის ზეოთომოდერული ძეგლები № 25, წმინდა მარინეს სამლოცველო მთაწულეთის სოფელ სეფეში № 26, ზაქარია შაისურაძის ხსოვნას № 26.
 ბერძენიშვილი დევი — ციხეთა შესწავლის ზოგიერთი საკითხი (დგკვიზე, ოფრეთი, ლოქი, უაბლა.), № 14, სოფელ სიონის ისტორიიდან № 21.
 ბერიაშვილი ლიანა — ვაზის ტერასული კულტურა მესხეთში № 16, „მესხური დინჯი“ № 24.
 ბოლქვაძე ლამარა — კულტურის ძეგლთა დაცვის საქმე აჭარაში № 13.
 ბოლქვაძე სიმონ — ქართული კულტურის თვალსაზრისით მოღვაწე (აღ. რიონიშვილი) — № 15.
 ბრაილაშვილი ნინო — ლერჯი სუფრა № 24.
 ბრეგაძე ნელი — ნუ ვუღალატებო, ნუ მიკატოვებო მთას № 24.
 გაგოშიძე ივლიან — სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი № 23.
 გამბრევილი ვახტანგ — მასალები დედალეთის და ქორეთის ურთიერთობის ისტორიიდან № 14.
 ვასილაშვილი გურამ — ქართული კეჭი № 12.
 ვაფინაშვილი გივი — 100 წლის საშენებლო წარწერა ქორეთის ეკლესიიდან № 21.
 ვაფინაშვილი გივი, ჩუბინაშვილი ნაყო — ძღვევის წმ. გიორგის მონასტერი სოფ. ტაბაყინში № 18.
 ვაჩიანიძე შერი — ერთი ქართული ნაქარგობა ინგლისში № 14.
 გეგეშიძე ზინა — ჭიათურის ისტორიულ-რევოლუციური ადგილები № 13.
 გვასალია ჯონდო — ქსნის ხეობის ძეგლები № 21.
 გვირდუთელი რუსუდანი — ბოლნისის სიონი (ძეგლის გახსნის ანგარიში) № 15.

- გვერდწითელი რუსუდან, ნემსაძე თამარ — ატენის სიონის გუმბათის სახურავის პირველი ფორმით დადგენის ცდა № 17, დარბაზი სოფელ ჭაჭკარიდან № 25.
- გობეჩიშვილი გერმანე — ბუდენის აკლამა № 12.
- გოგოლაძე ვიორგი — ხაშურელ რკინიგზელთა ხსოვნის უკვდავსოფელი ძეგლი და ისტორიულ-რევოლუციური ადგილები № 13.
- გოთფა ლევან — ძეგლების ცხოვრება (ფიქრები და ფაქტები) № 19, მდინარე „ბელორის“ მდებარეობისათვის № 27-28.
- გომელაური ინა — ლიხაურის ეკლესიის სამრეკლო — № 17.
- გრიგორია გვრამ, ჭამაია ჩამლეთ — პირბუბულის მონასტრის ერთი ასომთავრული წარწერა № 20.
- გუგუშვილი ელადიმერ — ზოტას მეჩეთი № 18.
- გუდიაშვილი ლადო — მშენიერების ტყვეობაში (მოგონება) № 19.
- დავითაშვილი ქეთევან — ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუში № 22.
- დეალი შალვაია — ელტერის ძეგლთა დაცვის სამეცნიერო საბჭოს 20 წლისათვის, № 17, პატარა ონის ხეროთმომდგრული ძეგლის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები № 18.
- დოლიძე ვახტანგ — კახეთის ხეობის ორი ხეროთმომდგრული ძეგლი № 20, შთის საერო ხეროთმომდგრული ძეგლები № 22.
- დუნდუა ვიორგი — საქართველოს მიწა-წყალზე ნაპოვნი იშვიათი რომაული მონეტა, № 13, კოლხური თეთრი, № 23, თამარ ლომოური, № 23, კეის განჭა, № 27-28.
- ევბრძე პეტრე — ქუთაისის რევოლუციური წარსულიდან № 13.
- ეოსკაია ანელი — ედლის მხატვრობა სოფ ადიშის წმ. გიორგის ეკლესიაში № 18, ზედაზნის რელიეფი № 26.
- ზანდუკელი მაცყალა — ცხავეატური „შვილებიანი ლიტრა“ № 24.
- ზაქარაია პარმენ — ქვემო ქართლის ზოგიერთი ციხე-სიმაგრე № 20.
- ზაქარაიაშვილი ირაკლი — ვაქციით სახალხო საქმედ № 13, სახალხო პოლონეთში № 14.
- ზუზუნია ვალერიან — საშენი ქვები ძველ საქართველოში № 15.
- თოდროა თენგიზ — მანკლისის ზევი № 21.
- თოდრა რევაზ — კერამიკული გეიმი № 24, აკადემიკოსი გ. ჩიტაია № 25.
- თოდროია ნინო — ქართული მარანი № 16.
- თეშიშვილი ნიკოლოზ — არდასუბნის ზოგიერთი ადრეული ძეგლი № 15.
- იშვილი ნათელა, სარაჩიშვილი ნათელა — არქეოლოგიური ხის ექსპონატების შესწავლა და მათი კონსერვაცია № 26.
- კაკაბაძე ცისანა — შროშული საღვინეები № 24.
- კალანდაძე ალექსანდრე, ბოხოჩაძე ალექსი — არაგვის კარი № 15.
- კანდელაკი ზორის — ანთიმოზ ივერიელის ტაძარი № 20, ათენის ივერთა მონასტერი № 22.
- კანდელაკი თეიმურაზ — სახელმწიფოებრივი ზრუნვით ვარემოცულნი № 13, მოსაზრებები ძველი თბილისის რეკონსტრუქციის შესახებ № 22.
- კახანაძე დავით — ეროვნული სივანძურის ერთ-ერთი საცავში № 23.
- კახიძე ამირან — ფიჭვნარის იმპორტული კერამიკა № 23.
- კერატიშვილი ბიძინა — რამდენი მონასტერია გარეჯაში? № 27-28.
- კეცხოველი მზისთვალა — ფეოდალური ხანის მხატვრული ქსოვილები № 17.
- კეცხოველი ნიკო — ვაზი ხალხურ სიტყვიერებაში № 16.
- კვეზურელ-კობაძე — მცხეთის ძველი ისტორიული ხიდი მდ. მტკვარზე № 14.
- ორი ანტიკური ხანის ხიდი საქართველოში № 27-28.
- კიქნაძე გულნარა — კოჭრის ვანძი № 15.
- კონწერაშვილი კორნელი — ახალგაზრდობის ლეიძლი საქმე № 13.
- კონწერაშვილი სიმონ — ქართული საბჭოთა არქიტექტურა № 25
- კიდურაძე ნინო — მონეტები დაფნარის სამაროენიდან № 23, კოლხური სამაროვანი სოფ. სოფელ დაფნარის ქვევრსამარბი № 27-28.
- კოდოევი მახარბეკ — ღირსეულად შევხედეთ 50 წლისთვის № 13.
- ლაშვი ცეზარი, ბერიძე ვიორგი — ქაბუძეთის ისტორიული ძეგლები № 14.



- ლექსიკონი ანდრო — საწინაველი № 16.
 ლეკია გიორგი — ქვაბ ქალაქ უფლისციხის არქიტექტურა № 27-28.
 ლომთათბე გიორგი — საქართველოს ნაციონალთა არქეოლოგიისათვის № 14, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 30 წლისა № 15, აკად. ს. ჯანაშიას 70 წლისთავი № 25.
 გვიანანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები საქართველოში № 27-28.
 ლომთათბე გიორგი, ტყემალაშვილი თეოდორე, გრძელიშვილი, ართლადუვა ვარლამ — თბილისის დედაციხის არქეოლოგია № 25.
 ლომთათბე გიორგი — პომპეუსის თავდასხმა იბერიაზე № 27-28 გვერტი № 18
 ლორთქიფანიძე ივანე — ისტორიულ პირთა პორტრეტები ნაბახტევიდან № 17.
 ლორთქიფანიძე თეოდორე, ფუფურიძე რუსუდანი — ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის შემოაბის შედეგები № 23.
 მაისურაძე ზაქარია — მცხეთის ჭვარის რელიეფები რესტავრაციისათვის № 18, ისტორიის ქვის ფურცლები № 20, თეშური ხალხური საფეხები № 22.
 მათიაშვილი აზირა — ვაზი და ღვინო „დავითიანიში“ № 16, უზუცესი გიგანტი ვაზები № 16.
 მასხარაშვილი გიორგი — მცხეთის სვეტიცხოვლის ახლადგახსნილი მხატვრობის ფრაგმენტი № 18
 მასხარაშვილი ანა — მე-18 საუკუნის ენჭერი № 25.
 მამაბელი ვიქტორ — ვერცხლის სურები არმაზისხევიდან № 17, ვერცხლს ჰატარა არმაზისხევიდან № 26.
 მგალობლიშვილი ნოდარ — ახალი მემორიალური კედელი 300 არაგველის ბაღთან № 25
 მელითაური კონსტანტინე — თბილისური აივნები № 12, ზოგერთი სამშენებლო ტერმინი. შესახებ № 14, თბილისიანი საომარი ეტლი საქართველოში № 21.
 მეტრეველი ელენე — ეროვნული საუნჯის მოამაგე № 18.
 მეფისაშვილი რუსუდანი — ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე № 14, კიდევ ერთხელ ბოლნისისა და დმანისის ძეგლების შესახებ № 26.
 მინდაძე ნუნე — ქართველი მეურნეობის ხალხური საშუალებანი № 24.
 მორიანაშვილი ქეთევან — ტალ-კვესი № 24.
 მირცხულავა გურამ — სამშვილდის სამაროვანი № 23.
 მიქელაძე ირინე — ქართველი ნორჩი მხატვრობის ანთროპოლოგია და ეთნოგრაფია მე-7 მსოფლიო კონგრესს № 16.
 მოლოდინი დიდა — ზეისახდევები ქვემო ქართლში № 20, შადღუდის ღებვის ხალხური წესები № 24.
 მუსხელიშვილი დავით — შინაგასაზრდოვი ბრძოლის ერთი მომენტის ისტორიულ-გეოგრაფიული საფუძველი № 21.
 მუხლიშვილი ზაირა — თბილისის რეკონსტრუქციური წარსული № 13.
 ნადირაძე კოლა — ძველთა მშენებლობა (ლექსი) № 19.
 ნიკოლაიშვილი მიხეილ — კულტურის ძეგლი დაცვის მდგომარეობა ქუთაისის მახრამი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში (1921-1925 წ. წ.) № 13, ოქროს ჩარდახი № 22.
 ნონეშვილი იოსებ — ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია — № 13.
 ონიანი ვენის — მულეინეობის საკითხისათვის ლენტეხის რაიონში № 16.
 ოჩიაური თინა — გარდამავალი ტიპის ნაგებობები ქვემო და ზემო ქართლში № 20, ლეწულმოსილი შენეიერის ხსოვნა № 24.
 რამიშვილი მაქსიმე — შევანთბობა კახეთში № 16.
 რამიშვილი რამინ — ჩუქურთმისანი სამარბი სოთნიდან № 23, ვრწოს ველი ანტიკურ ხანაში № 27-28.
 რეზიაშვილი ნიკო — კვრასთან დაკავშირებული საოჯახო რკინის ნივთები № 12, საღვინე ქურჭელი — საწლე, სასმური № 16, ქართული გიშერი № 24.
 სანებლიძე თეოდორე — სოფელ მლეთში დაცული ლომისას საგანძფი № 19.
 სანჯიძე თამაზ — საქადავიანი № 27.
 სავარელიძე თეიმურაზ — მიხეილთ ბოლნისის რაიონის ძეგლებს № 18.
 სინაურაძე მანანა, ბერაძე თეიმურაზ. — კახეთის ანტიკური და ადრეფოდალური ხანის ძეგლები № 27-28.



- სიხარულიძე იური — უხვიმერიონის ადგილმდებარეობა № 21
- სოხაძე აკაკი — ქართული დარბაზის დედაბოძი № 12, სამლოცველოს ნიშნები ქსნის ხეობაში № 24.
- სტურუა ზაირა — შედევრთა დაღუპვა (იტალიელი პებლიცისტი) № 14, პაპუნა წერეთლის გამოყენება № 15.
- სუმბაძე ლონგინოზ — ჩუქურთმა ხეზე ხალხურ ზეროთომოდერებაში № 12, ქართული ზარნის ზეროთომოდერება № 16, ბეჟან ლორთქიფანიძის სსოვნას № 19, ქართული ხალხური ზეროთომოდერებისა და უოფის პარკ-მუზეუმი № 25.
- ტატიშვილი თორნიკე — მიწისქვეშა ნაგებობანი მტკვრის ხეობის ზემო წელზე № 21.
- ურუშაძე აკაკი — საქართველოს უძველესი ქალაქი № 27-28.
- უხნაძე ირინე — საიუბილეო სესია № 25.
- ფალაქანიშვილი ს. — გომართის წმინდა გიორგი, ბეჟანთან და ფერშანგთან კოშკები, № 27-28.
- ფაქულია ვიანორ — ისტორიული ძეგლების დაცვის საქმე აფხაზეთში — № 13.
- ფრუიძე ლევან — ღვინის დაქაშიყება საქართველოში № 16.
- ქადიშვილი ნიკოლოზ — კულტურის ძეგლების მხრუწველი ხელი № 13.
- ჭებულაძე რევაზ — ახალი მასალები საქართველოში ვერობელი მონეტების მიმოქცევის შესახებ № 23.
- ჭობიძე დომენტი — დავიკვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები № 15.
- ჭუთელია თინათინ — კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა № 23.
- ღვინიაძე ზაირა — ჩვენი წინაპრების ნაცვალეფსა და ნახელავზე № 12.
- უზაუღლაშვილი ციალა — ქართული ხალხური საფეიქრო იარაღები № 12.
- ყაუხჩიშვილი სიმონ — ანტიკური საბერძნეთი და ანტიკური საქართველო № 27-28.
- ყენია რუსუდან — შლეიშეის მონასტრის ეკლესიის საკურთხეველის კარის მოჭედილობა № 18, საწინამძღვრო ქვარი ჩაგაშის ეკლესიიდან № 26.
- ჩაჩაშვილი გერცელ — ქართული დამითელი ქსოვილები № 24.
- ჩიჭაია გიორგი — ლაზური ორნამენტი № 12, ძველი ლეგენდები ვაზის კულტურის წარმოშობის შესახებ № 16, ველაზი № 20, ღია ცისქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები № 25.
- ჩუბინაშვილი ნიკო — ქორეთისა და მაცხვარიშის მოზარატებული კარები № 12.
- შაიშველაშვილი ივანე — კამბეჩოვანი, ხორნაბუჯი, ქიზიყი № 17.
- შენგელია გურამ — გიორგი ლეონიძის ბავშვობის დროინდელი წერილები საქართველოს სიძველეთა შესახებ. № 13.
- შონია ნოდარ — აღმოსავლეთ აფხაზეთის ტოპონომიკის შესწავლისათვის № 21.
- ცინცაძე დურმიშან — მუზეუმის იუბილე № 12, ბრძოლა გურიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის № 13.
- ცინცაძე ვახტანგ — შუასაუკუნეების სარეზიდენციოების შესწავლისათვის, კვარას-ციხე № 14, მეცნიერული დაცვის ზოგი საკითხი და შენიშვნები თიანეთის სიონის აღდგენა-გამაგრების პროექტთან დაკავშირებით № 18, უბისის სვეტი № 18, ვახტანგ VI მშენებლობა — „გურუზინო“ № 22, ნაქალაქარი ბიკინთა № 26.
- ცინცაძე შალვა — კარმიდამო სოფელ ჩქვალურში № 24.
- ცაბიტაშვილი გიორგი — სვერის ციხე № 21.
- წითლანაძე ლეილა — დარიალის ციხე (არქეოლოგიური კვლევა) № 27.
- ყავახიშვილი ალექსანდრე — უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. ა. შვ-5 მ-3 ათასწლეული) № 14.
- ყავახიშვილი გივი, ჯორბენაძე ბესარიონ — არქეოლოგთა და ეთნოგრაფთა საკავშირო სესია № 25.
- ყალაბაძე გიორგი — პურის ბეღელი და კოდი № 12, კვიკვიელი გუთნისდგა № 20, „თუშური კვირტულა“ № 24.
- ყალაღანია ირინე — თამარის ფული № 23.
- ყანბერიძე ნოდარ — თბილისის ახალი გენერალური გეგმა № 25.



ჩაფარიძე ვახტანგ — ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლად აღმოჩენილი უძველესი ძეგლი ქვემო ქართლიდან № 20.

ჩაფარიძე ოთარ — შიდა ქართლის ჩრდილო ზოლი ბრინჯაოს ხანაში № 13.

